



ისტორიული გეგვიდრობა

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, 2015 წ. ივლისი, №7(59), ფასი 3 ლარი

37 ლიტერატურული
დავა-კამათი
ორთაყალა-
ქრწანისის
ბაღებში

«სუსიუვილები» — 70

4



თმარ მარგველაშვილი:

21

**ნეგატიური შედეგის მოგბანიე ჩვენთან
დანერბილი პრაქტიკა, როგლის მიხედვით,
სამეცნიერო-სამონტაჟო სამუშაოების
ნარმოების უფლება აქვს ყველას**

ნიკოლა სკლიფოსოვსკი

49



ნიკოლა სკლიფოსოვსკიე ბათუმში
თავისი ხარჯებით ჩამოაყალიბა
ბავშვთა პირველი სამხატვრო სკოლა



**ტიციან ტაბიძისა
და ვიქტორ
გოლსუვის მიმონერა**

33



სარჩევი

სელოვნება	
■ «სუნიუქილები» — 70	4
ილიას გაგმეტილები	
■ გერონტი ქიქოძე: ქართული კულტურის ტრადიციები და ილია ჭავჭავაძე	8
რუსეთის მხარდაშეპარ	
■ რუსეთის წყალობით დაგვიანდნენ ორას წლებით დაშორებული და გულიდან მოწყვტილი ქვეები, გეგმა ისევ შეგვანართა	12
ქალაქგეგმარების უმე-ჩრდილები	
■ «მევენებლობა სელოვნების გზით», ანუ თბილისის რეკონსტრუქციის მგერგონიარა სეკიტსები	15
■ ომარ მარგველაშვილი: ქალაქი პროფესიონალებმა უნდა ააშენონ	21
სახელოვანი ქართვებები	
■ ალექსანდრა ჯაგადარი	25
მატიანე მოგვითსრობს	
■ დიმიტრი შველიძე: თანასწორულებიანი პოლიტიკური შეუღლებანი	26
ჩვენი წარსული	
■ მრავლისმთქმელი დოქვენები	31
მეგობრობა გზად და სიდად	
■ ტიხიან ტაბიძისა და ვიქტორ გოლხევის მიმონარიდან	33
კველი თბილისური ისტორიები	
■ ალექსანდრა სიგუა — ლიტერატურული დავა-ქავეთი ორთაქალა-ქრწანისის ბაღებში	37
მეცნიერება	
■ პროტოქარტველები, სეკიტოქარტველური ენა და ნარწარები	42
რუსი ქართვებები	
■ ნიქოლა სკლიფოსოვსკი	49

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი
„ისტორიული მემკვიდრეობა“

სარედაქციო კოლეგია

პასუხისმგებელი რედაქტორი დარეჟან ანდრიამძე

მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. № 6 ტელ.: 234-32-95

UDC (უბკ) 050 (479.22)
0-892

«სუსიშვილი» — 70

ქართულმა ცეკვამ შემოინახა ქართველი ერის სულიერი კატაკლიზმების ანარეკლი და, როდესაც ქართული კულტურის ჰორიზონტზე გამოჩნდნენ ნინო რამიშვილი და ილიკო სუსიშვილი და შექმნეს ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, ამით ახალი სული შთაებერა ქართულ საცეკვაო ხელოვნებას, რომელმაც მსოფლიო აღიარება მოიპოვა.

ნინო რამიშვილი და ილიკო სუსიშვილი —

ამ ორი ადამიანის განუღწევი შრომა ქართული ხალხური ცეკვის გასაცენიურებაში ფასდაუდებელია.

ქალბატონი ნინო და ბატონი ილიკო 20-იანი წლების ბოლოს შეხვდნენ ერთმანეთს ოპერის თეატრში. ამ დროისათვის ილიკო ქართული ცეკვების ბალეტმაისტერი და წამყვანი სოლისტი იყო. ნინოს კი ახალი დამთავრებული ჰქონდა წმინდა ნინოს სახელობის ქალთა გიმნაზია და მარია პერინის საბალეტო სტუდია.

თავდაპირველად ქალბატონი ნინო ყურადღებას არ აქცევდა ბატონ ილიკოს, თუმცა დრომ მათი ურთიერთობა სიყვარულში გადაზარდა. ეს იყო 1930 წელს. უსახსრობის გამო მათი ცოლქმრობა რეგისტრირებულიც არ იყო.

ილიკო 1907 წელს დაიბადა სოფელ მეჯვრისხევში, გორის რაიონში. ერთი წლისა დაობლდა და დედამ, ანა კაზაკოვამ, ილიკო და მისი ძმა — შალვა (შემდგომში ავტომობოლელი) საცხოვრებლად თბილისში წამოიყვანა.

თბილისში გადმოსვლის შემდეგ ილიკოს დედა მალევე გათხოვდა და ოჯახურ ხელმოკლეობაში ნახევარ და-ძმა გაუჩინა, რის გამოც ილიკოს ადრეულ ასაკშივე მოუწია მარჩენალის მძიმე ტვირთის ზიდვა.

ილიკოს ცეკვა თავიდანვე ყოფილა განთქმული. მისი თვითნაბადი ნიჭი თვალშისაცემი იყო.

1923-1926 წლებში ილიკო ალექსი ალექსიძის ხალხური ცეკვების სტუდიაში სწავლობდა. ერთ წელიწადში ის ალექსიძის ასისტენტად დაინიშნა, 1926 წელს კი ოპერის თეატრში სტაჟიორად მიიწვიეს, ანუ უხელფასოდ მუშაობდა; ერთ წელიწადში ოპერის თეატრის მსახიობად გადაიყვანეს და 25 მანეთს უხდიდ-

ნენ. 1928 წელს ცეკვის კონკურსში მან ოქროს მედალი აიღო და ქართული ცეკვების ბალეტმაისტერად და წამყვან მოცეკვავედ დაინიშნა.

ამ დროისთვის ნინომ მარია პერინის სტუდია დაამთავრა და თეატრში ისე გაანაწილეს, რომ არც კი იცოდა. ცეკვის დიდმა სიყვარულმა აპოვინა მათ ერთმანეთი, როგორც პარტნიორებს, როგორც მეუღლეებს, როგორც ანსამბლის დამაარსებლებს.

ნინო რამიშვილი 1910 წელს ინჟინრის ოჯახში, ბაქოში დაიბადა. ნინომ, თავისი და-ძმის მსგავსად, ბავშვობიდანვე გამოიჩინა ცეკვისადმი სიყვარული, თუმცა მხოლოდ ნინომ მიუძღვნა ცხოვრება ამ პროფესიას.

აზერბაიჯანსა და სომხებს შორის შეტაკების შემდეგ, 1917 წელს, რამიშვილების ოჯახი თბილისში გადმოსახლდა.

1937 წლამდე ნინო და ილიკო ოპერის თეატრში მუშაობდნენ და პარალელურად ესტრადაზეც ცეკვავდნენ. ამ პერიოდში შექმნეს ცალკე ნომერი „მთიულურის“ მოტივებზე, რომელსაც შემდგომში „ილოური“ ეწოდა. ამ ნომრით საბჭოთა კავშირის მრავალი ქვეყანა მოიარეს. შეიძლება ყველასთვის ცნობილი არ იყოს, რომ პირველად ტრიალდაცემა და გადაბმული მუხლი წრეზე ნინომ შეასრულა. ახლა ეს ილეთი ნაციონალური ცეკვის საკუთრებად ითვლება. საავტორო ილეთის გაანონიმურება ნინოსა და ილიკოს ცხოვრებაში ჩვეულებრივი ამბავი იყო, ამას თავისი მიზეზები ჰქონდა.

1932 წელს ილიკომ დაიწყო სწავლა მოსკოვში, თეატრალური ინსტიტუტის სადირექტორო ფაკულ-



ტეტზე. პარალელურად დიდ თეატრში მუშაობდა. 1938 წელს აიღო დიპლომი.

25 წლის ნინო ლონდონში უნდა წასულიყო ხალხური ცეკვების ფესტივალზე. ანკეტა ილიკომ და ნინომ შეავსეს. მათ თანხმობა მიიღეს. მაგრამ ნინო ლენინგრადიდან მოსკოვში მიაბრუნეს და მხოლოდ ილიკო გაემზავრა ლონდონში, სადაც დიდი წარმატება ხვდა წილად.

როდესაც ანსამბლის შექმნის საკითხი დადგა, ილიკომ თავისი დადგმული ცეკვები და „ილოურის“ ილეთებიც გაანონიმურა და ხალხურად გამოაცხადა.

1949 წელს ნინოსა და ილიკოს I ხარისხის სტალინური პრემია მიენიჭათ. დეკადის შემდეგ ნინო ოპერის თეატრიდან წამოვიდა და მოსკოვში, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ანსამბლში გადავიდა. წყვილი ომის დაწყებამდე მოსკოვში მოღვაწეობდა.

1942 წელს თბილისში შეიქმნა ქართული ჯაზ ორკესტრი. ილიკომ და ნინომ დაიწყეს მუშაობა. 1944 წელს გამოცხადდა ქართული ხალხური ცეკვების გასინჯვა-გამოცდა, სადაც არც თუ ისე ბევრი მსურველი გამოცხადდა, რის გამოც ილიკომ და ნინომ ვიზუალური მხარის გათვალისწინებით აირჩიეს მოცეკვავეები. ანსამბლი რამდენიმე თვეში

გააუქმეს და დაშალეს, ბევრჯერ გამოიცვალეს სარეპეტიციო ადგილი, რადგან დიდხანს არავინ აჩერებდა.

რეპერტუარი

საომარი ცეკვა „ხორუმი“ კოლხეთის ტერიტორიაზე დაიბადა. ფრთხილად შემოსვლა მტრის დაკავებულ ტერიტორიაზე, დაბანაკება, დაზვერვა, იერიში, მტერზე გამარჯვება და ზეიმი — ასეთია მისი შინაარსი. ტრადიციულ „ხორუმს“ ექვსი ან ცხრა კაცი ასრულებდა. სუხიშვილ-რამიშვილის „ხორუმში“ კი ორმოცამდე მამაკაცია დაკავებული და განსაკუთრებული სიმძაფრით გვაგრძნობინებს, რომ ეს უძველესი ცეკვა საყოველთაოდ მისაწვდომი შინაარსის მიღმა უნდა მაღავედეს რაღაც უფრო მთავარს, მნიშვნელოვანს და აკრძალულ ხილს. „ქართული ნაციონალური ბალეტის“ რეპერტუარში ძნელად თუ მოიძებნება მეორე ცეკვა, რომელსაც ასე სრულად აქვს შენარჩუნებული პირვანდელი იერი.

„ქართულის“ უბადლო შემსრულებლად ილიკო სუხიშვილი მიიჩნეოდა; ეს ქორეოგრაფიული პოემა თავისი სისადავითა და დახვეწილობით იმდენად ახალთა სრულყოფილებასთან, რომ მისი თავისუფალი ინტერპრეტაცია ან მასში რაი-



ცეკვა „ქართული“, ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი

მე სახის ცვლილებათა შეტანა მხოლოდ საზიანო შეიძლება აღმოჩნდეს, ამიტომაც სუხიშვილ-რამიშვილის „ქართული“ მხოლოდ ტემპის სისწრაფით განსხვავდება ტრადიციული ვარიანტისგან. „ქართულში“ მამაკაცს ეკრძალება, ოდნავადაც კი შეეხოს ქალს, უფრო მეტიც — იგი ვალდებულია, მთელი ცეკვის განმავლობაში დისტანცია დაიცვას პარტნიორთან. მისი მოძრაობები თავშეკავებულია, ტანი არ იძვრის, ჩოხის კალთა არც კი ირხევა და მხოლოდ სახის გამომეტყვე-

ლება და ფეხების სწრაფი მოძრაობა თუ ამხელს შინაგან მღელვარებასა და სურვილს. კაცი ვალდებულია, აკონტროლოს საკუთარი გრძნობები.

„ფარცა“ გურული ცეკვაა, განსაკუთრებულ ეფექტს ქმნის ე.წ. „ცოცხალი კოშკები“ — ერთმანეთის მხრებზე რამდენიმე სართულად განლაგებული მოცეკვავე ვაჟები, რომლებიც წრიულად მოძრაობენ. სუხიშვილების „ფარცაში“ წრიულ მოძრაობას რამდენიმეჯერ ცვლის ქალთა და ვაჟთა ხაზობრივი განლაგება, რომელიც უფრო მრავალფეროვანსა და სცენიურს ხდის ტრადიციულ ცეკვას.

„აჭარული“ — ამ ქორეოგრაფიულ სუიტას საფუძვლად უდევს აჭარული ხალხური „განდაგანა“. „ქართულისგან“ განსხვავებით, ქალ-ვაჟის ურთიერთობა „აჭარულში“ განსხვავებულია, იგი გაცილებით თავისუფალია და მსუბუქი ფლირტის შთაბეჭდილებას ტოვებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალის კოსტიუმი. ტრადიციული პროპორციების მიხედვით აგებულ ერთი ფერის ქართულ კაბას სოლიკო ვირსალაძემ ჭრელი სარტყელი და ყაბალახის მსგავსი ორიგინალური თავსაბურავი დაუმატა.

„ყაზგებური“ — მას მამაკაცები ასრულებენ. გამომწვევი ექსპრესიული ილეთებით მოცეკვავენი თითქოს ცდილობენ, დაარწმუნონ



მტერიც და მოყვარეც თავიანთ ძლევამოსილებაში. ს. ვირსალაძის ესკიზების საფუძველზე, ბენვიანი ფაფახები და უხეში ტყავის ჯუბები ხაზს უსვამს მკაცრ კოლორიტსა და ექსპრესიულ ნახაზს.

„ხანჯლური“ — ამ ცეკვას მთელი მწყემსების შეჯიბრსაც უწოდებენ. მწყემსები ერთმანეთს ეჯიბრებიან ხანჯლის ჩასობაში. ცეკვა იწყება შავი ნაბდებით შემოსილ ფაფახიან მამაკაცთა მწკრივის აუჩქარებელი შემოსვლით, შემდეგ ისინი აგდებენ ნაბდებს და სისხლისფერ ჩოხებში რჩებიან. იღეთებს თან ახლავს ოსტატურად ნასროლი ხანჯლები. სცენა ხანჯლებით იფარება და ბოლოს იწყება ცეკვა — მოცეკვავეები იატაკში ჩასობილ ხანჯლებს შორის ურთულეს იღეთებს ასრულებენ.

ცეკვა **„ხეხსურული“** ქალ-ვაჟის არშიყის სცენით იწყება, შემდეგ გამოდის მეორე ვაჟი, რომელსაც, აგრეთვე, მოსწონს ქალი. მათ შორის იწყება კამათი, რომელიც „კეჭნაობის“ რიტუალიდან ნამდვილ ორთაბრძოლაში გადადის, კრიტიკულ მომენტში ქალი მეზრძოლებს შორის მანდილს აგდებს, რის შემდეგაც მეზრძოლები ადგილზე შეშდებიან და მანდილი ნელა ეშვება დაბლა. სუხიშვილ-რამიშვილის „ხეხსურული“



ასე არ მთავრდება. ერთი შეხვედრით დაწყნარებული მეომრები ერთხმად უკრავენ ტაშს ქალთა ფერხულს, მაგრამ, როგორც კი მანდილოსნები ამთავრებენ ცეკვას, ჩვენ თვალწინ შიშველი ხმლის პირები ლაპლაპებენ. ფინალში მეზრძოლებს შორის კვლავ ქალი გამოჩნდება. ჩამოგდებული მანდილი კვლავ აჩერებს მეზრძოლებს. ვის დარჩება გამარჯვება? — ამ კითხვას ცეკვა „ხეხსურული“ ღიად ტოვებს.

„აფხაზურში“ ქალთა მხიარულ სწრაფ ცეკვას ვაჟების ენერგიული,

საოცრად ტემპერამენტიანი შეჯიბრი ცვლის. ამ ცეკვისთვის განკუთვნილი კოსტიუმები ს. ვირსალაძის ფანტაზიის ნაყოფია, თუმცა შესრულებულია ქართული და კავკასიური ტრადიციული ჩაცმულობის კარგი ცოდნით.

ცეკვა **„სონა“** დადგა თენგიზ სუხიშვილმა. სუხიშვილის მიერ განხორციელებულ ოსურ ცეკვებში ხაზგასმულია განსაკუთრებული თავდაჭერილობის, ქალ-ვაჟის ურთიერთობისა და გრძნობათა უკიდურესი სიფაქიზე. ოსური ჩოხის



სახელოები გრძელია და მთლიანად ფარავს ხელის მტევანს. ეს იმისთვის არის, რომ ცეკვისას გამოირიცხოს ქალთან შემთხვევითი შეხებაც კი. „ხონგას“ მამაკაცები ცერებზე შემდგარი ცეკვავენ.

„ცეკვა „ყარაჩოხელი“ — ყარაჩოხელები, ანუ შავჩოხიანები ქალაქელ ხელოსანთა წრის წარმომადგენლები იყვნენ და რომელიმე ამქრის წევრად ითვლებოდნენ, ყარაჩოხელთა წრეში გავრცელებული ღვინის, ვარდისა და ლამაზი ქალის კულტი თავისებურად არის ხორცშესხმული სუხიშვილისა და რამისშვილის მიერ შექმნილ ქორეოგრაფიულ მინიატურაში. ყარაჩოხელებს შორის, რომლებიც შავი ჩოხებითა და შავი წვეტიანი ფაფახებით იყვნენ მოსილნი, ჩნდება ვარდისფერკაბიანი ასული. მისი უეცარი გაქრობა ისევე ეფექტურია, როგორც მოულოდნელი გამოჩენა.

„დავლური“ ცეკვა „ქართულის“ გამარტივებულ ვარიანტს წარმოადგენს, მაგრამ, „ქართულისგან“ განსხვავებით, აქ ქალი ორ ვაჟს ეცეკვება. ამ ცეკვაში ნაკლებად ვხვდებით რთულ გასმებსა და წინსვლა-უკუსვლებს.

„კინტოური“ — კინტოები წვრილი ვაჭრები იყვნენ, როდესაც მყიდველი საქონელს ამოირჩევდა, კინტო იხსნიდა ვერცხლის ქამარზე დაკიდებულ ბაღდადს. თაბახიდან იღებდა ხილს ან ბოსტნეულს, შიგახვევდა და ისე წონიდა. ეს ცეკვა „ქართული ნაციონალური ბალეტის“ რეპერტუარში ყურადღებას იპყრობს თავისი ეგზოტიკურობითა და ვირტუოზული შესრულებით.

„მხედრულის“ ძირითად მოტივს ისევ შეჯიბრი წარმოადგენს. ცეკვაში გამიყენებულია „ხევსურულის“, „ხანჯლურისა“ და „მთიულურის“ ილეთები. მოძრაობები სცენაზე ამხედრებული მოჯირითის პლასტიკასა და რიტმთან არის მიახლოებული.

„ნარნარი“ სუხიშვილების რეპერტუარში „ხევსურულსა“ და „მხედრულს“ შორის სრულდება. ნაზი ოსური მელოდიის თანხლებით, მოცეკვავე ვარდისფერკაბიანი ქალები ტბის ზედაპირზე მოსრიალე გედების გუნდს მოგვაგონებენ.



„ცეკვა ღოქებით“ — „ცეკვა წყაროსთან“. ამ შემთხვევაში ვხვდებით რამიშვილის ფანტაზიით შექმნილ ორიგინალურ ილეთებს. ცეკვა ჩაფიქრებულია, როგორც წყაროზე მოსულ თუმ ქალთა ორი ჯგუფის პაექრობა გონებაშეხილვასა და კეკლუცობაში.

„სამაია“ სრულდებოდა „ძეობის“ დღესასწაულზე. სუხიშვილების „სამაიას“ საფუძვლად დაედო შუასაუკუნეების ქართულ მონუმენტურ ფერწერაში შემონახული თამარ მეფის გამოსახულებისთვის დამახასიათებელი პლასტიკა და ჩაცმულობის თავისებურება.

„სადარბაზო“ ისევე, როგორც „სამაია“, ვირსალაძის ესკიზიდან არის დაბადებული. ამ საზეიმო სასახლაში ერთმანეთს ერწყმის ქართული საცეკვაო სტიქია და სამეფლისო ცეკვების ელმენტები. ეს თავისებური ექსპერიმენტი რუსულ კულტურასთან დაახლოების გამოცხილია...

1958 წლიდან ანსამბლს დედასთან ერთად ხელმძღვანელობდა საქართველოს სახალხო არტისტი

(1971) თენგიზ სუხიშვილი. აღსანიშნავია მის მიერ შესრულებული სოლო პარტიები ცეკვებში „სიმდი“, „ქაჯეთის ალება“, „ხონგა“, „ხევსურული“, „შეჯიბრი“ და სხვ. დადგმები: „ხონგა“, „მხედრული“, „მთიულური“, „შეჯიბრი“, „გამარჯვება“, „ანანური“ და სხვ.

2007 წლიდან ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელია ილიკო სუხიშვილი-უმცროსი, დირექტორი კი — ნინო სუხიშვილი.

დღეს ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო ანსამბლს განხორციელებული აქვს ორასზე მეტი ტურნე. მსოფლიოს ხუთი კონტინენტის 88 ქვეყანაში გამართული აქვს 19200-ზე მეტი წარმოდგენა. ანსამბლის ქორეოგრაფიულ ხელოვნებას 60 მილიონზე მეტი მაყურებელი ეზიარა.

2015 წელი „სუხიშვილებისთვის“ საიუბილეო წელია — ანსამბლის ისტორია 70 წელიწადს ითვლის. მთელი წლის განმავლობაში დაგეგმილია კონცერტები და გასტროლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

გერონტი ქიქოძე

ქართული კულტურის ტრადიციები და ილია ჭავჭავაძე

თამამად შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ცხოვრებაში არ წარმომდგარა არც ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც ილია არ შეხებოდეს ან თავის მხატვრულ შემოქმედებაში, ან თავის პუბლიცისტურ წერილებში. აღარაფერს ვამბობთ მის მრავალმხრივ და ენერგიულ პრაქტიკულ მუშაობაზე. ლიტერატურული და პრაქტიკული მუშაობის ჰარმონიული შეერთებით ილია ჭავჭავაძე ახალი ქართული კულტურის აღორძინების საუკეთესო წარმომადგენელია, დიდი ისტორიული ქართველი მოღვაწეების ღირსეული მემკვიდრეა. ამ მხრივ საინტერესოა ბერონტი ქიქოძის წერილი „ქართული კულტურის ტრადიციები და ილია ჭავჭავაძე“:

მხატვრული სიტყვის ოსტატებს შორის საქართველოში რუსთაველის შემდეგ შეიძლება არავინ არ არის ისე პოპულარული, როგორც ილია ჭავჭავაძე. მათ ერთმანეთისგან შვიდი საუკუნე ჰყოფს. მათი მოღვაწეობა სხვადასხვაგვარ კულტურულ და პოლიტიკურ ატმოსფეროში მიმდინარეობდა; სხვადასხვაგვარია მათი მსოფლმხედველობა, მათი პოლიტიკური იდეები და ზნეობრივი ფიზიონომია. შოთა რუსთაველი ილია ჭავჭავაძეს დიდად სჭარბობს მხატვრული შემოქმედების ძლიერებით, აზროვნების სიღრმით, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ქართული ლიტერატურის ევოლუციაში მათ რამდენიმედ ანალოგიური როლები შეასრულეს, **რუსთაველის მსგავსად ილია ჭავჭავაძემაც ქართული სალიტერატურო ენის რეფორმა მოახდინა. მან ის გაათავისუფლა არაქართული, მნიშვნელოვანი ნორმაებისგან და ხალხის სალაპარაკო ენას დაუახლოვა; რუსთაველის მსგავსად, ილია ჭავჭავაძემაც ქართული ლიტერატურა გაათავისუფლა ნაციონალური კარჩაპეტილობისგან, მან ქართული ლიტერატურის ჯანსაღი ტრადიციები მოწინააღმდეგეებისგან დაცვა**

ნავე კაცობრიობის დიდ იდეურ მოძრაობას დაუკავშირა.

რუსთაველის დროს ყველაზე მონინავე წინა აზიისა და ბიზანტიის კულტურა იყო, ილია ჭავჭავაძის დროს კი — დასავლეთ ევროპის კულტურა.

XI-XII საუკუნეებში, როდესაც ფეოდალურმა საქართველომ ყოველ მხრივ თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია, წინა აზიაში, ანუ კეთილდღეობის, ხელთაშუა ზღვის ბასეინის აღმოსავლეთ ნაწილში, შეიქმნა დიდი კულტურული მსოფლიო, რომელშიც საქართველოს გარდა, ბიზანტია, ბალდადის ხალიფატი და სომხებით, სპარსელებითა და ბერძნებით დასახლებული სახელმწიფოები და სამთავროები შედიოდნენ. ამ მსოფლიოს ერთ მთავარ საფუძვლად ალექსანდრე მაკედონელისა და რომის იმპერიის ომების ეპოქიდან დარჩენილი ელინისტური ტრადიციები ედო. **კულტურის აღორძინება საქართველოში და მის მეზობელ ქვეყნებში ელინიზმის ნიადაგზე დაინერგა;** ამ აღორძინებამ, სხვათა შორის, ხელი შეუწყო ადამიანის აზრის განთავისუფლებას რელიგიური ფანატიზმისაგან და ფხიზელი ფილოსოფიური და მეცნიერული ძიების სუ-



ბერონტი ქიქოძე

ლის შექმნას. წარმოიშვა, აგრეთვე, მონინავე კაცობრიობის ინტერესთა ერთიანობის აზრი, ერთგვარი ჩანასახი მსოფლიო მოქალაქეობის იდეისა, რომლის ნიშანი ატყვია თითქმის ყველა იმდროინდელ დიდ პოეტს: ხაყანის, ნიზამის, ომარ ხაიამს, საადის, ბოლოს რუსთაველს.

თვით შოთა რუსთაველი, როგორც ყოველი დიდი შემოქმედი, თავისი სამშობლოს ნიადაგზე იდგა, მაგრამ **მან თავის პოემაში, როგორც ეს ილია ჭავჭავაძემ სწორად აღნიშნა, ზოგადი ადამიანური ტიპები მოგვცა, რომელთა მოქმედების არა სტილდება ვინაო ეროვნულ და რელიგიურ ზღუდეებს. მან მთელი იმ დროის ცნობილი მსოფლიო მოხაზა ეპიკითიდან დაწყებული ჩინეთამდე.**

ფართო გეოგრაფიული და გონებრივი ჰორიზონტი მარტო შო-

თა რუსთაველისთვის როდია დამახასიათებელი კლასიკურ ქართულ ლიტერატურაში: ასეთი ჰორიზონტი აქვს „თამარიანის“ ავტორს — ჩახრუხაძეს, რომლის ფსევდონიმი, მაშა მეხელი, რაიცა, ზოგიერთი ჩვენი სპეციალისტის აზრით, მესხ პილიგრიმს ნიშნავს, ხოლო ზოგიერთის — მოხევე პილიგრიმს, მოწმობს, რომ ის მაძიებელი, მოხეტიალე ადამიანი უნდა ყოფილიყო. ზოგიერთი ჩვენი მკვლევარი ამტკიცებს, რომ ჩახრუხაძე ერთ ადგილას თავის პოემაში უნდა დასტიროდეს თავის მეგობარს, რომელსაც, როგორც საფიქრებელია, უბედური სიყვარულით გამოწვეული სევდის გასაქარვებლად მოგზაურობა დაუწყია. ამ თავისებურ ქართველ მარკო პოლოს, როგორც ჩანს, მთელი იმ დროის ცნობილი მსოფლიო შემოუვლია: ინდოეთი, ხატაეთი, ჩინეთი, ხაზარეთი, რუსეთი, ბიზანტია, ეგვიპტე, არაბეთი, იამანი. სამშობლოში გამდიდრებული დაბრუნებულა ვენეციელი ნეგოციანტივით, მაგრამ გზაში გარდაცვლილა.

დიდი გონებრივი ინტერესით აღჭურვილი მწერლები არიან ექვთიმე და გიორგი ათონელები XI საუკუნეში და „აბდულმესიანის“ ავტორი, იოანე შავთელი XII საუკუნეში. ისინი ყველანი ელინოფილები არიან. მხოლოდ პირველთა ინტერესები ბიზანტიური მწერლობისა და თეოლოგიისადმი მამართული, უკანასკნელის კი — კლასიკური რომაულ-ბერძნული კულტურისადმი. დამახასიათებელია, რომ თავის „აბდულმესიაში“ ის ახსენებს არა მარტო ათინას და რომს, არამედ ელინისტური განათლების კერას — ტარსსაც. ბრძენ ფილოსოფოსებს: სოკრატეს, პარმენიდს, ზენონს, პროკლე დიადოხს, პერიპატეტიკოსებს და სხვ.

როგორც ქრისტიანულ ბიზანტიასა და სირიას, ისე ქრისტიანულ საქართველოს არასოდეს კავშირი არ გაუწყვეტია წარმართული საბერძნეთის კულტურულ ტრადიციებთან; ამიტომ მას არ დასჭირვებია ხელახლა კლასიკუ-

რი ბერძნული კულტურის აღმოჩენა, როგორც ეს რენესანსის ეპოქაში დასავლეთი ევროპის ქვეყნებს დასჭირდათ. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ადამიანი რენესანსის და ჰუმანიზმის ეპოქის სუნთქვას გრძნობს ჩვენს კლასიკურ მწერლობაში. რენესანსირებულია მისი გონებრივი ჰორიზონტის სიფართოვე, მისი ინტერესი რეალური ქვეყნიერებისადმი და კლასიკური კულტურისადმი მისი მოუსვენარი, მაძიებელი სული.

XI საუკუნის გამოჩენილ ბიზანტიელ ჰუმანისტებზე, მიქელ ფსელოსსა და იოანე იტალზე, ხშირად ამბობენ, ისინი თითქმის რენესანსის ადამიანები იყვნენ. იგივე შეიძლება ითქვას მათს ქართველ მოწაფე იოანე პეტრინზე. პლატონიზმის პროპაგანდა ევროპაში ფლორენციის აკადემიის დაარსებიდან დაიწყო, ე.ი. XV საუკუნის მეორე ნახევრიდან, ხოლო არისტოტელეს ფილოსოფიის ღრმა შესწავლა — კორდოვოს არაბული უნივერსიტეტის აყვავების დროიდან, ე.ი. X საუკუნიდან. საქართველოში კი კლასიკური ბერძნული ფილოსოფიის ინტერესი სავესებით არასოდეს არ გამქრალა, ხოლო მის ზედმიწევნით შესასწავლად უკვე XII საუკუნის პირველ ნახევარში აკადემიები გვექონდა გელათსა და იყალთოში. დიდად დამახასიათებელია, რომ, როცა ჩვენს ძველ მწერლებს სურდათ, განსაკუთრებით შეექოთ გელათი, მას ახალ ელადას უწოდებდნენ.

ამ ფართო ჰუმანისტური და კოსმოპოლიტიკური ინტერესით გამსჭვალულ განათლებულ ქართველ საზოგადოებასთან შედარებით გიორგი ბრწყინვალისა და ბაგრატ დიდის მომდევნო ქართველი საზოგადოება ჩამორჩენილად და საკმაოდ შეზღუდულად გვეჩვენება. შევიწროვებულია გონებრივი ჰორიზონტი, შევიწროვებულია როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო ეკონომიური, პოლიტიკური და იდეური ურთიერთობის არეც. ჩვენი XVI და XVIII საუკუნეების მწერლები: სერაპი-

ონ საბაშვილი, ხოსრო თურმანიძე, ნოდარ ციციშვილი, თეიმურაზ I და სხვ. თითქოს სხვა კულტურულ მსოფლიოს არც კი იცნობენ, გარდა ირანისა, ისინი ცალმხრივ დამოკიდებულებაში იმყოფებიან ირანული ეპიკური პოეზიისაგან. მაგრამ საქმე ისაა, რომ თვით ირანის მხატვრულ ლიტერატურას XVI-XVII საუკუნეებში, უკვე კარგა ხანია, განვლილი აქვს ბრწყინვალე აყვავების ეპოქა, თვით იმდროინდელი ირანელი პოეტები თავიანთი დიდი წინამორბედების, ირანელი კლასიკოსების ეპიგონები არიან, გარდა ამისა, XVI-XVII საუკუნეების ქართველი მწერლებისათვის, რომელნიც უფრო ორთოდოქსალური ქრისტიანები არიან, ვიდრე XI-XII საუკუნის მწერლები იყვნენ, იმიტომ, რომ ქრისტიანობა მათთვის, სხვათა შორის, ეროვნული ვინაობის დამცველ იარაღად იქცა, უმეტეს შემთხვევაში სრულიად მიუღებელია ირანული პოეზიის მაჰმადიანური იდეოლოგია და სუფისტური მორალი; ისინი ცდილობდნენ, ერთიცა და მეორეც განდევნონ თავიანთი ქართული თარგმანებისა და ვარიანტებისაგან. ამით აიხსნება, რომ ირანული მხატვრული ლიტერატურის გავლენა XVI და XVIII საუკუნეების ქართულ მწერლობაზე უაღრესად ფორმალისტურია და იმ ცხოველმყოფელ იმპულსებს ვერ იძლევა, რომელიც ჩვენთვის შეიძლება ფორმის მხრით ნაკლებ დამთავრებულს, მაგრამ იდეოლოგიისა და მორალის მხრით უფრო ახალ მდგომარე ლიტერატურას მოეცა.

ნაციონალური და რეალისტური ოპოზიცია ირანული ტენდენციის წინააღმდეგ ქართულ მწერლობაში თავდაპირველად თითქო გარეშე გავლენების დამოუკიდებლად დაიწყო; ამ ოპოზიციის საუკეთესო წარმომადგენლები: არჩილ მეფე, იოსებ ტფილელი, დავით გურამიშვილი საქართველოს აწმყოსა და წარსულში პოულობდნენ როგორც შემოქმედების იმპულსს, ისე სიუჟეტურ მასალას. შეიძლება ითქვას, რომ

მათ შექმნეს ტრაგიზმის გრძნობით გამსჭვალული ნაციონალური ეპოსი. ეს ლიტერატურა ძალიან ვნებიანია, ძალიან ადამიანური, დავით გურამიშვილის პოეზია დიდ სიმაღლეზე დგას ფორმალური მიღწევების თვალსაზრისითაც, მაგრამ გურამიშვილის შემოქმედების გამოკლებით ეს ლიტერატურა ვინოდ არისტოკრატულია თავისი თემითა და იდეოლოგიით და მოწყვეტილია თავისი დროის მოწინავე კაცობრიობის დიდ იდეურ მოძრაობას.

იმ რკინის სალტეებიდან თავის დაღწევა, რომელშიც საქართველო მოექცა ბაღდადის ხალიფატის და განსაკუთრებით კონსტანტინეპოლის ალების შემდეგ, პირველად იმავე ნაციონალური ტენდენციის მწერლებმა სცადეს და, შეიძლება ითქვას, რომ პირველი თერგდალეულნი: არჩილ მეფე, სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ VI, ვახუშტი, დავით გურამიშვილი, ანტონ I და სხვ. არიან.

მაგრამ ადვილი გასაგებია, რომ XVII და XVIII საუკუნეების რუსეთის კულტურას არ შეეძლო დიდი მოკრძალება გამოეწვია არც რაინდულად აღზრდილ, „ვისრამიანის“ გამლექსავ და „ალექსანდრიანის“ მთარგმნელ, ძველ ქართულ ზნე-ჩვეულებათა მცოდნე არჩილ მეფეში, არც ევროპის კულტურასთან გაცნობილ და კათოლიკობისადმი მიდრეკილ სულხან-საბა ორბელიანში, არც „ქართლის ცხოვრების“ რედაქტორსა და „ვეფხისტყაოსანის“ კომენტატორ ვახტანგ VI, არც დიდ ისტორიკოსს და გეოგრაფ ვახუშტიში. საჭირო იყო, რომ ჯერ თვით რუსული აზროვნება და მხატვრული სიტყვა ასულიყო სათანადო სიმაღლეზე, აქტიური მონაწილეობის მიღება დაეწყო დიდ საერთაშორისო იდეურ მოძრაობაში და მნიშვნელოვანი ძეგლები შეექმნა. ეს კი მხოლოდ XIX საუკუნეში მოხდა, როცა რუსეთის კულტურის ასპარეზზე ისეთი ოსტატები გამოვიდნენ, როგორიც რეალისტური ლიტერატურის დარგში პუშკინი და გოგოლი იყვნენ, კრიტიკაში — ბელინსკი და დობრო-

ლუბოვი, პუბლიცისტიკაში — ჩერნიშევსკი და გერცენი, მეცნიერებაში — კოსტომაროვი, პიპინი, კაველინი და სხვ. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა, რომ ქართველ ახალგაზრდას თერგი გადაეღა ან არა რუსული ზარბაზნების გრგვინის მოსასმენად, რუსული ჯვრის სამთხვევად და ლაზარეს პურის მისაღებად, არამედ დიდი საერთაშორისო კულტურის საზიარებლად.

და აი, ასეთი თერგდალეულთა ბელადი ილია ჭავჭავაძე იყო, ის ნამდვილი ჩრდილო-დასავლეთელი იყო თავისი კულტურული ორიენტაციით. მას მოსწონდა არა სლავიანოფილებისა და მილიტარისტების რუსეთი, არამედ პროგრესის გზით მიმავალი, დემოკრატიული და რევოლუციური რუსეთი, რომლის საუკეთესო გამომხატველად ის რუსულ მწერლობასა და მეცნიერებას სთვლიდა. **ის სავსებით ეთანხმებოდა იმ აზრს, რომ „თერგდალეული აღიზარდა რუსულს მწერლობასა და მეცნიერებაზე და შიითვისა, შიიხორცა ნათელი აზრები რუსეთის განათლებულის საზოგადოებისა და ხალხსავე მოვიდა სამშობლო ძველანაში“.** ამ ახალი რუსეთის მასწავლებელი კი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „დანიშნურებული ევროპა იყო, საიდანაც რუსეთმა გადმოიწერა საკუთარ ნიადაგზე სწავლა-მეცნიერება და საიდანაც დღესაც ეზიდება წყალსა და ჯავარს განათლებისას“ („თერგდალეულნი და ახალი თაობა“). ამრიგად, ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში ქართული აზროვნება ხელახლად დაუკავშირდა კლასიკური კულტურის საფუძველზე დაყრდნობილ ევროპის მოწინავე კაცობრიობას, რომელთანაც ის ახლო იდგა, როგორც თავისი ნორჩობისა, ისე ვაჟკაცური სიმწიფის ასაკში და რომელსაც წინააღიური კულტურის ჩაშვავების გამო ის მოწყვეტილი იყო ექვსი საუკუნის მანძილზე.

ძირითადი იდეა, რომელიც

ილია ჭავჭავაძის აზროვნებას ფლობს, არის **იდეა ადამიანის გონების ძლევამოსილებისა და კაცობრიობის დაუსრულებელი პროგრესისა**; ეს იდეა მისი თანამედროვე გაგებით უცნობია როგორც ძველი კულტურული ერებისა, ისე წმინდა აღმოსავლური ცივილიზაციისათვის, ყველაზე ნათლად და გარკვეულად ის ფრანგმა განმანათლებელმა გამოთქვეს. კერძოდ, კონდროსემ განავითარა XVIII საუკუნეში. პროგრესის იდეა გაბატონებულია XIX საუკუნის ევროპის აზროვნებაშიც, კერძოდ იმ ადამიანების აზროვნებაში, რომელთაც განსაკუთრებული გავლენა მოახდინეს ახალგაზრდა ილიაზე ან მის რუს თანამოაზრეებზე; ესენია ფრანგი სოციალისტ-უტოპისტები და გერმანელი ფილოსოფოსები, ჰეგელი, ფიეირბახი და სხვ. ბოლოს პროგრესის იდეისთვის იბრძოდნენ ის პოეტები, რომელთა მეხი სიტყვა და მღელვარე ცხოვრება ილიას უფრო მოსწონდა, ვიდრე ოლიმპიურად შეუშვოთებელი მღვდელთმსახურება ხელოვნების ცივ პარნასზე; ესენი იყვნენ ბაირონი, ჰაინე, ვიქტორ ჰიუგო და სხვ. მაგრამ უნდა ითქვას, რომ **ილია ჭავჭავაძე არასოდეს ევროპული და რუსი განმანათლებლების უბრალო ეპიგონი არ ყოფილა.** მისი მოწინააღმდეგეები მაშინაც კი აჭარბებდნენ, როცა ბრძოლის ასპარეზზე ახლადგამოსულ პოეტს ეუბნებოდნენ, ფარის მაგიერად ბელინსკის ტომებით ხარ აღჭურვილიო. შემდეგ თავის მეცნიერულ-პოლემიკური წერილებით ილიამ დაამტკიცა, რომ მეცნიერების მრავალ დარგში, განსაკუთრებით ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიის, სამართლისმცოდნეობის, პედაგოგიკის და სხვ. დარგებში ის არ ყოფილა დილეტანტი, მით უმეტეს ის დილეტანტი არ ყოფილა საქართველოს წარსულის და აწმყოს ცოდნის დარგში, რომლის მნიშვნელობას, მისი თქმისა არ იყოს, ვერავინ ვერ უარყოფს, „რადგანაც ის მწერლობა უქმი და მკვდრად შობილია, რომელ-

საც საძირკვლად საკუთარის ვითარების შესწავლა არ დაუდვია („თერგდალეულნი და ახალი თაობა“).

ეს სრულიადაც შემთხვევითი მოვლენა არ არის, ეს ილია ჭავჭავაძის ყოველმხრივი გონებრივი ინტერესით, ჭეშმარიტების სიყვარულით და რეალური ცხოვრების ცოდნით აიხსნება, რომ მას კლასთა ბრძოლის როლზე თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში საერთოდ უფრო ნათელი და სწორი წარმოდგენა ჰქონდა, ვიდრე მისი ახალგაზრდობის დროის მასწავლებლებს. ამ მხრივ მისი აზროვნება გასცილდა ბელინსკის, პრუდონს, ბასტიას და სხვ., რომელთა ნაწერები მან თავისი ჟურნალის „საქართველოს მოამბეს“ ნომრებში მოათავსა 1863 წელს, მაგრამ ყოველი გაუგებრობის ასაცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ წმინდა ნაციონალური ინტერესების კარნახით, საქართველოსთვის მას საჭიროდ მიაჩნდა კლასთა ბრძოლის შენელება და წოდებათა შორის „ჩაბეზილი ხიდის“ აღდგენა.

ილია ამბობდა, ცარიელი უარყოფილება კრიტიკული აზროვნების დამოუკიდებლად დიდი უაზრობაა, რომ ერთადერთი გზა ცდომილებიდან ჭეშმარიტებისკენ მიმავალი ჰოს და არას დაპირისპირებააო. **„არისტოტელი არამცთუ სწუნოვდა დღეს სამართლიანად გაპიცხულსა და მოსპობილს გატონყმობას, არამედ იგი უფრო უარსის მონობის მომხრეც იყო. და განა აქედან ის გამომდის, რომ არისტოტელი სულელი იყო და ძვეყნის მუხანათი?“** („უარყოფილება ჩვენში“). ამ კრიტიკული აზროვნებიდან გამომდინარეობდა ილიას მიდგომა რევოლუციის იდეისადმი; თვით სიტყვა რევოლუცია, თუ არ ვცდებით, მან პირველმა იხმარა XIX საუკუნის მხატვრულ ლიტერატურაში. მას **რევოლუცია სწამდა არა როგორც თვითმიზანი, არა როგორც პარმანენტული პროცესი, არამედ როგორც ცხოვრების განახლება**



ბის და განწყობის სანყისი.

„ესეა ყოლიფერი ამ ქვეყანაზედ: ღვინო ჯერ უნდა ადუღდეს, დაიერიოს და მერე დანმნდება ხოლმე“, — ამბობს ის „მგზავრის წერილებში“.

ჰუმანისტური და სოციალისტური აზროვნების ზეგავლენით ილია ჭავჭავაძეს პროგრესი წარმოდგენილი ჰქონდა არა როგორც მარტოოდენ ტექნიკისა და მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება, არამედ როგორც ადამიანის გონებრივი ჩამორჩენილობის და მორალური სიღუფიერის გადალახვა და წინსვლა სრულყოფილი ადამიანობისა და სოციალური ჰარმონიისკენ. „ყველაფრის სიკვდილი შეიძლება, აზრისა კი თავის დღეში არა“, — ამბობს ის საპროგრამო წერილში, რომელიც „საქართველოს მოამბის“ პირველ ნომერს წარუძღვარა: „ამ აზრის უკვადავებაში არის მთელი იმედი კაცობრიობის უკვადავებისა, იმიტომ, რომ გრავილი აზრისა გაუწყვეტელია... მეცნიერებას და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების განახლებად ღონისძიება-

თა“. თვით მომავალი წესწყობილება, როცა შრომას ბორკილები აეხსნება, როცა ცად მიღწეული მძლავრი კავკასიის ტომნი ერთი აზრით განდიდდებიან, ხოლო ქართველობის სახელი საამაყოდ ექნება საქართველოს ყოველ ერთგულ შვილს, ილია ჭავჭავაძეს წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც ჭეშმარიტების გულისთვის აღძრული ბრძოლის შედეგი. ეს იდეები მან პოეტურად გამოთქვა თავის „აჩრდილში“.

ამ რაციონალისტურ აზროვნებასთანაა დაკავშირებული ილიას ბრძოლა ასკეტიზმისა, მისტიციზმისა, ფატალიზმისა, პესიმიზმისა და ყველა იმ იდეოლოგიის წინააღმდეგ, რომელნიც, მისი შეხედულებით, ადამიანს ხელს უშლის, მის ბუნებაში დამარხული ნიჭი და შესაძლებლობანი ყოველმხრივად განავითარონ. „მგზავრის წერილებში“ ის შეჩვენებას უგზავნის ბნელ ღამეს, მისი სიზმრებითა და ადამიანის გონების დამაფრთხილებელი მოჩვენებებით და ჰიმნს მიუძღვნის დღის სინათლეს; ეს მზის ჰიმნი დიდად დამახასიათებელია ილიასათვის, როგორც ერთი მხრით დასავლეთ ევროპის და რუსეთის განმანათლებლების მიმდევრისათვის, ხოლო მეორე მხრით რუსთაველის და გურამიშვილის მემკვიდრისთვის. „განდევილში“ მან ბუდისტურ-ქრისტიანულ სპირიტუალიზმს და ასკეტიზმს, რომელიც ყველაზე უკეთ გამოითქვა ბუდას ქადაგებაში, რომ სხეული არ არის ჩემი. ის არ არის მე ან ჩემი მეო, ან ჩვენი „სიბრძნე ბალავარის“ სიტყვებში, რომ ცხოვრება არის ჩრდილი, რომელიც წარვალს, და კვამლი, რომელიც განქარდებისო; ბოლოს, გურამიშვილის სენტენციაში „ამად სჯობს ხორცი უარჰყო, სულსა უწირო, ულოცოო“ — დაუპირისპირა ელიზიზმიდან და საქართველოს ეროვნული ტრადიციებიდან მომავალი ჰუმანიზმი და ბედნიერების მორალი და ამ უკანასკნელს გაამარჯვებინა.

**დასასრული
შემდეგ ნომერში**

რუსეთის წყალობით დაბვიასლოვდნენ ორას წლოებით დაუოჩაბული და გულიდან მოწყვბილი ქმები, ბედმა ისევ შეგვბარბა

1878 წელს, უკანასკნელ რუს-ოსმალის ომში ძლეული ოსმალეთი, ბერლინის ხელშეკრულების ძალით, იძულებული იყო ბათუმისა და ართვინის ოლქები რუსეთისთვის დაეთმო. იმავე დროს რუსეთის მთავრობამ შემოერთებული მხარის მკვიდრთ გამოუცხადა: ვისაც არა გსურთ აქ დარჩენა და ოსმალეთში გირჩევნიათ გადასახლება, სამი წელიწადი ვადა გეძლევათ; ვინც ამ ხნის განმავლობაში გადასულხართ, გადასულხართ, მერე კი ნება არა გაქვთო. მთელი ამ სამი წლის განმავლობაში აჭარა შფოთავდა. ოსმალეთიდან დას-დასად მოსული აგენტები უარესად უჩუჩხურებდნენ აქაურებს, აშინებდნენ ხალხს, რუსის ხელში ძალიან გაგიჭირდებოთ, ურჯულო ხალხია, მაჰმადის რჯულზე ხელს აგაღებინებთო. ოსმალეთში წამოდით, მიწა ბევრია და სულთანის მფარველობის ქვეშ თავისუფლად და ბედნიერად იცხოვრეთო.

ომის გათავების შემდეგ მთელს მხარეში საშინელი შიმშილი ჩამოვარდა. ხალხი ომში იყო გართული, ხელში იარაღი ეჭირა, ხვნათესვისათვის არავის ეცალა. ეს გარემოება და ფანატიკოს მოღვების ქადაგება ერთმანეთს დაერთო, ხალხი ააღელვა, გული აუცრუა აქაურობაზე და ისიც აიყარა. **იმ სამი წლის განმავლობაში ბათუმის ოლქიდან 38.000 სული გადასახლდა ორსავე სქესისა. შეიხიზნენ თურქეთს, მაგრამ თურქების მთავრობამ მათად მცირე ზრუნვა გამოიჩინა მათს დასახინავებლად: შიმშილმა, წყურვილმა, უბინაობამ და ათასგვარამ გაჭირვებამ სასოწარშკვეთა გადმოხვენილბას.** აი ამათ შესახებ რა წერია იმ დროინდელ გაზეთ „დროებაში“ (1879 წ., №188):

„როგორც გვესმის, ახალ-შემოერთებულ საქართველოს ნაწილებიდან, ოსმალეთში გადასახლებულები ტრაპიზონის ახლო-

დაბინავებულან შემდეგ ადგილებში:

„ტრაპიზონისა და ხოფას შუა: 1. იომურას (ტრაპიზონიდან აქეთ, „პარახოდით“ ორი საათის სავალზე); 2. სურმენეს, რვა საათის სავალზე „პარახოდით“, 3. ოფს, თექვსმეტი საათის ხმელეთი ხმელეთით, 4. ორიზეს, 20 საათის სავალზე ხმელეთით, 5. ათინას, 26 საათის სავალზე ხმელეთით, 6. არჰავეს და 7. ხოფას.

„სულ, როგორც ამბობენ, ამ შვიდ ადგილას და იმის ახლომახლო არიან დასახლებულები 500 მოსახლე, უმეტეს ქობულეთელეები არიან. ამათგან ნამეტნად სახლობენ სურმენს, ორიზეს და ათინას, დანარჩენ ადგილებში ნაკლებად. ეს სულ, რაც მოვიხსენეთ, ტრაპიზონისა და ხოფას სახლობენ და რიცხვით (კომლზე რომ ხუთი სული ვიანგარიშოთ) 2,500 სულზე მეტია.

„ტრაპიზონს იქით უნიემდის დასახლებულან შემდეგ ადგილებში და მის ახლო-მახლო: 1. თი-

რიბოლის (3 საათის სავალია „პარახოდით“), 800 სული; 2. კიროსუნს (რვა საათის სავალია, ტრაპიზონს იქით), 100 მოსახლე ანუ 500 სული; 3. ორდუს (ათი საათი ტრაპიზონს იქით) და 4. უნიეს (13 საათის სავალზე). ორდუს და უნიეს ყველაზე მომეტებულად დასახლებულან, მეტადრე უნიეს — 4,000 სული.

„ამ ოთხსავე ადგილას აჭარლები და მაჭახლები არიან, მხოლოდ უნიეს არიან ცოტა ქობულეთელეებიც.

„ამგვარად, ტრაპიზონს იქით, სულ 5,300 სული იქნება. სამწუხაროდ, უფრო ცუდი დღე ადგებათ მომეტებულ მოსახლეებს, რომელნიც უნიეს დაეხიზნენ. უნიედან ორი დღის სავალზე უნდა გადასახლონ ნიქსარს.

„სულ გადასახლებულების რიცხვი, თუ დერვიშ-ფაშისაგან ძალად გადაყვანილები, და თუ მერმეთ ნება-ყოფლობით — 7,800 არის, რაც ტრაპიზონს ახლო-მახლოა.

„ამას გარდა ჭანეთში და ტრაპიზონის გარშემო გაფანტულები არიან. უსახლობისა, ნაკლებულობისა და ჰაერის დაცდისაგან დიდს სიღარიბეში და ავადმყოფობაში არიან. ბევრს ყმანვილები და დედაკაცები დახოცვიათ. საზოგადოდ, ძალიან მწუხარებაში არიანო და ამბობენ, ნანობენ გადასახლებადასო.“

„ოსმალთა მმართველობას ვერაფერი შემწეობა მოუცია და ტრაპიზონის ფაშას საყვედური მისვლია. ამბობენ, ზოგს უკან დაბრუნება უნდაო, მაგრამ გადასვლისას ბევრს, თავისი თუ სხვის შეცდომით, ისეთი ბილეთი აუღია, რომ დაუბრუნებლად გავდივართო. ამ გარემოებისა გამო რუსის მთავრობისა ემინათ და დარჩენილან საცოდავად“...

ყოველივე ამას მოჰყვა აჭარელთა ამბოხება: მიზეზი ამ ამბოხებისა იყო ერთი მხრით, უტაქტო საქციელი ამ შემოერთებული მხარის ახალი უფროსებისა, რომელთა ხელშიაც მცხოვრებთა სვე-ბედი იყო. საქმე იქამდე მივიდა, რომ ხულოში ზემო-აჭარის ნაწილის კანცელარიას ცეცხლი წაუკიდეს და გადაბუგეს. თვით ნაწილის უფროსს გამძვინვარებული ხალხი მოუკვლელს არ გაუშვებდა, რომ მას დროზე არ შეეტყო და არ გაქცეულიყო. ამასობაში რუსის ჯარიც მოვიდა და აღელვებული ხალხი დააყუჩა. მეორე მხრით, **ფანატიკოსი მოღვაწეები არ ისვენებდნენ და ხალხს უძადავებდნენ: რუსები სჯულს გამოგიცვლიან, ცოლებს გაგიშვებენ, მიწა-წყალს წაგართმევენო. ამ ხმების გასაფანტავად და ახალშემოერთებული ხალხის დასამშვიდებლად, მაშინდელი სამხედრო გუბერნატორი ბათუმის ოლქისა, გენერალ-მაიორი კომაროვი იძულებული შეიქნა, მცხოვრებთა საგულისხმოდ შემდგომი განცხადება გამოეტანა:**

ბათუმის ზოგიერთი სანჯახის ფუხარა და აღიები ტყუილ ხმებს

აყოლიან და ლაპარაკობენ, რუსის მთავრობა ჩვენს საკუთარ მიწა-წყალს და სამართალს წაგვართმევსო, რომელიც ოსმალთა დროს გვქონიაო. ამასთან ტყუილი ამბით შეშინებული ხალხი ამდგარა, დაუგდია ოხრად თავის სახლ-კარი და ემზადება მუჰაჯირად წასვლას თურქეთში... საწყლებმა ის კი არ იციან, რომ იქ იმათ მოელის დიდი მწუხარება, შიმშილი, წყურვილი და შვილთა სიკვდილი. ამისთანა გონჯი ამბების გასამტყუნებლად ჩვენ გვინდა, გამოვუცხადოთ ხალხს მთავრობის კეთილი აზრი და სურვილი:

1. პერს მუსულმანის სარწმუნოებას, პერს მუსულმანის ოჯახობას და იმის ჩვეულებას პერსინ პერ შეახება, მაგრამ „ყანი“ — სისხლის გადახდა კი უნდა მოიშალოს. კაცის მოკვლა დიდი ცოდვაა და არავის ნება არ აქვს მტერობით კაცი მოჰკლას. ვისაც დუშმანი ჰყავს, იმან სასამართლოში უნდა იჩივლოს და იმ დუშმანს სამართალი დასჯის დანაშაულობისათვის. მუსულმანის ქალებს ვერავინ ცუდ რასმე ვერ ჰკადრებს. **რუსის კანონი ითხოვს, რომ თვითონ მუსულმანები მუდამ პატივს სცემდნენ, უპირობოდ თავის ქალებს ისე, როგორც ჟურანში წარია. კანონი არავის არ მისცემს ნებას, რომ ქალს უპატიურად მოეძვინა, ყოველ ქალს ნება აქვს სასამართლოში იჩივლოს, თუ უპატიურობა მიაყენეს რამე თავის ქმრის ან მამის ოჯახში, და იმადიც უნდა ჰქონდეს, რომ სამართალი იმისკენ იქნება.**

2. ცოლმა თუ უჩივლა ქმარს ან ქმარმა ცოლს, შვილმა მამას ან მამამ შვილს, ხისიმმა ხისიმს, ანუ თუ ქვრივ-ობლის საქმე იქნა, ან მემკვიდრეობაზე საჩივარი ატყდა, ყველა ამგვარი საქმეები განიხილება და გადაწყდება მეჯლისში მუსულმანის კანონის ძალით ისე, როგორც ყურანში წერია ან როგორც შარიათი ამბობს.

3. რაც ოსმალთა დროს თავში-

რი და სახელმწიფო გადასახადი იყო, იმაზე მეტი არ გადახდება. მაგრამ ყველას რომ იმის გადახდა გაუადვილდეს, თავშირს ფულზე გადასჭრიან: თავშირს აიღებენ სამართლიანად, მდიდარს ქვეყანაში მეტს აიღებენ, ღარიბს ქვეყანაში — ნაკლებს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, **ოსმალთა დროს რომ თავშირი იყო, ახლა იმაზე ნაკლები იქნება. ღარიბს მდიდარზე ნაკლები თავშირი გადახდება; ძალიან ღარიბ ფუხარას სულ არ გადახდება.**

4. რაც სოფლებისა და მემლექების ხელში ტყეები, ისინი ისევ იმათ დარჩებათ. ტყეების სარგებლობა, როგორც ოსმალეთის დროს ყოფილა, ისევ იმ წესზე და კანონზე დარჩება. დანარჩენი **ტყეები, რომელნიც ოსმალეთის დროს ხვანთქარისა ყოფილა, სახელმწიფოდ დარჩება და მთავრობა ყარაულებს დააყენებს, რომ ტყე უბრალოდ არავინ მოჭრას და არ წაახტინოს.** ვისაც ამისთანა ტყეებიდან ხის ძელის გადატანა ჰსურს, იმას ტყის თავშირი გადახდება და ბილეთი მიეცემა ტყის მოსაჭრელად.

5. **რუსის მთავრობას, როგორც საქართველოში და კავკასიაში არ გამოჰყავს ნიჟამი, სალდათი, ისე არც აქ გამოიყვანს; მაგრამ სახელმწიფო სამსახურისათვის და წესიერების დასაცვლად რუსის მთავრობა გამოიყვანს მილიციას და ჯაშაგირს დაუნიშნავს, როგორც საქართველოში და კავკასიაში მხარეზე.** თავის ქვეყნის დაცვა მტრის წინააღმდეგ ყოველი კაცის ვალია და, რასაკვირველია, ბათუმის სანჯახის მუსულმანებისათვისაც ეს საქმე ძვირფასი და წმინდა მოვალეობაა.

6. მეჩეთებთან და ჯამეებთან მედრესეები უნდა გაიმართოს და იმამებმა ყმანვილებს მუსულმანის რჯული და წერა-კითხვა უნდა ასწავლონ, როგორც ოსმალთა დროს ყოფილა. **რუსის მთავ-**

როგა მადრასეებს შეეძლება და თავის მფარველობას არ მოაკლავს. რუსის მთავრობაც გამართავს თავის სკოლებს, მაგრამ ძალით არავის არ წაიყვანს ამ სკოლაში. მაგრამ თუ ვინმე მუსულმანმა ისურვა შვილის შეყვანა ამ სკოლაში, ან ობლის, ეთიმის, პატრონმა ობლის გაზრდა, იმათ უნდა სთხოვონ მთავრობას და ის ნებას მისცემს, რომ ყმანვილები მიიღონ სკოლებში. მუსულმანის შვილებს ამისთანა სკოლებში ეყოლებათ თავისი იმამები, რომელნიც ასწავლიან იმათ მუსულმანის სჯულზე წერა-კითხვას. **მოლავს, მუფთიებს და იმამებს იმადი უნდა ჰქონდეთ, რომ რუსის მთავრობა შეეძლება იმათ და თავის მოწყალებას არ მოაკლავთ, როგორც არ აკლავს სხვა სარწმუნოების სასულიერო წოდებას. რუსის მთავრობას უწინაც ჰყავდა ათი მილიონი მუსულმანი, რომელთა მოლავი, იმამები და მუფთიები მთავრობის მოწყალებით ცხოვრობენ და კეთილ დღეობაში არიან.**

7. დამოუწნას მთავრობა ვერ მოშლის ამისათვის, რომ ემინია, უცხო ქვეყნის ვაჭრობამ ხალხი არ გაალარიბოს. მაგრამ **ყოველ ღონისძიებით კი ეცდება, რომ ხალხს გაუადვილოს იმდენი საშოვნის გატანა ბათუმშიდან, რაც თავის სახლისათვის და მკვიდრისათვის დასჭირდება.**

8. სანამდის ბერლინის კონგრესით დადებული ვადა გადასახლებისა არ გავა, მანამდის მუსულმანებს შეუძლიათ თავისუფლად გადასახლება ოსმალეთში. იმათ შეუძლიათ, გაყიდონ თავისი სახლ-კარი და ნივთები; მაგრამ ადგილმამულს ვერ გაჰყიდიან; მოჰაჯირს შეუძლია მარტო მულკის გაყიდვა, თუ ოსმალსაგან ბოძებული თოფი აქვს. ბერლინის კონგრესისაგან დადებული ვადა რომ გავა, იმის შემდეგაც შეუძლია თითო-თითოდ თითოეულს სახლო-

ბას ოსმალეთში გასვლა მაგრამ მის გულისთვის პასპორტი უნდა აიღოს.

9. ფირალავს და მჟუცავებს რუსის მთავრობა ფიცხად სჯის, მაგრამ საჭიროა, რომ მართალი მოწმეები და ცხადი საბუთები წარუდგას სასამართლოს, და თუ ნამდვილად დამტკიცდა იმის დანაშაულობა, კანონი ძალიან ფიცხად დასჯის, თითონ მთავრობა ეცდება, რომ ფირალის გამამტყუნებელი საბუთები შეკრიბოს და მერე შეუბრალეზლად დასაჯოს.

რუსის მთავრობას სხვა უფრო ფიცხელი ღონისძიება აქვს ფირალის დასასჯელად; იმას შეუძლია უცებ მოაშოროს ცუდი, გონჯი კაცი სოფელს და მემლექეთს; მაგრამ ამის გულისათვის სოფელმა და მემლექეთმა თვითონ უნდა შეადგინონ ქალაღზე თავისი გადანყვეტილება და მუხურების დასმით ან ხელის მოწერით უნდა სთხოვონ მთავრობას, — ესა და ეს გონჯი კაცი ან ფირალი მოგვაშორეო. ქალაღზე შედგენილ გადანყვეტილებას ორ მესამედს მცხოვრებლებისას უნდა ჰქონდეს ხელი მოწერილი. ამის შემდეგ იმათგან დასახლებულ ცუდს და გონჯ კაცებს მთავრობა უცხად გადასახლებს შორს ქვეყნებში ან საუკუნოდ, ან დიდი ხნით. თვითონ სოფლებს და მემლექეთებს ნება აქვთ, დაიჭირონ გონჯი კაცები და მერე შეუდგინონ გადანყვეტილება იმათ დასაქარგავად; დაჭერის უმაღაც შეუძლიანთ მცხოვრებლებს შეადგინონ ქალაღზე გადანყვეტილება, მერე მთავრობაც შეენევა იმათ დასაჭერად.

10. რუსის მთავრობა დაენიშნავს სამსახურში აქაურ მცხოვრებლებს, ვინც ღირსი იქნება, არამც თუ მარტო ზაფთიებათ, უჩასტკის ნაჩაღნიებათაც. რუსის მთავრობა იმდენად გულდანდობილია აქაურ მუსულმანებზე, რომ იმათგან მილიციაც შეადგინა და უჩასტკის ნაჩაღნიებაშიც დაინიშნა აილულებით, ჯამაგირებით; მაგა-

ლითად, თუფან-ბეგი (შერვაშიძე) განანესა ქვედა-აჭარაში, ახმედ-ბეგი — ართვინის უჩასტკაში და ნური-ბეგი ხიმშიაშვილი — შავშეთისა და იმერხევის უჩასტკაში.

11. ბათუმის მაზრის უფროსი მისწარს ყველა ოკრუგებისა და უჩასტკების ნაჩაღნიებას, რომ ისინი ტკბილად ექცეოდნენ ხალხს და ყურადღებით მოუსმინდნენ ყოველს იმათს თხოვნასა და გაჭირვებას; იმათ უნდა შეატყობინონ ყოველივე ხალხის თხოვნა და გაჭირვება ბათუმის გუბერნატორ-ფაშას, რომ იმან იშუამდგომლოს უმაღლეს მთავრობასთან და დააკმაყოფილოს ხალხის სამართლიანი თხოვნა. ყოველივე, რაც ზემოთ მოხსენებულია, უნდა გამოცხადდეს აჭარა-ლივანში, შავშეთ-იმერხევი, ბათუმ-ჩურუქსუში, ბორჩხა-მაჭახელში და მურღულში იმ აზრით, რომ **ხალხმა აღარ დაუჯეროს ცუდს კაცებს, რომელნიც ატყუებენ, ვითომც ხალხს მოელოდა სხვადასხვა გაჭირება და შეწუხება რუსის მთავრობისაგან.**

შემოერთებისთანავე რუსის მთავრობამ ბათუმის მხარეს ცალკე სამხედრო გუბერნატორი დაუნიშნა, ოლქი ნაწილებად დაჰყო და ცოტ-ცოტად და თანდათან მკვიდრნი, რომელნიც მარტოდენ „რუსის“ ხსენებაზე სათოფეზე გარბოდნენ, შეეჩვივნენ რუსეთის ადმინისტრაციას, რუსეთის იმპერიის კანონმდებლობას. ამასთან ერთად, რუსეთის წყალობით დავიახლოვდნენ ორას წლობით დაშორებული და გულიდან მოწყვეტილი ძმები, ბედმა ისევ შეგვავერთა. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ზომ დიდი და განუსაზღვრელი უნდა ყოფილიყო მაშინ სიხარული მთლად ქართველობისა, რომელსაც ამდენი ხნის ნატვრა — მაჰმადიან ქართველების შემოერთება — შეუსრულდა.

თედო სასოკია,

მოგზაურობანი, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, 1985 წ.

«მუნიციპალიტეტის სოციალისტური გზით», ანუ თბილისის რეკონსტრუქციის მეცნიერებათა საკითხები

1938 წელს ჟურნალი „საბჭოთა საქართველო“ თბილისში მიმდინარე გრანდიოზულ ურბანულ ცვლილებებზე თავმოყრილ ნერდა: „ფერმეცვლილია და ძველი თვალისათვის სრულიად უცნობი გრანდიტის სალტეში ჩაჭედული მტკვრის ნაპირები, მსოფლიო სანახაობად გარდაიქცა ფუნიკულორის პლატო, ძველი მეტეხიდან მარტო ერთი ეკლესიაღა შერჩა სიძველის ძეგლად... ახალი ქალაქებით გაშენდა უნივერსიტეტის უბანი, ანუ ძველი ვაკე, ასევე ახალქალაქის სახე მიიღო საბურთალომ, ხოლო ძველ ნარიყალას ქვეშ გაიშალა თვალწარმტაც ბალნეოლოგიური კურორტი თავისი დიადი ინსტიტუტითა და აბანოებით“.

იმ ქალაქგეგმარებით სიახლეებს, რომლითაც ასე მოჰქონდა თავი თბილისის მაშინდელ ხელმძღვანელობას, ცალი ფეხი ქალაქის ისტორიული მემკვიდრეობის ნანგრევებში ედგა... შედეგად, მტკვრის ორივე სანაპიროს მთავარ კვანძებზე ქარვასლების, ხიდების თუ ძველი ქუჩების ადებით ისტორიული თბილისის „დაცარიელება“ ხდებოდა.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში თბილისის მორიგი რეკონსტრუქციის ერაში შევიდა და პოსტ-საბჭოთა პერიოდის თვითდამკვიდრების იდეოლოგია, თავისი ამბიციური და გრანდიოზული პროექტებით, გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ კვლავ ნიშანდობლივად აგრძელებს განდიდების მანიით შეპყრობილ საბჭოთა დროის ცნობიერებას, იმ განსხვავებით, რომ ქალაქის განვითარების გენერალური გეგმა დღემდე ჩამოუყალიბებელი და განუხორციელებელია.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ უძრავი ქონება პროგრესულად ვითარდება საქართველოში. საბჭოთა ეპოქის ცენტრალიზებული ინვესტიციური სისტემა ადგილობრივ წყაროებსა და კერძო ინვესტიციებზე გადასვლით შეიცვალა. ქალაქგეგმარება აღარ განიხილება ნაციონალური განვითარების ინტეგრალურ ნაწილად, მაგრამ საქალაქო არქიტექტურა კვლავ მჭიდრო ურთიერთკავშირს ინარჩუნებს არსებულ პოლიტიკურ პრიორიტეტ-

ებთან და მისი განვითარება ერთპიროვნული მართვის მექანიზმზეა დამოკიდებული.

ანგაჟირებული მშენებლობების ერთ-ერთ განმსაზღვრელ კატალიზატორად რაიონებიდან მოქალაქეების მოზღვაუების ფაქტი იქცა. რიგი სოციოლოგიური ანომალიების გარდა, პროვინციებიდან ჩამოსული ხალხი, ელემენტარული შემოსავლების ძიებაში, მშენებლობებზე იაფი მუშახელის ადგილსაც რთული კონკურენციით იკავებს. ადამიანური რესურსებით მომარაგებული სამშენებლო ბაზარი კი სწრაფად მიიწევს წინ. თუმცა, ქალაქგეგმარებით კონტექსტში ქართული სამშენებლო „პროსპერტი“ უკონტროლოდ მნიფდება. ქალაქის ურბანული ათვისების თანამედროვე პროცესში სოციალური პასუხისმგებლობისთვის ადგილი არ რჩება. ქართველი საზოგადოება ამ პასუხისმგებლობისთვის მზად რომ ყოფილიყო, აქამდე მოხარხარადოდა თბილისის განვითარების მარაგშეზღუდვას სისტემის შემუშავება.

სწორედ, ქალაქგეგმარებითი იდეოლოგიის არ არსებობის მიზეზით ზარალდება დედაქალაქის უახლოესი და შორეული წარსულის ურბანული მემკვიდრეობა. ძველ ისტორიულ სქემებში, ადგილობრივი განაშენიანების გამოთავისუფლების ხარჯზე, შენდება უახლოესი სტანდარტებისა და თანამედროვე კონცეფციების არქიტექტურა. სიტუაციას კი მსხვერპლად ეწირება თბილისის ცენტრალური რაიონების ორგანული მთლიანობა. ასეთი შემთხვევები მრავლადაა ისტორიულ ხარფუხსა თუ აბანოთუბანში, კალასა თუ სოლოლაკში, მთანმინდასა თუ ავლაბარში. არანაკლებ გაუარესდა სიტუაცია ვერასა და ვაკეში; ქალაქის „ელიტური“ უბნები ახალი მშენებლობების აგრესიამ შეიპყრო.

დედაქალაქის ურბანული მორფოლოგია უხეში დარღვევების ნამდვილი საბადოა. ქალაქის უნებართვო კონსტრუქციების ისტორიები საეჭვოდ პარადოქსულია — მათი უკანონობა ხომ კანონის სპეკულირებით მკვიდრდება. ამ ფაქტს პოლიტიკასთან გარიგებულ ოლიგარქთა ძლიერი ფინანსური ზურგი განაპირობებს, რადგან ზემდგომთა ინტერესების შემთხვევაში საკუთრების კანონიერი უფლების ბოროტად გამოყენება და მისი არალეგალური რეალიზაციის შანსები პირდაპირპროპორციულად იზრდება. უკანონოდ განხორციელებული მშენებლობების გამომწვევი ეპატაჟურობა კი საზოგადოებრიობის უსუსურ აღმფრთვას ადვილად უპირისპირდება.

უკანონო მშენებლობების სკანდალური წარმოშობა და, გასაჩივრების მიუხედავად, მათი განხორციელებული პროექტები არა-



საკმარისი საჯაროობის ფონზე, „ტაბუირებული თემის“ მტრისებს იძენდა ხოლმე, თუმცა ბოლო წლებში ქალაქის ხელმძღვანელობა ნაკლებად ტოვებს თემას უკომენტაროდ. ასეა თუ ისე, შექმნილი ფენომენი თბილისის ქალაქგეგმარებით სივრცეში არასახარბიელო სიტუაციას ადასტურებს და ხვალინდელ პრობლემებზე მიგვანიშნებს.

თანამედროვე სამშენებლო ბუჟის ფონზე აქტუალური პროექტების რაოდენობა დიდია. მაგრამ არსებობს ეჭვი, რომ ხვალინდელ თბილისის დღევანდელი ქალაქგეგმარება არაერთ მახინჯ რელიქტად შეახსენებს თავს. უძრავი ქონების სააგენტოები ქალაქის სრულ პერიმეტრზე მუშაობენ. გარეუბნებიდან ცენტრის მიმართულებით მონაკვეთზე ჩადებულ ინვესტიციებს და არქიტექტურული პროექტების მასშტაბურობას გეომეტრიული პროგრესიის ზრდა ახასიათებს. სამშენებლო დარგით ხარბად დაინტერესებული მმართველი წრეები თუ ფინანსური „ელიტა“, თავის მხრივ, კანონდარღვევების სტატისტიკას მოქმედების მრავალფეროვან გარემოს უქმნის. ქალაქის ურბანულად ღირებული ტერიტორიები და თბილისის ისტორიული უბნები ბოლო ათწლეულის მანძილზე ყველაზე გახმაურებული სამშენებლო კამპანიების ადგილად იქცა.

უკანონო მშენებლობების თემა ინტენსიურად ფიგურირებს თბილისის კულტურული მემკვიდრეობის სექტორში. ქალაქის ურბანული დაცვის ზონები და პრესტიჟული ცენტრალური უბნები მსხვილი ბიზნეს-ჯგუფების სტრატეგიული ინტერესის ობიექტებია. ბუნებრივია, თბილისის მერია ხელს უწყობს ინვესტიციური ნაკადების მოზიდვას, როგორც ქალაქის ზრდის უმთავრეს პირობას. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ხელისუფლების ორგანოებთან შეჯვარებული სამშენებლო სექტორი გიგანტურ თანხებთან დაკავშირებულ გარიგებებს კლანური სისტემის ნაწილად აქცევს და შედეგად, ამოქმედებას იწყებს „პოლიტიკური დაგეგმარება“. ამრიგად, თბილისის არქიტექტურულ სივრცეში ფული და ძალაუფლება კიდევ ერთხელ და არასაბოლოოდ გარდაუვალ ტანდემს ქმნის, რომელიც დედაქალაქის გრძელვადიანი განვითარების პასუხისმგებლობას, ერთი შეხედვით, ნაკლებად ხმარდება. პრაქტიკა ვიწრო ინტერესების არსებობას უფრო ცხადყოფს ხოლმე.

ბას, ერთი შეხედვით, ნაკლებად ხმარდება. პრაქტიკა ვიწრო ინტერესების არსებობას უფრო ცხადყოფს ხოლმე.

ქლიართა აბა ქვეყნის ექსკლუზიური ინტერესის არაქალაქი თბილისის რაიკრეაციული ზონებია. ისტორიული თუ საბჭოთა პერიოდის პარკები და ბაღები, ახალი ქართვლების „ცდუნების“ წყაროს წარმოადგენს. საზოგადოებრივი სივრცის მითვისების ტრადიციამ სტარტი უახლოეს წარსულში აიღო და უკანონო მშენებლობათა საერთო ტენდენციებს პირდაპირ გამოეხმაურა. ერთ-ერთი პირველი სკანდალი 9 აპრილის ბაღის კუთხეში მრავალფუნქციური კორპუსის მშენებლობას შეეხო (2002 წ.). სასამართლოში არაერთგზის გასაჩივრებული კონსტრუქცია, სატრანსპორტო დისკომფორტის მიუხედავად, დღესაც მომხმარებლის განკარგულებაშია. ანალოგიური სცენარი უფრო მასშტაბურად გათამაშდა ქალაქის უმთავრეს რაიკრეაციულ რაიონში — ვიარს ხეობაში. 2005 წელს, თბილისის მერიისა და საკრებულოს დადგენილებით, ზოოპარკისა და საბავშვო ქალაქ „მზიურის“ ნაწილს მწვანე ზოლის სტატუსი ჩამოერთვა და განაშენიანებას დაექვემდებარა. მიზეზი ბიზნეს-ცენტრის მშენებლობის ამბიციის იყო. ამ გადაწყვეტილებას, რომელიც არქიტექტურულ სამსახურთან არ შეთანხმდა, ავტომატურად მოჰყვა „მზიურის“ ტერიტორიაზე ოცდაორსართულიანი კორპუსის მშენებლობა

ქლიართა აბა ქვეყნის ექსკლუზიური ინტერესის არაქალაქი თბილისის რაიკრეაციული ზონებია. ისტორიული თუ საბჭოთა პერიოდის პარკები და ბაღები, ახალი ქართვლების „ცდუნების“ წყაროს წარმოადგენს.

(2006 წ.). ჩამონათვალს სტანდარტულად აგრძელებს ვაკის პარკის შემთხვევები, ვერის ისტორიულ ბაღში ტექს-ჯგუფის შვიდსართულიანი შენობა და საბურთალოსე ე.წ. წითელ ბაღში მიმდინარე მშენებლობები (2008 წ.).

დედაქალაქი და მისი ისტორიული უბნები, თავისი ჰომოგენური და მრავალნახადი სტრუქტურის განუმეორებლობითა და ურბანულ და არქიტექტურულ-მხატვრული ღირებულებებით, 1999 წლიდან იუნესკოს ძეგლთა დაცვის სიის ნომინანტი იყო. ნიშანდობლივია, რომ ამ ნუსხიდან თბილისი მკაცრი დაცვის ისტორიულ უბნებში დაცვითი მექანიზმების არარსებობის გამო ამოიღეს.

საზოგადოებრივი აზრის და კულტურული მემკვიდრეობის იზნორირების შედეგად უკვე დამახინჯდა მთაწმინდის პლატოს განაშენიანება.

თბილისის ქალაქგეგმარება ყველაზე გამოუსწორებელ შეცდომებს ახალი მშენებლობების შეუფერებელ გარემოში განთავსებისას აწყდება. განსაკუთრებით, ე.წ. დაცვით ზონებში. „საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ (08.05.2007) ახალი შენობების ისტორიულ ურბანულ გარემოსთან დისონანსურ კავშირს კანონდარღვევად განიხილავს (მუხლი 39.3). კანონის მიუხედავად, დღევანდელ დაცვით ზონებში არაადეკვატური ჩაშენებების ისტორიამ 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო ათვლა.

ადრეულ ნიმუშებში აღსანიშნავია დ. აღმაშენებლის გამზირის №75-ში მდებარე საცხოვრებელი შენობა (პ. ძინძიბაძის პროექტი, 1998 წ.). რკინა-ბეტონის ათსართულიანმა ნაგებობამ XIX-XX საუკუნეების მიჯნის სამსართულიან განაშენიანებაში გაუმართლებელი დისონანსი შეიტანა. დ. აღმაშენებლის გამზირის მოდერნული და ეკლექტური ბაროკოს აქცენტებით მსუყე ურბანულ ქსოვილში უცნაურად გამოიყურება ძინძიბაძის პროექტი, რომელიც ერთდროულად „რუსულ კონსტ-

ანჩისხატის გვერდით სასტუმრო „ამბასადორი“ უკანონო მშენებლობების ერთ-ერთი უკიდურესობაა



რუქტივიზმსა და თანამედროვე დეკონსტრუქტივიზმს ეხმიანება“. ვერედან მტკვრის მარცხენა სანაპიროს პანორამაში ეს შენობა საერთოდ ფარავს ი. ჯავახიშვილის ქუჩაზე მდებარე წმ. პეტრესა და პავლეს კათოლიკურ ტაძარს. ქუჩაც და ეკლესიაც ძველი თბილისის რაიონის დაცვით ზონას ეკუთვნის, რომლის მოქმედი კანონმდებლობა ისტორიული პანორამების შენარჩუნებას ითვალისწინებს (კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, მუხლი 35,11); ხოლო დარღვევების შემთხვევაში — დისონანსური ელემენტების დემონტაჟს.

ამავე კონტექსტის თვალსაჩინო ნიმუშია ცნობილი ბიზნესმენისა და მეცენატის ბ. ივანიშვილის პრემიუმ-კლასის ბიზნეს-ცენტრი „სოლოლაკის ხეივანში“ — ე.წ. „ეკოლოგიური არქიტექტურის“ ნიმუში. მთაწმინდის პლატოსა და ქართლის დედას შორის მოქცეული კომპლექსი იმ თანამედროვე ვიზუალურ ხატს ქმნის, რომელსაც არაფერი აქვს საერთო სოლოლაკის დაცვითი ზონის ისტორიულ პანორამებთან, თუმცა იგი ამ რაიონის უკვე განუყოფელ არქიტექტურულ მოვლენად აღიქმება.

ქალაქგეგმარებითი კანონდარღვევების უხეშად დემონსტრირებას ახდენს სასტუმრო „ამბასადორი“ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე (2003 წ.). „ამბასადორის“ შემთხვევა საერთოდ უგულვე-

ბელყოფს არქიტექტურული ძეგლის ზონაში სამშენებლო რეგლამენტაციას: სასტუმროს გადამეტებული სიმაღლის გამო ირღვევა მომიჯნავე ანჩისხატის ეკლესიის მასშტაბი და აღქმის არეალი. თბილისის უძველეს ტაძარს ამოყენებული სასტუმრო „ამბასადორი“ უკანონო მშენებლობების ერთ-ერთი უკიდურესობაა. საპატრიარქოსა და კულტურის სამინისტროს გაპროტესტების მიუხედავად, ყოფილი „ლალიძის წყლების“ შენობა 4-ვარსკვლავიან სასტუმროდ აქციეს. სამწუხაროა, რომ ხელისუფლება დღემდე არ რეაგირებს ამ ფაქტზე, არადა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონტექსტში, მას თავისუფლად მიენიჭებოდა დანაშაულებრივი ქმედების კვალიფიკაცია.

სკანდალური მშენებლობების ჯაჭვურმა რეაქციამ მოიცვა თავისუფლების მოედნის ანსამბლური განაშენიანება. „თბილისის ომის“ დროს დანგრეული კვარტალი მსხვილი საინვესტიციო გარიგებების პლატფორმად იქცა. 2002 წელს მოედნის აღმოსავლეთ მხარეს გაურკვეველ ვითარებაში დამწვარი შენობა დემონტაჟის შემდგომ აღარ აღდგენილა.

არსებული კანონმდებლობის მიხედვით, ისტორიული ძეგლის განადგურების პასუხისმგებლობა ასევე დგება თავისუფლების მოედნის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, ტაბიძისა და ლეონიძის

ქუჩათა გადაკვეთაზე მდგომ შენობის შემთხვევაშიც. ნაგებობით დაინტერესებული მხარის (ბანკი რესპუბლიკა/სოსიეტე ჟენერალის მფლობელი ლ. პაპაშვილი) წინააღმდეგ მიმართულმა საპროტესტო აქციებმა საქმის განვითარებაზე ვერ იქონია გავლენა. პოლიტიკური ძალების მფარველობამ თავისი გაიტანა: კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს ჩამორთმეული შენობა ბანკის ახალი ნაგებობით შეიცვალა. თუმცა პაპაშვილის სასარგებლოდ უნდა ითქვას შემდეგი: საზოგადოებრივი პროტესტის გავლენით და არსებულ კანონთან გარკვეული შესაბამისობით, მან თავდაპირველი პროექტი თავისუფლების მოედნის ანსამბლისთვის ნაკლებ კონტრასტული ვარიანტით შეცვალა. შედეგად, ანსამბლის ვიზუალური შეფარდებები მეტ-ნაკლებად დაცულია.

გ. ლეონიძის ქუჩა 2-ში განვითარებული მოვლენების შესახებ ინტერნეტ-პეტიციის სახით პირველად ითქვა გლობალურ სივრცეში. თუმცა ისტორიული თბილისის განაშენიანებაში კანონდარღვევათა წინააღმდეგ ის არ წარმოადგენდა საჯარო პროტესტის პირველ შემთხვევას. მეტეხის კლდის ისტორია სპეციალისტთა და ქალაქის მთავრობის წარმომადგენლებს შორის მწვავე დაპირისპირების ფონზე წარიმართა, საბოლოოდ, მიღებულ იქნა ურთიერთმეთანხმებული გადაწყვეტილება, მაგ-

რამ თბილისის უნიკალური გეოლოგიურ-ურბანული ლანდშაფტის დაზიანებამ მაინც გამოუსწორებელი ხასიათი მიიღო.

არსებული შემთხვევების მიუხედავად, საჯარო კრიტიკა ქალაქის მართვის იდეოლოგიაში ჭეშმარიტად აქილევსის ქუსლადაა ქცეული. დედაქალაქის ურბანული გარდაქმნის თანამედროვე ისტორია, გარდა სამთავრობო-სახელისუფლო სექტორისა, მოიცავს თბილისის არქიტექტურის სპეციალისტთა პროფესიულ რიგებსაც, რომელთა თანამონაწილობა მიმდინარე მტკივნეულ პროცესებში არანაკლებ საპასუხისმგებლოა. არქიტექტურულ საბჭოებზე გატანილი პროექტები, რომელთა დიდი ნაწილი კერძო განხილვებში და სუბიექტურ მოსაზრებებში გამართლებას ვერ პოულობს, საბოლოოდ მაინც დამტკიცებული სახით რეალიზდება. გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ გარეშე დამკვირვებელს მიღებულ შედეგებთან დაკავშირებით ეჭვი უჩნდება და პროფესიულ საზოგადოებას არადამაჯერებელ და უპრინციპო ქმედებაში სდებს ბრალს. **შეიძლება თუ არა ასეთ შემთხვევაში „ორმაბ სტანდარტზე“ და „ხალის ბასვრაზე“, ანუ ოფიციალურ და პირისპირების არიდებაზე საუბარი, თუ ეს ყველაფერი იმის შედეგია, რომ მართვის გეგმები „სხვის ხელში“ და უნაყოფოა წინა-**

ალმაღოზის განვითარება?

პასუხისმგებელი მხარის გამოაშკარავება შექმნილ დილემას ვერ გადაჭრის, რადგან პრობლემა არა კონკრეტულ პიროვნებასა თუ ჯგუფში, არამედ საერთო მსოფლმხედველობით სიტუაციაში მდგომარეობს, რადგან ორივე, დაპირისპირებულად მოაზრებული მხარე თან დამნაშავეა, თან არა. პოლიტიკური, მმართველი მხარე პროფესიონალთა რეკომენდაციებზეა დამოკიდებული. მაგრამ ურთიერთთანამშრომლობის ეს ლოგიკური პროცესი სრულიად არ ნიშნავს ქალაქმშენებლობითი სირთულეების მარტივ და სანდო მოგვარებას. თვით პროფესიონალთა კოლექტივია არათანმიმდევრული, რომელიც ურთიერთსაწინააღმდეგო არქიტექტურული იდეებით საკუთარ წიაღშიც ვერ ახერხებს შეთანხმებას, რაც შესაბამისად აისახება დამკვეთი მხარის, პოლიტიკური თუ ფინანსური წრეების არათანმიმდევრულ ქმედებებშიც. შედეგად კი ჩნდება ურთიერთდადანაშაულებით თავის მართლება, რაც სინამდვილეში პარტნიორული ურთიერთობების მიღმა ქედმაღლური დამოკიდებულების არსებობას და თანამშრომლობის ნაკლებ სურვილს მოწმობს. საბოლოოდ კი, ცნობიერი ფონის გადაფასებისა და გადასინჯვის აუცილებლობამდე მივდივართ.

მოძველებული კანონის გამო, კულტურული მემკვიდრეობის



უკანონო ნგრევა მირზა-შაფის ქუჩაზე

ძეგლის სტატუსის მოხსნით დემონტაჟის საფრთხე შეექმნა ე. წ. იმელის (ა. შჩუსევი, 1938 წ., შ. რუსთაველის გამზირი, 29) და გაზით „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის (დ. ჩისლიევი, 1930 წ., შ. რუსთაველის გამზირი, 42) შენობებს. თბილისის არქიტექტურულ ლანდშაფტში „სტალინური ამპიონის“ და კონსტრუქტივიზმის საუკეთესო ნიმუშები სახელმწიფომ კერძო ინვესტორებზე გადასცა. ყოფილი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის, იგივე „იმელის“ შენობის, ურბანული ღირებულებებით რამდენიმე საერთაშორისო საფინანსო ჯგუფი დაინტერესდა, მათ შორის მსოფლიო კლასის სასტუმროთა ქსელი — კემპინსკი. უახლოეს მომავალში „იმელის“ მონუმენტურ-პომპეზურ პროექტს საბჭოთა ეპოქის მოგონებიდან თანამედროვე სასტუმროთა კოსმოპოლიტურ ალიანსში გადანაცვლება მოუწევს. ეს გარემოება ქალაქის ეკონომიკური წინსვლისთვის დამაჯერებელი არგუმენტია, მაგრამ საკითხავია, რამდენად გამართლებულია ისტორიის, თუნდაც ოდიოზური საბჭოთა შემთხვევის, მსგავსი შესტებით იგნორირება.

2009 წლის გათვალისწინებული სპანდალურ გამოწვევას უკანონო გზაგადაკვეთა რიგში მიიჩნევა. შაფის შემთხვევა ნარმოადგანს. მოვლენა, რომელმაც გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა თბილისის ისტორიულ პანორამას, დღემდე რეალიზაციის პროცესშია. ისტორიული განაშენიანების უბნში ხელყოფის შემთხვევები ქართულ სინამდვილეში სამართლიანობის პრინციპთა ქმედითობას არაუკანასკნელად აბათილებს. ქალაქის განვითარების სახელით კერძო ინტერესების დაკმაყოფილება და საქალაქო რესურსების პარაზიტული მოხმარება, სავსებით ლოგიკურად, მთელ რიგ სპეციფიკურ კონფლიქტებს უხსნის პირს.

იმედი ვიქონიოთ, რომ ამჯერად ევროპული დედაქალაქებისა და მსოფლიო პოლისების ნაბაძვით, რომლის სურვილიც არაერთხელ

დადასტურდა ქართულ სამშენებლო რეალობაში, მაინცდამაინც არ შევბლაღავთ თბილისის ისტორიულ სახეს და განუმეორებლობას. საკუთარი კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა ხომ უფრო ღირსეული საქმეა... თუ პოსტმოდერნულად მონათლულ ეპოქაში, როდესაც ინდივიდუალიზმი და უნიკალურობა წარსულს ჩაბარებულად აღიქმება, არაა ეს საკმარისი?!

აღნიშნული სამშენებლო დარღვევები თბილისის ისტორიულად ავთენტური გარემოს იდენტურით ჩანაცვლების წინაპირობა ხდება. ასეთი პერსპექტივების შემთხვევაში, კულტურული მემკვიდრეობის ბიზნეს-დაპროგრამების რეგისტრზე დაიწყებს გადასვლას. ისტორიული უბნების უძველესი ვიტალური იმპულსების გაუფერულება ქალაქმშენებლობითი ბაზის მოდიფიცირებას გამოიწვევს და საოფისე-სავაჭრო რეჟიმებზე გადართულ კულტურულ ზონებში ახალ ურბანულ ღირსშესანიშნაობებს დაუდებს სათავეს. „დაკონსერვებული“ კულტურული მემკვიდრეობა ზედმეტად ძვირი და ხანგრძლივი სიამოვნებაა ქალაქის ბიუჯეტისთვის, ამიტომაც მას ან სწრაფი რეკონსტრუქციის ეფექტურობას, ან კიდევ თანამედროვე სამშენებლო მასალით დადგმულ კომპლაციებს ამჯობინებს. **ხის და აბურის ფაქტურას კვეთს თბილისურ მოტივებზე აშენებულ სახლებში უნაშად ენაცვლება რკინის არმატურა და ბლოკით ნაგები კედლების შეღებვითი ფასადები. ამ ახალი პროექტების უჩვეულო პომპეზულობა და სიჭრელის არაერთგვაროვნა და ხელოვნური განწყობა შეაქვს დაცვით ზონებში** (ბეთლემის ქუჩა, 28). სავსებით მოსალოდნელია, რომ მომავალი თაობები ხელოვნურად კონსტრუირებულ ძველ თბილისს „ზომბირებული“ ისტორიით გაეცნობა.

აღნიშნული ტენდენციები იმ უბნში პოლიტიკის გამოძახილია, რომელიც დღევანდელ საქართ-

ველოში კულტურის გაყიდვას წარმართავს. ხელოვნება მხოლოდ ესთეტიკური ფუნქციის არეალში მოიაზრება, რაც მისი ეკონომიკური პოტენციალის გამოუმჯობესებას აბრკოლებს. **ადრე თუ გვიან ქართველი ინვესტორებისთვის გასაცნობიერებელია, რომ თბილისის რესტავრაციარეგენერაცია არა ფინანსური რისკის მომცველი, არამედ მნიშვნელოვანი ეკონომიკური რესურსია კულტურული ტურიზმის ხელშეწყობისათვის და უცხოური ინვესტიციების წახალისებისათვის.**

ძველ თბილისში საცხოვრებელი სახლებისგან განტვირთვის ტენდენცია და ტერიტორიის რეკრეაციული ფუნქციით განვითარება (რიყის რეაბილიტაციის პროექტი) კულტურული მემკვიდრეობის მქონე ქალაქთა სტანდარტული გამოცდილებაა. თბილისის ტურისტული პერსპექტივების ეფექტურობა დიდწილადამ ამ ურბანულ სტრატეგიაზე დამოკიდებული, მაგრამ ქალაქგეგმარების ერთიანი კონცეფციის არარსებობის გამო ეს პროცესი სერიოზული კანონდარღვევებით მიმდინარეობს. სანამ თბილისის განვითარების ამ ფუნდამენტურ პრობლემას გადაწყვეტენ, რისკის ფაქტორი პროგრესულად მატულობს სუსტი ინფრასტრუქტურისა და ძლიერი ავარიულობის რაიონებში.

ისტორიული ხარფუხის დასახლება, ამ მხრივ, „ურბანული გენოციდის“ მოლოდინშია. ტოპონიმი „ძველი ქალაქი“ თითქმის აღარ შეეფერება უბნის რიგ ტერიტორიებს. ადგილობრივი ირეგულარული გეგმარება, საცხოვრისის ღია სივრცითი ორგანიზაცია, კიდული აივნებისა და შიდა ეზოების ინტიმური შარმი მკაცრი გეომეტრიული კონფიგურაციის ყრუდ მოსაზღვრული რეზიდენციებით იცვლება. ტერასული განაშენიანების პრინციპი ახალ მშენებლობებშიც გრძელდება, მაგრამ ლოკალური გარემოსთან მიმართ ამკარად ირღვევა მასშტა-

ბური შეფარდების, სიმაღლეთა კონტროლისა და ფენესტრაციის დაცულობა. **კანონდარღვევების კლასიკად იქცა უნებართვოდ დაშენებული და ზომებში გაბერილი მანსარდები.** ნიმუშების რიცხვი არასასიამოვნოდ მატულობს: „ტიფლის კლბი“ — გორგასლის 3/5, მრავალფუნქციური ნაგებობა — ცურტაველის ქუჩა 2, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებარე პროექტი — ფირდოუსის ქუჩა 5, მშენებარე საცხოვრებელი სახლი — ბერძნის ქუჩა 39 და სხვ. ისტორიული ზემო კალას პარალელებიდან გამომდინარე ი. და ნ. ნაკაშიძეების ქუჩის 32-ში მდებარე ხუთსართულიანი კორპუსი, რომელიც ნ. ბარათაშვილისა და კ. ლესელიძის ქუჩათა შორის მოქცეულ ორსართულიან განაშენიანებაში უსახურად არტიკულირებს და დასახლების ვიზუალურ, კონსტრუქციულ ჰომოგენურობას ბლაღავს.

ძველ თბილისში მოქმედი მშენებელი კომპანიები კლიენტურის მისაზიდად უნიკალური ადგილმდებარეობითა და შთამბეჭდავი ხედებით მანიპულირებენ. ბიზნეს-ოპერაციებს ერთვის მომხმარებლის გემოვნების ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი. ათვისებული ტერიტორიების ურბანულ იერ-სახეს სწორედ დამკვეთთა გემოვნება განსაზღვრავს, რომელიც არცთუ ხშირად, შემოქმედებით პროექტებს იმიტაციურს ამჯობინებს. ახალი მშენებლობების არქიტექტურული ღირსებები, მათი არსებობის შემთხვევაში, მომენტალურად ბათილდება ისტორიული გარემოს თვითმყოფადობის შელახვის ფონზე. ყოველ ისტორიულ უბანს საკუთარი მორფოლოგიური ტრადიციები და ორგანულობის კოეფიციენტი აქვს. ქალაქის დაძველებული ურბანული ქსოვილის განახლების საჭიროება აქსიომაა, მაგრამ ისიც აშკარა უნდა იყოს, რომ ხარფუხის XIX საუკუნის დროინდელ განაშენიანებაში არ შეიძლება ვაკე-საბურთალოს დაშენება. თუმცა, ქართული კომპლექსების პირობებში, ტურის-

ტულ მექად ქცეული კულტმემკვიდრეობის ზონები სნობური ელიტარულობისაგან მაინც არაა დაზღვეული.

საქალაქო ინფრასტრუქტურის შეცვლა საგრძნობლად ცვლის კონკრეტული ტერიტორიის მნიშვნელობას, რადგან იზრდება მისი ექსპლუატაციის ხარისხი და ურბანული ფასეულობა. ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული გადანაცვლებები კი, ეჭვგარეშე, პოლიტიკური პროცესია. საბჭოთა პერიოდში გადაუჭრელი დარჩა ქალაქის ისტორიული ნაწილის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის საკითხი. კომპარტიულ წრეებში თბილისის ურბანული გადაფასების ფარულ პოლიტიკას ჰქონდა ადგილი — 1940-იანი წლებიდან ქალაქის დაძველების გეგმა არსებობდა, ანუ, როდესაც ბუნებრივი ნგრევის შეგნებული შეფერხება ხდებოდა. **ფაქტია, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვით ზონებში 1952 წლიდან სადრენაჟო არხები არ განმენდილა. დღეს კი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებით არსებობს დილემმა: ინფრასტრუქტურის მოწყობა თუ უბნის რეაბილიტაცია?!**

ძველ ქალაქში მოსახლეობას საკუთარი საცხოვრისის ტექნიკური გამართულობა უფრო ალელვებს, ვიდრე მისი არამატერიალურ ღირებულებათა ჩამონათვალი, რომელიც დღევანდელ სიტუაციაში არავითარ სარგებელს არ აძლევს ბინის მეპატრონეს. ეს ბუნებრივი ადამიანური მოთხოვნილებაა, რომლითაც, საბოლოო ჯამში, **ინვესტორები სპეკულირებენ. კანონი, თავის მხრივ, დედაქალაქის ურბანული ფასეულობების დაცვის პრიორიტეტულობას უსვავს ხაზს.** მოქალაქეთა და სახელმწიფოს ინტერესების ამ უხერხულ დაპირისპირებას დელიკატური მიდგომა სჭირდება. კეთილმოწყობილი „აბაზანატუალეტის“ პრობლემა და ინვესტორთა დღევანდელი მოგების სურვილი სასწორზე დებს მომავალი თბილისის ისტორიული

ქსოვილის თვითმყოფადობას. ჩვენში ჯერ კიდევ გასაცნობიერებელია კულტურული მემკვიდრეობის რაობა, მისი მოვლისა და დაცვის პასუხისმგებლობა. უტილიტარული საფუძველი მნიშვნელოვანია, მაგრამ ქალაქის განვითარების შორეულ პერსპექტივში იდენტურობის შენარჩუნების საკითხი უმნიშვნელოვანესია.

დღევანდელი შენების პათეტიკა პარადოქსულად უთანხმდება ნგრევის იდეოლოგიას. ხელისუფლება „მომავლის თბილისის“ ეგიდით მსოფლიო პრიორიტეტების ადაპტირებას ცდილობს და ქალაქში მასშტაბურ ცვლილებებს ხელს უწყობს. ამიერკავკასიის მეგაპოლისად დასახული თბილისი, მისი მინის პალატიანი სავაჭრო და ბიზნესცენტრები, მრავალსართულიანი შენობების მანია და სწრაფი მოგების მოლოდინში ყადაღადებული ისტორიული უბნები პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოს თვითდამკვიდრების ამბიციია. ასევე სულსწრაფ პერიოდში, ადვილია საკუთარი იდენტურობის დაკარგვა. რეალურად, თბილისის მორფოლოგიური ფორმირების ახალ, თანამედროვე ეტაპზე კულტურული მეობის შენარჩუნება უმთავრესი პრობლემაა. სწორედ ამ ცნობიერი ფონიდან გამომდინარეა უკანონო მშენებლობების სინამდვილე. თუმცა, ქართული მენტალური ფენომენის ნაწილად, ლ. ბერძენიშვილის თანახმად, სახელდება კანონდაუმორჩილებლობაც. გამოდის, რომ დღევანდელ კვერცხს გაჭირვებით დავთმობთ ხვალინდელი ქათმის სანაცვლოდ და უკანონო მშენებლობების თემა-საც ქართველი საზოგადოება არაერთხელ მიუბრუნდება, ხოლო დედაქალაქის მთავრობა თანამედროვე თბილისის გარდაქმნის გზას „ხელოვნებასთან“ და მაღალ კატეგორიებთან კავშირში ისევე თავმომწონედ დაგვისურათებს, როგორც თითქმის საუკუნის წინანდელი წერილი საბჭოთა ჟურნალიდან.

ნიკო ჭინჭარაული

ომარ მარგველაშვილი:

ქალაქი პროფესიონალებმა უნდა ააშენონ

ომარ მარგველაშვილი ცნობილი ქართველი მშენებელია. გავლილი აქვს ამ დარგის ყველა საფეხური — მუშიდან მშენებლობის მინისტრის პირველ მოადგილემდე. ხელმძღვანელობდა: მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის, იმირის სამსხვრევ-დამხარისხებელი ქარხნის, ტყიბულისა და ტყვარჩელის ნახშირის მომპოვებელი შახტების, ჭიათურის მარგანეცის მომპოვებელი მაღაროების, კვანის ტყვია-თუთიის, ტყვარჩელის დოლომიტების, ურავის დარიშხანისა და რაჭის ბარიტის გადამმუშავებელი კომბინატების, საბაგირო გზების (ტყვარჩელში, ტყიბულში, ჭიათურასა და რაჭაში), საბჭოთა კავშირში პირველი მინისქვეშა — 1100 მეტრ სიღრმეზე ჰიდროელექტროსადგურის, ალაზნის სარწყავი სისტემის, სამოქალაქო დანიშნულების სხვადასხვა შენობა-ნაგებობის, მოსკოვში საქართველოს საელჩოს სასტუმროს, თბილისში ქორწინების სასახლის, ყვარელსა და თბილისში ღვინის ქარხნებისა და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობას; მუშაობდა ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა დარგში ხელმძღვანელ თანამდებობებზე; არის საქართველოსა და რუსეთის დამსახურებული ინჟინერი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, მშენებლობის ეკონომიკის, ორგანიზაციის, მართვისა და ტექნოლოგიური კომპლექტაციის საკითხებზე გამოქვეყნებული 11 სამეცნიერო ნაშრომისა და სამი წიგნის ავტორი, საქართველოსა და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიების აკადემიკოსი. ბატონი ომარი ქალაქმშენებლობის პრობლემებზე გვესაუბრება:

— მშენებლობაში დღეს არსებული ქაოსი, დიდწილად გამოწვეულია იმით, რომ ქვეყანაში არ არსებობს დარგის ძლიერი მაკოორდინებელი სტრუქტურა. ნაცვლად ყოფილი მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტისა, რომელიც კანონმდებელი იყო მშენებლობაში. სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, რომლებსაც მშენებლობის საკითხების კურირება ევალება, ძირითადად დაკავებულია მშენებლობის ნებართვების გაცემითა და საგადასახადო ფუნქციების შესრულებით. მშენებლობის საქმე ხელისუფლებას, ასე ვთქვათ, თვითდინებაზე აქვს მიშვეებული. და პირველი, რასაც ახალ ხელისუფლებას ვურჩევდი,

არის მაღალი დონის პროფესიონალებით დაკომპლექტებული მაკოორდინირებადი სამშენებლო სტრუქტურის შექმნა.

სამწუხაროდ, საქართველოში არ არსებობს საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებისა და ექსპერტების ლიცენზირებისა და სერტიფიცირების სისტემა. ეს არის იმის მიზეზი, რომ ბევრი ობიექტი აშენდა და დღესაც შენდება არასრულყოფილი, მდარე ხარისხის პროექტებით. ამას ისიც ემატება, რომ **პროექტის ექსპერტიზა ხშირად საექსპოკვალიფიკაციის „ექსპერტების“ მიერ სორცინლდება და დამტკიცება მხოლოდ არქიტექტურული ნაწილის სა-**



ომარ მარგველაშვილი

ფუქველზე ხდება. ეს დაუშვებელია!

უხარისხო და შეუმონებელი პროექტებით მშენებლობის შედეგად ბევრი ახალაგებული შენობა-ნაგებობა უკვე ავარიულია ან არასაიმედოდ ითვლება. ეს, უწინარესად, ითქმის ბოლო 25 წლის განმავლობაში აგებულ შენობებზე, განსაკუთრებით, საცხოვრებელ სახლებზე.

ახლახან ტელევიზიით გამოვიდა სამშენებლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი **დავით გიგინეიშვილი** და განაცხადა, რომ საქართველო მსოფლიოში მეორე ადგილზეა მშენებლობის ნებართვის გაცემის სიმარტივით. ეს, ჩემი აზრით, საამაყო მიღწევა კი არ არის, სატირალია. რატომ, იცით? იმიტომ, რომ არავითარი ზედამხედველობა, არავითარი გონივრული კონტროლი არ არსებობს. როგორც ჩვენმა სახელოვანმა არქიტექტორმა **გიგა ბათიაშვილმა** ერთ-ერთ ინტერვიუში

განაცხადა, ყველაფერი სააკაშვილის ხელშეწყობით, ჰაიპარად წყდებოდა.

— არადა, დღეს დედაქალაქში მშენებლობის ბუმი. ასე ჰაიპარად თუ აშენებენ, გამოდის, რომ კატასტროფისგან დაზღვეული არ ვართ?

— მაგრამ ის, რაც ვთქვი, პრობლემის ერთი მხარეა. მეორე, არანაკლებ ნეგატიური შედეგის მომტანია ჩვენთან დანერგული პრაქტიკა, რომლის მიხედვით, **სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოების უფლება აქვს ყველას, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა აქ დასაქმებული თანამშრომლები, სათანადო განათლების, გამოცდილების მქონენი; უზრუნველყოფილია თუ არა ორგანიზაცია სათანადო ტექნიკური აღჭურვილობითა და ფინანსური რესურსებით. სამშენებლო-სამონტაჟო საქმიანობის წარმოება აუცილებელია ლიცენზირებით.**

— შეგიძლიათ, დააკონკრეტოთ თქვენი მოსაზრება?

— ჯერ ერთი, დასკვნები, რომლებიც მოგახსენეთ, კონკრეტული მაგალითების საფუძველზეა გაკეთებული და არსებულ რეალობას ობიექტურად წარმოგვიდგენს. მაგრამ, თუ მაინცდამაინც კონკრეტულად მთხოვთ, **უწინარეს ყოვლისა, დაგინახალებთ კომპანია „ცენტრ-პონტ“, რომელმაც 7000-მდე მოსახლე უზინაოდ დატოვა.** ამ და სხვა ორგანიზაციების მიერ დაუმთავრებელმა შენობა-ნაგებობებმა კიდევ უფრო დაამახინჯა თბილისი და საქართველოს სხვა ქალაქები.

მშენებლობაში ტანდარები ტარდება სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებულად. რაც მთავარია, მათ სააჭვო და დაბალი რეპუტაციის ადამიანები ატარებენ.

— ბატონო ომარ, ალბათ, მიაქცით ყურადღებას, რომ სამშენებლო ბუმს სამშენებლო მასალების არნახული რეკლამირება

სდევს თან. თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი როგორია? ხარისხზე გეკითხებით.

— სამშენებლო მასალების ხარისხი ცალკე პრობლემაა. ყველა რეკლამას ვერ ენდობი, რადგან არ ხდება საშენი მასალების სერტიფიცირება. უნდა აიკრძალოს უხარისხო, ჯანმრთელობისთვის მავნე და ეკოლოგიურად დაბინძურებული მასალების წარმოება და იმპორტირება.

წლების მანძილზე წერს ბატონი **ანზორ საკანდელიძე** უხარისხო საშენი მასალებზე, შენობა-ნაგებობათა მდგრადობის არასანდოობაზე. წერს ხელისუფლების გასაგონად, მაგრამ ვინ უსმენს ან ვინ რეაგირებს?! სამწუხაროდ, არავინ.

მივმართავ ჩვენს ხელისუფალთ: გატონებო, მინდა, გაგაფრთხილოთ, საკმარისია საშუალო სიმძლავრის მინისტრატე კი, რომ ძველანაშადიანი ზარალი განიცადოს, დაიღვევას მთელი რიგი შენობების კონსტრუქციული მდგრადობა. ადამიანურ მსხვერპლზე არაფერს ვამბობ!

ამას მიკარნახებს ჩემი გამოცდილება, რომელიც სომხეთის — სპიტაკისა და ლენინაკანის დამანგრეველი მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო შტაბის ხელმძღვანელობისას შევიძინე.

— ქართველი მშენებლები პირველები ჩავიდნენ მიწასთან გასწორებულ ქალაქებში პრაქტიკული დახმარების აღმოსაჩენად.

— არ მინდა, ჩემს სამშობლოს ასეთი კატასტროფა დაატყდეს თავს და ის ნგრევა, მსხვერპლი და ცრემლი ოდესმე განმეორდეს... **გაოცებული ვარ, ჩვენი მთავრობა ყოფილი ხელისუფლების დანაშაულებრივ შეცდომებს რომ არ ასწორებს.**

მშენებლობის სამინისტრო, სადაც 68 ათასი ადამიანი მუშაობდა, სახელმწიფო მშენებლობის კომიტეტი, სეისმოლოგიისა და სამშენებლო მექანიკის ინსტიტუტი, გეოლოგიის დეპარტამენტი, ჰიდროლოგიური და საინჟინრო-გეო-

ლოგიური პარტია გაუქმებულია, მათ აღდგენა-ამოქმედებაზე კი დღეს არავინ ფიქრობს. ამ დაწესებულებების შენობების გაყიდვა იყო მერიის მთავარი მიზანი.

ახალი ხელისუფლების არაკომპეტენტურობამ, მშენებლობის რისკებმა აპოგეას მიაღწია. შენობა-ნაგებობები ინგრევა, ირღვევა, იშლება...

ვიღაც დილტანტებს, არასპეციალისტებს ეპითხებიან ჭკუას. გრუნტების გამოლომის ან საერთოდ არ შეისწავლიან, ან მოვალეობის მოხდის მიზნით გასცემენ მშენებლობაზე ნებართვის „დოკუმენტებს“. პროექტების შეთანხმება, დამტკიცება და მშენებლობაზე ნებართვის მიცემა ხდება არაპროფესიონალების მიერ, რომელთა წრეში პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება ქრთამს. ხოლო სადაც ანგარება გატონობს, იმ კეთილსინდისიერებაზე, წესრიგსა და ხარისხზე ლაპარაკი უაზრობაა.

ჯოკია ბოდოკიას მაგალითიც საკმარისია ჭკუის სასწავლებლად, მაგრამ ისწავლეს რამე ამ მაგალითიდან? — ვეჭვობ.

მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ცირკის მოპირდაპირე მხარეს **სოსო ორჯონიძე** რომ აშენებს ორ მაღლივ შენობას...

— „პატი ვ პატაშონს“..

— დიახ, დამლილი კლდის თავზე რომ აშენებს, სასწრაფოდ თუ არ გაუკეთეს ტორკრეტ-ბეტონი...

— ?

— ტორკრეტ-ბეტონი, მაღალი მარკის თხევადი ბეტონი, მაღალი წნევით შეჰყავთ ნაპრალებში, ან გამოფიტული კლდის გამაგრება შესაძლებელია საყრდენი კედლით. **ასე თუ არ გაამაგრეს, გამოიტყულები არ არის, დროთა განმავლობაში ჩამოიშალა კლდე და ნაგებობა ჩამოინგრება.**

სამშენებლო ობიექტებს დღეს არავინ უწევს ტექნიკურ ზედამხედველობას. სპეციალური სტრ-



უქტურა — ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ორგანიზაცია — აღარ არსებობს.

ერთ მნიშვნელოვან საკითხსაც მივაქცევთ თქვენი მკითხველის ყურადღებას, რომელიც მოგვარებულია მსოფლიოში, მათ შორის, ყოფილი საბჭოთა კავშირის 14 რესპუბლიკაში, საქართველოს გარდა.

— ყურადღებით გისმენთ, ბატონო ომარ.

— ობიექტები ყველგან ბოლომდე დასრულებული სახით ბარდება. ყველგან! ჩვენი ქვეყნის ბარდა, სხვაგან არსად არსებობს ცნება „შავი“ და „თეთრი“ კარკასი. ამ ცნებებს წარტილი უნდა დაეყრდნოს. ასე „შავ-თეთრად“ ობიექტების ჩაბარება და მიღება დანაშაულია ხალხისა და ქვეყნის წინაშე. სახლების შემდეგ დაუსრულებული რემონტებით, კომუნიკაციების მონტაჟით და ა.შ. არა მხოლოდ მოზინადრეები იტანჯებიან, არამედ მეზობლებიც.

შენიშვნა-ნაგებობები ექსპლუატაციაში დასრულებული უნდა ჩაბარდეს. დასრულებული უნდა იყოს შიდა და გარე კომუნიკაციები, მოპირკეთების სამუშაოები, ლიფტის მონტაჟი, კიბის უჯრედის, სადარბაზოს, ავტოსადგომების მოწყობის, გამწვანების, შენობის გადახურვის საიზოლაციო სამუშაოებიც კი.

საცხოვრებელი ბინის გეგმარება უნდა ეთანადებოდეს მაცხოვრებელთა მოთხოვნებს, მაგრამ არ უნდა აზიანებდეს კონსტრუქ-

ციულ მდგრადობას. ეს უპირობო მოთხოვნაა, რომელიც აუცილებლად გასათვალისწინებელი გახდება პოსტსაბჭოთა პერიოდში, მაგრამ ამის განხორციელება ისეთი ველური წესით არ უნდა ხდებოდეს, როგორც ამჟამადაა: შევლენ ბინებში და მიადგებიან მზიდ კედლებს... ჩვენ, ყველანი, მომსწრე ვართ შემთხვევების, როცა ამ მიზეზით ინგრევა შენობა, არცთუ იშვიათად — მსხვერპლით.

— ასეთი შემთხვევა ჯიქიას ქუჩაზე ერთ-ერთი შენობის „რუსთავი 2“-ის სტუდია და დაკეთებისას მოხდა.

— სხვაც იყო, არც ისე გახმაურებული ფაქტები.

— რით უნდა მოველოს ამ ნაკლს?

— აუცილებლად და კატეგორიულად უნდა აიკრძალოს დაუსრულებელი ობიექტების ექსპლუატაციაში მიღება. ამ წესის დამრღვევების მიმართ უნდა ამოქმედდეს უმკაცრესი საწესიები — სოლიდური ჯარიმებით დაწყებული, სისხლის სამართლის საქმის აღქმით დამთავრებული. იმედია, საქმეს აქამდე არ მიიყვანენ.

„ოცნების“ კოალიცია ხელისუფლებაში ახალი მოსული იყო, როცა მშენებელთა კოდექსის შედგენაში დახმარება მოხვედრეს. 2013 წლის მარტში ამ კოდექსის პროექტი პარლამენტს გადაეგზავნა. ორ წელიწადზე მეტი გავიდა და ახლახან ტელევიზიით

მოვისმინე, რომ ყველაფერს დაარეგულირებს სამშენებლო კოდექსი, რომელიც მალე გამოვაო.

დედაქალაქში სამშენებლო საქმეს არაპროფესიონალები განაგებენ და თავს უფლებას აძლევენ, დაგეგმოდვრონ კიდეც ტელევიზიითა და პრესით მაშინ, როცა ქალაქის გენერალური გეგმა, ე.წ. ქალაქის კონსტიტუცია ვერ შეუდგენიათ, რაც მათი უშუალო მოვალეობაა.

დედაქალაქის მერად არჩევამდე მშენებლები და არქიტექტორები შევხვდით ბატონ დავით ნარმანიას. მე მას ვუთხარი, რომ მშენებლები და არქიტექტორები მხარს დაგიჭერთ, მაგრამ უნდა გაითვალისწინოთ, რომ მერად არჩევის შემდეგ უახლოეს დღეებში აუცილებლად უნდა შექმნათ მრჩეველთა საბჭო, რომელიც დაკომპლექტებული იქნება გამოცდილი პროფესიონალებით, ქალაქის მეურნეობის ზედმინვენიტ მცოდნე სპეციალისტებით, რომლებიც გარკვეული არიან წყალმომარაგების, ელექტრომომარაგების, გაზომომარაგების, სანიაღვრე და კანალიზაციის სისტემების, კეთილმოწყობა-გამწვანების და ა.შ. სპეციფიკურ საკითხებში.

რამდენიმე თვის შემდეგ მან გამოსცა განკარგულება, რომლითაც დაამტკიცა მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა. გაინტერესებთ ამ სტრუქტურის პერსონალური შემადგენლობა? გეტყვით, რომ ძალიან ღირსეული ადა-

მიანობა არიან, მაგრამ ის საკითხებთან, რომლებიც ჩამოვთვალე, არავითარი შეხება არ აქვთ, არაფერი უსაძველათ ქალაქის მეურნეობასთან.

სხვათა შორის, ბატონ დავითს ვუთხარი, რომ მრჩეველთა საბჭოს წევრებმა უნდა იმუშაონ საზოგადოებრივ საწყისებზე. ისინი უნდა იყვნენ გულანთებული ქალაქელები, რომლებიც მზად არიან, უანგაროდ ემსახურონ დედაქალაქს თავიანთი პროფესიული ცოდნითა და მდიდარი გამოცდილებით.

ეტყობა, ამაოდ გავისარჯე. აქვე ერთ საკითხსაც შევხვები. საყოველთაოდ ცნობილია, რომ „ყველაფრისმცოდნე“ ყოფილი პრეზიდენტი მაინცდამაინც უცხოელ არქიტექტორებს, მშენებლებს, გეოლოგებს ინვესტა დედაქალაქის ობიექტების დასაპროექტებლად და ასაგებად. ყველა ობიექტს არ შევხვები, მაგრამ **გვერდს ვერ ავშვლი აეროპორტის ახალ შენობას, იუსტიციის სახლს, პარლამენტის შენობას ქუთაისში, ამ ტრიადას, რომლებსაც სახელი გაუვარდა იმით, რომ ავარიულები გამოდგა სამივე: ერთს სახურავი სამჯერ ახადა ქარმა, მეორეს სახურავმა პირველსავე წვიმას ვერ გაუძლო, მესამეს „სახურავი დაუცურდა“. სხვა ნაპლს აღარ შევხვები. არქიტექტორებიც და მშენებლებიც დაბალი დონისანი იყვნენ. ეს ფაქტებით დამტკიცდა. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მათთვის, დიდძალი ფული წაღოთ საქართველოდან.**

ამ დროს კი ჩვენი ბრწყინვალე არქიტექტორები, უმაღლესი კატეგორიის მშენებლები და გეოლოგები უმუშევრები დარჩნენ.

— რა გიკვირთ, ბატონო ომარ, ჩვენები ხომ „ჩარეცხილები“ იყვნენ.

— არც მიკვირს, მაგრამ ისეთი რა დანაშაული გვაქვს ჩადენილი, რომ უგუჟური სააკაშვილის მიერ დასმული დამლა დღემდე ვერ მო-



ვიცილებთ?

ის, რაც სააკაშვილმა გააკეთა, მავნებლობაა, თაობის განირვანა. მაგრამ მისი ეს დანაშაული თითქმის მივიწყებულია. დღეს უმეტესად ბიზნესმენების გატყავებაზე, პატიმრების მიმართ სასტიკ მოპყრობაზე, მილიონების მითვისებაზე ლაპარაკობენ ელექტრონულ თუ ბეჭდვით მედიაში. არადა, სამართლიანობის აღდგენა ამ მორალური დანაშაულის გამოსწორებასაც ნიშნავს. **დაველოდოთ? კი, გატონო! მაგრამ როდემდე? ცოტაც და, ახალი არჩევნები მოგვადგება ქარს.**

— მშენებლობა და ტრანსპორტი, საავტომობილო საცობები თბილისში, ამაზე რას იტყვით, ბატონო ომარ?

— საკომუნიკაციო სამუშაოები, ნავის გატანა, სავაჭრო დისტრიბუცია მხოლოდ ღამის საათებში უნდა ხდებოდეს. ასეა დადგენილი ცივილიზებულ ქვეყნებში. ყოველად დაუშვებელია, როცა ისედაც ვიწრო თბილისურ ქუჩებს ახალმშენებლობების ღობეებით ისე შემოსაზღვრავენ, რომ ორი მანქანა გვერდს ვერ აუქცევს ერთმანეთს. ის კი არა, ერთიც ვერ გაეტევა.

ეს მოთხოვნა ტანდარისა და ხელშეკრულების პირო-

ბაზში უნდა ჩაიდოს და მის შესრულებაზე კონტროლი დანესდეს.

რა დიდი ამბავი ამას სჭირდება, მერის ერთი განკარგულებაა საკმარისი.

მე, მშენებელი კაცი, საზოგადოდ, ნგრევის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ **მხარს ვუჭარ ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილის მოთხოვნას, რომ დაინგერს გმირთა მოედნის ცენტრში აღმართულ რაღაც გაუგებარი, ფალოსის მსგავსი სვეტი, რომელიც სამაგისტროდ დაგვიტოვა ტუტუცმა პრაზიდენტყოფილმა და მის ადგილზე აღიმართოს საქართველოს უდიდესი მონარქის — დავით აღმაშენებლის ძეგლი. ქალაქის ცენტრიდან წმიდა მეფე დავითის გააქვებით ყოფილმა ხელისუფლებამ სულში ჩააფურთხა ჩვენს საზოგადოებრიობას.**

მითხარით, კიდევ რამდენ ხანს უნდა ვუცქიროთ ე.წ. ვარდების მოედანზე მდგარ გულივარის ველოსიკედს?

ნახეთ, რას დაამსგავსეს ვაკის პარკი, მუშთაიდი, კუსტის შემოგარანი. გაჩახეს მრავალწლიანი ნარგავები და იმავე ვაკის პარკში საელჩოების, კოლეჯების, ფეხბურთის ფაქარაციის შენობები ჩადგეს.

ქალაქის გამწვანება კატასტროფის ზღვარზეა მისული. საწერგეები, რომლებიც თბილისის შემოგარენში იყო, აღარ არსებობს. დედაქალაქისთვის ნარგავები უცხოეთიდან შემოაქვთ. ეს მომგებიანი ბიზნესი და კორუფციის წყარო იყო.

2015 წლის 13 ივნისის კატასტროფამ დაგვანახვა, რომ დედაქალაქის ხელმძღვანელობას ექსტრემალურ სიტუაციაში საქმის პროფესიულად ორგანიზების უნარი შესწევს. ამ უნარს ნორმალურ ვითარებაში თუ განავრცობს, კარგს იზამს.

ესაუბრა
არმაზ სანაგულიძე

ალექსანდრე ჯაბადაძე

125 წლის წინათ საქართველოში დაარსდა „ნიგნის გამომცემელ ქართველთა ამხანაგობა“, რომლის ინიციატორი და სულის ჩამდგმელი გახლდათ ალექსანდრე ჯაბადაძე. ალ. ჯაბადაძე დაიბადა 1861 წელს. თბილისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლობდა პეტროვსკოე-რაზუმოვსკის სამინათმოქმედო და სატყეო აკადემიაში (შემდგომში — მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემია), საიდანაც სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისთვის გაირიცხა. XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. მანვე გახსნა ნიგნსაცავი-სამკითხველო ახალგაზრდობისთვის, აგრეთვე, მოაწყო სტამბა და ცინკოგრაფია... შესანიშნავი ქართველი მეცნიერი თედო სახოკია თავის მოგონებათა კრებულში სხვებთან ერთად საგულისხმო ფაქტებით დატვირთულ მასალას ალექსანდრე ჯაბადაძეზე გვაწვდის.

„1933 წლის აპრილის 4-ს თბილისში გარდაიცვალა, დაბადებიდან 72 წლისა, და ვერის ახალ სასაფლაოზე დაასაფლავეს ალექსანდრე ჯაბადაძე, — ვკითხულობთ კრებულში „ჩემი საუკუნის ადამიანები“, — რომლის სიცოცხლე, შეიძლება თამამად ითქვას, მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართული მნიგნობრობისა და კულტურის განვითარებასთან.

1890 წელს მისი ინიციატივით დაარსდა „ქართულთა ამხანაგობა ნიგნების გამომცემისა“. თუ აქამდე ქართული ნიგნი კანტიკუნთად გამოდიოდა და მის გამომცემსაც ქველმოქმედების ხასიათი ჰქონდა, ამ „ამხანაგობის“ დაარსების შემდეგ გამომცემლობის საქმე რაციონალურ ნიადაგზე დადგა. გამოიცა ტომებად ნააზრევი ჩვენი პირველხარისხოვანი მწერლები: ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, რაფიელ ერისთავისა, ალექსანდრე ყაზბეგისა და მათი ნააზრევი ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა. 1891 წელს „ამხანაგობამ“ უკვე საკუთარი სტამბა შეიძინა იაკობ მანსვეტაშვილისაგან ყოფილ ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, ქაშვეთის ეკლესიის შენობაში, რამაც ნიგნის გამომცემის საქმე უფრო გააადვილა.

ამ ხანებში ქართულად მხოლოდ

ერთადერთი პერიოდული გამოცემა არსებობდა — გაზეთი „ივერია“, რომელიც ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოდიოდა, 600 ცალი ტირაჟით. 1893 წელს „ამხანაგობამ“ გამოიტანა ნებართვა, გამოეცა ყოველგვარი საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი „მოამბე“, რომელიც გამოდიოდა 1894 წლიდან ვიდრე 1905 წლამდე და გამოხატავდა იმდროინდელ ქართულ აზროვნებას და კულტურას. თვითონ ალექსანდრე ჯაბადაძე გამომცემელი იყო „მოამბისა“. მასვე მოთავსებული აქვს ამ ჟურნალში (1894 წ.) ფრიად საინტერესო გამოკვლევა ინდოეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური ცხოვრებისა.

1900 წელს ალ. ჯაბადაძე ვალერიან გუნიასაგან შეიძინა გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (შემდეგში ქართველ ფედერალისტთა პარტიის ორგანოდ გადაკეთდა), იკისრა ამ გაზეთის რედაქტორობა და ერთბაშად გააცხოველა მუშაობა საუკეთესო ძალების ჩაბმით. მალე გაზეთს დაუმატა ყოველკვირეული სურათებიანი დამატება, რამაც მკითხველების რიცხვი უცებ გაზარდა. მაგალითად, 1905 წელს გაზეთი გამოდიოდა 12000 ცალად, რაც ქართული გამოცემისათვის, ისიც პერიოდულისათვის, პირდაპირ გაუგონარი იყო.

ერთი სიტყვით, ალ. ჯაბადაძე-

მა ქართულ გაზეთს მკითხველი გაუჩინა და ამ მკითხველს კითხვა შეაყვარა, სოლო ნიგნს — ბაზარი. ამავე დროს დააარსა საუკეთესოდ მოწყობილი სტამბა, თავისი ცინკოგრაფიით, ასოების ჩამოსასხმელი განყოფილებით, საამკინძაოთი, რაც ერთიორად აადვილებდა ქართული ნიგნის გამომცემის საქმეს. ჩვენი ცხოვრების მემკვიდრე უეჭველად უნდა აღნიშნოს, რომ იმ მშვენიერი შენობის ერთი კედელი, რომელსაც ჩვენი მწერლობის, ჩვენი მნიგნობრობის ზრდა-განვითარება ჰქვია, საძირკველიდან ალ. ჯაბადაძის ამოყვანილი იყო.

1905 წლის რევოლუციაში ალ. ჯაბადაძე პირადად, გამოჩენით მონაწილეობას არ ღებულობდა, მაგრამ მთელი მისი სახლი, სტამბა, რედაქცია თვითმპყრობლობასთან მეტწილად განკარგულებაში იყო. თვითონ ალ. ჯაბადაძე რამდენჯერმე იჯდა მეტეხის ციხეში და ბოლოს რუსეთშიაც გადასახლეს ადმინისტრაციული წესით სასჯელის მოსახდელად.

მთელი ცხოვრება ალ. ჯაბადაძისა წარმოადგენდა განუწყვეტელ საქმიანობას, რომელსაც აწარმოებდა იშვიათი ცოდნით, ენერგიითა და უნარიანობით. მას ახასიათებდა წმინდა გერმანული პუნქტუალობა, ქართველი კაცისთვის ეს დიახ იშვიათი და სანატრელი თვისება. კერძო ცხოვრებაში მეტისმეტად თავაზიანი, მორიდებული და აღუშფოთებელი იყო.

განსვენებულს დარჩა დასაბეჭდად განმზადებული მოგონებანი და ორი ტომი ვრცელი გამოკვლევა საქართველოს ეკონომიკისა, რომელიც, სპეციალისტების აზრით, დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენი ეკონომიკის მკვლევართ.

თავისი მდიდარი და იშვიათი ბიბლიოთეკა ალ. ჯაბადაძე სიცოცხლეშივე საქართველოს უნივერსიტეტს შესწირა.

თედო სახოკია
1933 წ.

დიმიტრი შველიძე

თანასწორუფლებიანი პოლიტიკური შეუღლებანი

ერთიანი საქართველოს ხანაში, ბაგრატიონთა სახლი ძირითადად უმოყვრდებოდა სომხეთის, შირვანის, ბიზანტიის, რუსეთის, ტრაპიზონის საკეისროს, ოსეთის, თურქ-სელჩუკთა სასულთნოებისა და სხვათა სამეფო საგვარეულოებს.

რიგ შემთხვევაში დამოყვრება ხდებოდა თანაბარი პოტენციური შესაძლებლობების მქონე ორი ქვეყნის სამეფო დინასტიებს შორის. იგი გამოხატავდა სახელმწიფოთა კეთილმეზობლურ, ურთიერთმეგობრულ მისწრაფებებს.

ამ საკითხზე მოთხრობილია დიმიტრი შველიძის წიგნში

„პოლიტიკური შეუღლებანი ძველ საქართველოში“,

რომლიდანაც გთავაზობთ თავს

„თანასწორუფლებიანი პოლიტიკური შეუღლებანი“.

ორი თანასწორუფლებიანი სახელმწიფოს კეთილმეზობლობისაკენ მისწრაფებას გამოხატავდა ბიზანტიის საიმპერატორო და საქართველოს სამეფო სახლების დამოყვრება XIII ს-ის 60-იან წლებში. 1267 წელს დასავლეთ საქართველოს მეფემ დავით VI ნარინმა (1245-1293) ცოლად მოიყვანა იმპერატორ მიხეილ VIII პალეოლოგოსის (1261-82) ქალიშვილი, „დედოფალი, ასული მაღლისა ხელმწიფისა, პალიოლოგოს კონსტანტინეპოლის მეფისა“. იმხანად დასავლეთ საქართველოს სამეფო მონღოლთაგან დამოუკიდებელ ქვეყანას წარმოადგენდა, ხოლო მისი ძლიერი ხელისუფალი დავით ნარინი მოხერხებულად იყენებდა ოქროს ურდოსა და ირანის მონღოლთა წინააღმდეგობას. მართალია, ამ დროს ბიზანტია ძველი დიდების ნაშთსა წარმოადგენდა, მაგრამ „მკვდრეთით აღმდგარი“ იმპერიის საერთაშორისო პრესტიჟი მაინც მაღალი იყო, ამიტომ პალეოლოგოსებთან დინასტიური დაკავშირება თავისთავად გულისხმობდა საქართველოს დიდ საერთაშორისო ავტორიტეტს.

საქართველო-ბიზანტიას შორის კიდევ ჰქონდა თანასწორუფლებიანი დინასტიური დაკავშირების

ცდას ადგილი. გიორგი VIII-ს (1446-1476) ასული — ნათელა, დანიშნული იყო ბიზანტიის უკანასკნელ იმპერატორზე — კონსტანტინე XI-ზე (1449-1453). იმჟამად, ერთ დროს ორი ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოს დიდება დაისისაკენ მიეძახებოდა. თურქ-ოსმალთა შეტევებისაგან მისუსტებული ბიზანტია სულს ლაფავდა, ხოლო გიორგი VIII უკანასკნელი იყო გაერთიანებული საქართველოს მეფეთაგან. მის შემდეგ ქართლის ცხოვრების „დაჩიხულობისა და დაქუცმაცებულობის“ ხანა იწყებოდა, თითქოს სიმბოლური იყო ამ სამეფოთა პოლიტიკური დამოყვრების უკანასკნელი ცდა. ქორწინება არ შედგა.

1453 წლის 29 მაისს თურქ-ოსმალებმა კონსტანტინეპოლი აიღეს. ბიზანტიის ათასწლოვანი იმპერია მეორედ და ახლა უკვე უკანასკნელად წაიქცა გაოცებული ევროპის წინაშე. ქართველთა მეფის ახალგაზრდა სასიძო კონსტანტინე კი კონსტანტინეპოლის ქუჩებში გამართულ ბრძოლებში დაიღუპა. ძველ საქართველოს სამუდამოდ ჩაეხერგა ევროპასთან დამაკავშირებელი ერთადერთი პირდაპირი და ბუნებრივი გზა.

მიუხედავად ამისა, ბიზანტიის მისწრაფება, დაკავშირებოდა გი-

ორგი VIII, კიდევ ერთხელ მოწმობდა საქართველოს იმ დროს ჯერ კიდევ შერჩენილ მაღალ ავტორიტეტს. მოკავშირეებშემოცლილი ბიზანტიის ერთ-ერთ უპირველეს და ბუნებრივ მოკავშირეს, ცხადია, ჯერ კიდევ ფორმალურად ერთიანი საქართველოს სახელმწიფო წარმოადგენდა. ეს შემდგომმა მოვლენებმა დაადასტურა, როცა საქართველო ანტიოსმალური კოალიციის მოწყობის ერთ-ერთი ინიციატორი შეიქმნა, თუმცა კი ამოოდ, რადგან ქართველთა და მოკავშირეთა 1461 წელს ევროპაში წარგზავნილ ელჩობას შედეგი არ მოჰყოლია. „ჩაიშალა ოსმალეთის წინააღმდეგ გაერთიანებული ბრძოლის საქმე, რომლის პირველი ინიციატორები თავდაპირველად დასავლეთ ევროპელები, შემდეგ კი — ქართველები იყვნენ“.

თანასწორუფლებიანი პოლიტიკური დამოყვრებების რიცხვს მიეკუთვნებოდა, საქართველოს მეფის გიორგი პირველის (1024-1027) და ოვსთა მეფის ასულის აღდეს შეუღლება. აღდესაგან ჰყავდა გიორგის შვილი დემეტრე, ბაგრატ IV-ის ნახევარძმა, რომელიც შემდგომში, ჯერ ანაკოფიას, მერე კი ტახტსაც ეცილებოდა მეფეს.

ოვსთა სამეფო კართან ბაგრატიონებს შემდგომშიც ახლო ნათესაური კავშირები ჰქონდათ. გიორგი მესამის მეუღლე იყო ბურდუხან დედოფალი, „რომელიც იყო ასული ოვსთა მეფისა, რომელი ჰმატდა დედათა, სიბრძნითა და გონიერებითა, და სიტურფითა და შუენიერებითა რამეთუ მისებრი რძალი არა უხილავს ქვეყანასა ქართლისასა და ვითარ იგი ჰმატდა ყოვეთა სიკეთითა, ეგრეთვე დედობითა თამარისათა უმეტესი იყო ყოველთა“.

ურთიერთანასწორობის საფუძველზე კეთილმეზობლობისა და მეგობრული ურთიერთობისაკენ სწრაფვას გამოხატავდა საქართველოს მეფის დემეტრე I-ის (1125-1156) ასულის გათხოვება კიევის მთავარ იზიასლავ მსტისლავის ძეზე. „ქართველი მეფის ასულზე დაქორწინებით და ამდენად ძლიერი მართლმადიდებლური სახელმწიფოს, საქართველოს მხარდაჭერით, კიევის მთავარი ფიქრობდა ბიზანტიის იმპერიის გვერდის ავლით მოგვარებინა სამთავროს ეკლესიაში შექმნილი რთული ვითარება და მოეხდინა კიევის რუსეთის ეკლესიის გაეროვნულება. ნიშანდობლივია, რომ კიევის რუსეთი ბიზანტიის საპირისპიროდ კავშირებს ეძიებდა და ამყარებდა სწორედ საქართველოსთან, რომელიც ამ დროს უკვე ბიზანტიის მეტოქედ და მემკვიდრედ გამოდიოდა წინა აზიაში“.

თანასწორუფლებიანი პოლიტიკური შეუღლება თავისთავად სახელმწიფოთა შორის სამოკავშირეო ურთიერთობასაც გულისხმობდა. ბაგრატ IV-ს ცოლად ჰყავდა „ოვსთა მეფის“ დორლოელის და - ბორენა დედოფალი. სიძეს და ცოლის ძმას ამ შემთხვევაში სამოკავშირეო ურთიერთობა ჰქონათ დამყარებული. 1070 წელს, როცა გიორგი ბაგრატ IV-ის ძე განძაში ფადლონ-ამირას დასასჯელად შეიჭრა, ქართველთა ლაშქართან ერთად მას თან ახლდა ოსთა მოკავშირე ჯარი.

სამოკავშირეო ურთიერთობას განამტკიცებდა საქართველოს

მეფე გიორგი პირველთან ვასპურაკანის სომეხთა მეფის სენაქერიმის ასულის მარიამის შეუღლება. როგორც ცნობილია გიორგი I-ის ენერგიული მცდელობით შეიქმნა ქართველ-სომეხ მეფეთა შორის კოალიცია, რომელიც ბიზანტიის წინააღმდეგ იყო მიმართული.

გიორგი I-ის ორი ასულიც სომხეთში იყვნენ გათხოვილნი: გურანდუხტი და კატაი. გურანდუხტი ვანანდის (ყარსის) სომხური სამეფოს დედოფალი იყო. იგი გახლდათ ვანანდის მეფის გაგიკ ბაგრატუნის მეუღლე. სომეხ მკვლევარს გ. მკრტუმიანს მოჰყავს ერთი სომხური ხელნაწერის ცნობა: „ამ წმინდა სახარების მომგებელი, გაგიკ შაჰან-შაჰი, ძე აბასისა, გურანდუხტ დედოფალი და მარიამი მოიხსენიე“. გაგიკს და გურანდუხტს თავიანთი ქალიშვილისათვის ბებუის, გიორგი I-ის მეუღლის — მარიამის სახელი დაურქმევიათ.

გიორგი I-ის მეორე ასული — კატაი, ტაშირ-ძორაკერტის მეფის კვირიკეს (1048-1089) ძმისა და თანამმართველის სუმბატის მეუღლე გახლდათ.

თანასწორუფლებრივ პოლიტიკურ შეუღლებათა ტიპს მიეკუთვნება ისეთი შემთხვევაც, როცა ორ მოქიშპე ქვეყანას შორის მომხდარი დაზავების და მშვიდობიანობის განმტკიცება მოწინააღმდეგეთა დამოყვრებით გამოიხატებოდა. 1210-1211 წლებში ქართველთა მხედრობამ ალყა შემოარტყა ხლათს. ქალაქი თითქმის

ასაღებად იყო განწირული, რომ მოულოდნელად ხლათელებს ტყვედ ჩაუვარდათ მსახურთუხუცესი ივანე მხარგრძელი. ივანეს ძმამ, ქართველთა ლაშქრის მთავარსარდალმა ზაქარია მხარგრძელმა ხლათელებს მუქარა შეუთვალა, თუ ჩემს ძმას რაიმეს დაუშავებთ, თქვენს ქალაქს ისე გავანადგურებ, რომ მიწასაც კი საქართველოში წავიღებო. ორივე მხარე იძულებული გახდა, კომპრომისზე წასულიყო. ხლათელებმა სახელოვანი ტყვე გაათავისუფლეს, სამაგიეროდ კი **სამშობლოში დაბრუნებულმა ივანე მხარგრძელმა თავისი ასული — თამთა მიათხოვა ხლათის სულთანს მელიქ-ალ აუჰადს (1200-1210). საქართველოს და ხლათის სასულთნოს შორის 30 წლიანი ზავი და მშვიდობა ჩამოვარდა და უწინდელი მტრობა კეთილმეზობლობამ შეცვალა. ქართველებმა ხლათზე შეტევები შეაჩერეს.**

აღნიშნული პოლიტიკური შეუღლება ორი ქვეყნის ურთიერთობაში მომხდარ კომპრომისულ მომენტსაც შეიცავდა, გარდა ამისა, პოლიტიკური დამოყვრება თითქოს ორ ქვეყანას შორის დამყარებული მშვიდობიანობის გარანტს წარმოადგენდა. ასეთივე თუ შეიძლება ითქვას, კომპრომისულ-თავდებობითი ხასიათის დამოყვრებას ჰქონდა ადგილი XII ს-ის შუა ხანებში. დემეტრე I ენერგიულ ბრძოლებს აწარმოებდა განძის წინააღმდეგ და რამდენჯერმე აიღო კიდეც ციხე-ქალაქი,

ურთიერთანასწორობის საფუძველზე კეთილმეზობლობისა და მეგობრული ურთიერთობისაკენ სწრაფვას გამოხატავდა საქართველოს მეფის დემეტრე I-ის (1125-1156) ასულის გათხოვება კიევის მთავარ იზიასლავ მსტისლავის ძეზე. „ქართველი მეფის ასულზე დაქორწინებით და ამდენად ძლიერი მართლმადიდებლური სახელმწიფოს, საქართველოს მხარდაჭერით, კიევის მთავარი ფიქრობდა, ბიზანტიის იმპერიის გვერდის ავლით მოგვარებინა სამთავროს ეკლესიაში შექმნილი რთული ვითარება და მოეხდინა კიევის რუსეთის ეკლესიის გაეროვნულება.“

რომელსაც ერეკის სელჩუკიანთა სულთანი თავის სამფლობელოდ სთვლიდა. მოწინააღმდეგენი პირისპირ შეჯახებას მოერიდნენ და კომპრომისზე წავიდნენ. სულთანმა დემეტრე I-ის ასული რუსუდანი ცოლად შეირთო, ხოლო განძა მეფემ თავის ქალს „მზითევში“ გაატანა. ეს მოხდა 1147 წელს. იმხანად ერეკის სელჩუკთა სულთანი იყო მასუდი (1147-1152). მასუდი 1152 წელს გარდაიცვალა და დაქვრივებული რუსუდანი სამშობლოში დაბრუნდა. იგი დიდ როლს თამაშობდა საქართველოს სამეფო კარზე. თამარის მეორე ისტორიკოსი გვამცნობს: „ესე იყო რძალ-ყოფილი დიდთა სულტანთა შამირამეთი და დედოფალი ყოვლისა ხუარასნელთა უფლებისა“.

ყურადღება მივაქციოთ: 1210 წელს მოხდა ქართველთა ცნობილი ლაშქრობა ირანში. მათ ზედიზედ აიღეს ირანის ქალაქები და მის უკიდურეს აღმოსავლეთ პროვინციას — ხორასანს მიაღწიეს. ჩრდილოეთ ირანიც, ხორასანიც 1194 წლამდე ერეკის სელჩუკთა სულთანს ეკუთვნოდა. აქვე მდებარეობდა სელჩუკთა სატახტო ქალაქი მერვი. 1194 წლიდან აღნიშნულ ტერიტორიაზე პრეტენზიას აცხადებს გაძლიერებული ხორეზმ-შაჰ მუჰამედი. შესაძლოა მეფე თამარი, რომელსაც სურდა, ხორეზმის პრეტენზიები აღეკვეთა ირანში, იმ მომენტსაც იყენებდა, რომ საქართველოს სამეფო კარის წარმომადგენელს, თამარ მეფის პაპის — დემეტრეს ასულს რუსუდანს, როგორც სელჩუკთა სულთნის ცოლყოფილს, კანონიერად ეკუთვნოდა ხორასანი, როგორც „დედოფალს ყოვლისა ხუარასნელთა უფლებისა“.

თანასწორუფლებიანი დინასტიური დანათესავების კიდეც ორიოდე მაგალითი, როცა მოწინააღმდეგენი, მათ შორის მშვიდობის ჩამოგდება-დაზავებას, დამოყვრებით განამტკიცებდნენ:

1031 წელს ბაგრატ მეოთხემ ცოლად მოიყვანა ბიზანტიის იმპერატორის რომანოზ არგვირო-

სის ძმის ვასილის ასული ელენე. ამ მოვლენას წინ უძღვოდა ბიზანტია-საქართველოს ომი, რომელშიც პირველმა ვერ მიაღწია თავის აგრესორულ მიზნებს. აქაც კონფლიქტი და ომი დაზავებამ და მშვიდობამ შეცვალა, რაც კვლავ ყოფილ მოწინააღმდეგეთა სამეფო-საიმპერატორო სახლების დინასტიური დანათესავებით განმტკიცდა.

შემდგომი ეპიზოდი კვლავ ბაგრატ IV-ის სახლობას ეხება.

1064 წელს ალფ-არსლანმა ილაშქრა საქართველოში. სელჩუკებმა ამჯერად საქართველოს სამხრეთ პროვინციები მოიგერაგეს და ქართველთა დიდი წინააღმდეგობის გამო ქვეყნიდან გავიდნენ. ამჯერად მოწინააღმდეგეები დაზავდნენ. დაზავების ერთ-ერთ პირობად ალფ-არსლანმა საქართველოს მეფეს შემოუთვალა, მისთვის მეფის დისწული მიეთხოვებინათ.

ზემოთაც აღვნიშნეთ: გიორგი I-ის ასული და ბაგრატის და — კატაი, ტაშირ-ძორაკერტის სომხური ქვეყნის მეფის კვირიკეს ძმის — სუმბატის ცოლი იყო, ალფ-არსლანი კვირიკეს ძმის შვილს და კატაის ასულს, იმავდროულად ბაგრატის დისწულს ითხოვდა. ბაგრატმა თავის სიძეს შეუთვალა სულთნის შემონათვალი და თავადაც სთხოვა სიძეს დაეკმაყოფილებინა სელჩუკთა მბრძანებლის სურვილი. ბაგრატი გონივრულად სჯიდა: **სელჩუკები სულთნის „თხოვნის“ შეუსრულებლობის შემთხვევაში კვლავ შემოიჭრებოდნენ საქართველოში და არც სომხებს დააყრიდნენ ხეირს. სულთანთან დამოყვრება და დაზავება — მშვიდობიანობის ერთადერთ საშუალებად მოსჩანდა.**

მაგრამ კვირიკე სომეხთა მეფემ ბაგრატს ცივი უარი შემოუთვალა თავისი ძმისწულის სულთანისთვის მითხოვებაზე.

მაშინ ბაგრატის ბრძანებით ერისთავი ვარაზ-ბაკურ გამრეკელი ჯარით შევიდა ტაშირ-ძორაკერტში და სამშვილდეს ალყა შემოარტყა. გამრეკელმა სომეხი წარჩინებულნი „ბიზრნა“ და მათ-

ის დახმარებით სამშვილდისაკენ მომავალი „სომეხთა მეფე კვირიკე და ძმა მისი სუმბატ შეიპყრეს ქუეშის ჭალასა და აცნობეს ბაგრატს“.

ბაგრატი კლდეკარს მივიდა და კვირიკეს სამშვილდის მოცემა მოსთხოვა, კვირიკე კვლავ უარზე იდგა, მაგრამ როცა „ამართეს ძელი და გასუეს სომეხთა მეფე კვირიკე სამ დღე“, მაშინ თანხმობა გასცა. როგორც ჩანს, სამშვილდის დათმობასთან ერთად, ბაგრატმა კვირიკე ძმისწულის გათხოვებაზე მაშინ დაიყოლია: „ხოლო შემდგომად ამისა“, ბაგრატმა „გათხოვა დისწული თვისი და შერთო სპარსთა მეფესა სულტანსა“.

ეს ამბავი 1066 წელს უნდა მომხდარიყო. ბარ ჰებრაის ცნობით „ქართველთა მბრძანებლის ბაგრატის დისწული სულთან ალფ-არსლანთან დასაქორწინებლად იქნა მოყვანილი. მანაც ქორწილი ქალაქ ჰამადანში გადაიხადა“.

სამწუხაროდ, ქართველ-სელჩუკთა დაზავებამ, დიდხანს არ გასტანა. 1068 წელს დამპყრობლები კვლავ შემოიჭრნენ საქართველოში. სელჩუკები ამიერკავკასიას დასაპყრობად უყურებდნენ და დაზავებას მხოლოდ დროებით საშუალებად მიიჩნევდნენ, ალბათ იმიტომაც, რომ საქართველოსთან კეთილმეზობლობას მისაღებად არ სთვლიდა, ალფ-არსლანი თავის დედით ქართველ მეუღლეს გასცილდა. სულთნის ბრძანებით, ბაგრატ მეფის დისწული სელჩუკთა იმპერიის სახელგანთქმულ დიდვაზირს ნიზამ ალ-მულქს მიათხოვეს. ამ შემთხვევაში, და ასეც ხდებოდა ხოლმე, დამოყვრების გზით დამყარებული მშვიდობა დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან მოწინააღმდეგეთაგან, ერთ-ერთი მხარე მეორეს დასამორჩილებლად უყურებდა და ხანგრძლივი მშვიდობით დაინტერესებული არ იყო.

მაგრამ ისეც ხდებოდა, როცა დამოყვრებული ქვეყნების ხელისუფალთა შორის წარმოიქმნებოდა ხოლმე კონფლიქტი.

პირველი ქართველთა ბაგრატის მიერ ადარნასე კურაპალა-

ტის სიძე იყო ვანანდის სომხური მხარის მფლობელი აბასი. ამის შესახებ ცნობას გვაძლევს სომეხი მკვლევარის ს.ვ. ტერ-ავეტისიანის მიერ ყარსში მიკვლეული წარწერა: „გარდაიცვალა მთავარ ადარნასეს ქალიშვილი და სომეხი სპარაპეტის აბასის მეუღლე...“

აბასი ადარნასეს მოკავშირის, სომეხთა პირველი ბაგრატიუნი მეფის აშოტის ძმა იყო. 890 წელს როცა აშოტი გარდაიცვალა, ადარნასე მისივე სომხეთში წავიდა, რათა განსვენებული სვილის სუმბატისათვის მიესამძიმებინა და ტახტზე ასვლაში მხარი დაეჭირა. გზად ადარნასე ქ. ყარსში, თავის სიძესთან და განსვენებული სომეხთა მეფის ძმასთან აბასთან შეიარა: აბასს თავისი გეგმები ჰქონდა, თვალი მეფობისაკენ ეჭირა და სურდა ძმის შვილისათვის ტახტი წაერთმია. მან იეჭვიანა თავის სიმამრზე და ადარნასეს სუმბატთან არ უშვებდა, მაგრამ ამჯერად მისი დაკავება ვერ გადანყვიტა.

როგორც კი სომეხთა სამეფო კარზე მისულმა ადარნასემ მისამძიმრება მოათავა, მაშინვე სუმბატს სამგლოვიარო ტანსაცმელი გახადა და სამეფო ტანსაცმლით და სამკაულით შემოსა. სუმბატის გამეფებამ და ადარნასეს მიერ მისმა მხარდაჭერამ ისე განარისხა აბასი, რომ მან სტუმართმოყვარეობის წესიც დაივიწყა და მოყვრობაც, უკან დაბრუნებული თავისი სიმამრი შეიპყრო და ციხეში გამოამწყვდია. სომეხთა ახალმა მეფემ სუმბატმა ქართველი მოკავშირე მხოლოდ დიდი სასყიდელის ფასად გამოიხსნა — მან თავის ბიძას საკუთარი შვილი და ძმისშვილი გაუგზავნა მძევლად და ადარნასე გაანთავისუფლა.

მეორე შემთხვევაშიც, როცა პოლიტიკურ ინტერესებს ნათესაური ახლობლობა მსხვერპლად შეეწირა, კვლავ ადარნასეს სახელთანაა დაკავშირებული. ადარნასე ქართველთა მეფის მეორე სიძე იყო აფხაზთა მეფე კონსტანტინე III (893-922). 904 წელს კონსტანტინე მესამემ ქართლი დაიკავა. იმხანად შიდა ქართლისათვის აფხაზთა და სომეხთა მეფეებს

შორის მწვავე ბრძოლა მიმდინარეობდა. კონსტანტინეს ნაბიჯს სასწარფოდ გამოეხმაურა სომეხთა ანისის მეფე სუმბატ ტიეზერაკალი, „მოილაშქრა სპითა დიდითა და მოადგა უფლის ციხესა... და წარიღეს ციხე ხერხითა“. აფხაზთა მეფის წინააღმდეგ მებრძოლ სუმბატ ტიეზერაკალს ეხმარებოდა — საკუთარი სიძის წინააღმდეგ, ქართველთა მეფე ადარნასე კურაპალატი. მეტიც, ადარნასემ მოსალაპარაკებლად მისული კონსტანტინე, ლალატიტ შეაპყრობინა სომეხ ნახარარებს.

დატყვევებული კონსტანტინე, სომეხთა მეფემ ანისის ციხეში გამოჰკეტა, მაგრამ მალე გუმინდელი მტრები მოკავშირეები და მოყვრები გახდნენ. სომეხთა მეფემ კონსტანტინე გაანთავისუფლა და ქართლი დაუბრუნა. დაზავება ყოფილმა მოწინააღმდეგეებმა პოლიტიკური დამოყვრებით განამტკიცეს: კონსტანტინე მესამემ სუმბატ სომეხთა მეფის ასული შეირთო ცოლად. თუ მართალია სომეხი მემკვიდრის იოანე კათალიკოსის ცნობა, რომელსაც ივ. ჯავახიშვილი ეყრდნობოდა: კონსტანტინე აფხაზთა მეფე ადარნასეს სიძე იყო და ისიც მართალია, რომ დაზავების შემდგომ, კონსტანტინე III-მ სუმბატ ანისის მეფის ასული შეირთო ცოლად, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს აფხაზთა მეფის მეორე ქორწინება იყო, ადარნასე კურაპალატის ქალს კონსტანტინე, სიმამრთან დაპირისპირების შემდეგ უნდა გაჰყროდა.

მოკლედ ადარნასე ქართველთა მეფე პოლიტიკურ ნიადაგზე თავის ორივე სიძეს: კონსტანტინე III აფხაზთა მეფეს და აბას ვანანდის მფლობელს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდა. თავისი გაძლიერების გზაზე, როგორც ვნახეთ, პირველი ბაგრატიონი „ქართველთა მეფე“ არც ვერაგობას დაჰრიდებია.

ზემოაღნიშნული ტიპის შეუღლებანი, მიუხედავად გარკვეული განსხვავებისა (სამოკავშირეო, კომპრომისული, სამშვიდობო-თავდებობითი და სხვ.), ძირითა-

დად მაინც თანაბარი პოტენციური შესაძლებლობების მქონე სახელმწიფოების ურთიერთობას გამოხატავდა, ამიტომ ყველა აღნიშნული დინასტიური შეუღლება თანასწორუფლებიანობის ხასიათს ატარებდა.

XVI საუკუნიდან საქართველოს დაჩიხულობა-დაქუცმაცებულობის პერიოდი დაიწყო და თავისი დალი პოლიტიკურ შეუღლებებსაც დაამჩნია. საქმე ისაა, რომ აქამდე, XI-XV სს-ის საქართველო დამოუკიდებელ და საერთო-სახელმწიფოებრივ პოლიტიკას აწარმოებდა. შესაბამისადვე, ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულო უცხოეთის სამეფო საგვარეულოებს უმოყვრდებოდა. ეს თითქმის ხელშეუვალი ნორმად ითვლებოდა და იშვიათ შემთხვევაში ირღვეოდა.

XVI ს-დან მდგომარეობა კარდინალურად იცვლება. ამიერიდან პოლიტიკურმა შეუღლებებმა კუთხურ-პროვინციული ხასიათი მიიღო. თანასწორუფლებიანი პოლიტიკურ-დინასტიური კავშირები მხოლოდ ცალკეულ „საქართველოებად“ დაქუცმაცებულ სამეფო-სამთავროებს შორის მყარდებოდა.

საინტერესოა ამ მხრივ ერთი ეპიზოდი VII ს-ის პერიოდიდან.

ქართლში მეფობის გაუქმებამ და ერისმთავრობის დაწესებამ, როგორც ცნობილია, ერისთავ-ფეოდალთა ბუნებრივი გაძლიერება გამოიწვია. ერისმთავრები მხოლოდ სხვა ერისთავთა შორის პირველებს წარმოადგენდნენ და მათს ნომინალურ ხელისუფლებად ითვლებოდნენ. ეს გარემოება აისახა შეუღლებათა ხასიათშიც. მაშინ როცა ადრე ქართლის მეფეები მეზობელ ქვეყნების სამეფო საგვარეულოებს უნათესავდებოდნენ. ახლა ერისმთავრები საქართველოს ერისთავ-ფეოდალებს უმოყვრდებოდნენ.

ქართლის ერისმთავარი მირსტეფანოზის ძე თავის ძმას არჩილს მოაგონებს, რომ ადრეო, ჩვენს ქალიშვილებს „არა მისცით ერისთავთა ჩვენთა ცოლად ანუ მისცით მეფეთა, ანუ მო-

ვინმე-ვიდის სპარსთაგან ნათესავი მეფეთა, ვითარცა ფეროზ, რომელსა მისცა მირიან მეფემან ასული მისი ცოლად“.

მაგრამ ეს ადრე იყო, მეფობის პერიოდში. ახლა, როცა ცენტრალური ხელისუფლება დასუსტებულია, იმისათვის, რომ ცალკეულ კუთხეთა გამგებელ-ერისთავებზე უზენაესობა შეინარჩუნონ, მირი სიკვდილის წინ უბარებს თავის ძმას არჩილს, რომ მისი შვიდივე ქალიშვილი ერისთავებს ან მათს შვილებს მიათხოვოს: „მისცენ მათ ასულნი ჩემნი და განუყვნენ მათ ქვეყანანი ქართლისანი ნახევარი შენ და ნახევარი მათ“.

ამის შემდეგ არჩილ ერისთავარი ისე მოიქცა, როგორც გარდაცვლილმა ძმამ ანდერძად დაუტოვა. „მოუწოდა ერისთავთა ქართლისათა და მისცნა ძმისწულნი მისნი: „და განუტევნა მთავარნი ესე ცოლებითურთ თავის-თავისად ადგილად“.

ქვემოთ მოგვყავს საქართველოს სამეფო-სამთავროთა ფარგლებში თანასწორუფლებიანი პოლიტიკური შეუღლებების რამდენიმე მაგალითი:

სვიმონ ქართლის მეფე — ნესტან-დარეჯანი, ლევან კახთა მეფის ასული;

გიორგი I კახეთის მეფე — ნესტან-დარეჯანი, იმერთა მეფის ასული;

თეიმურაზ I კახეთის მეფე — ანა, მამია გურიელის ასული;

ერეკლე II — დარეჯანი, კაცია I

დადიანის ბიძაშვილის გიორგის ასული;

ლევან დადიანი, სამეგრელოს მთავარი — თამუნია, აფხაზეთის მთავრის ასული;

მანუჩარ დადიანი, სამეგრელოს მთავარი — ნესტან-დარეჯანი, ალექსანდრე კახთ ბატონის ასული და სხვ.

ცხადია, აღნიშნული შეუღლებანი, გარდა სამთავრო-სამეფოთა კეთილმეზობლური ურთიერთობებისა, მეტ-ნაკლებად პოლიტიკურ კავშირსაც, ან უარეს შემთხვევაში, პოლიტიკურ ურთიერთკეთილგანწყობილებას მაინც გულისხმობდნენ. ამისგან განსხვავებით, შეიძლება გამოვყოთ შეუღლებანი, რომელნიც პირდაპირი აზრით სამოკავშირეო ურთიერთობას გამოხატავდნენ. 1526 წელს ქართლის მეფე ლუარსაბ I (1527-1556) ცოლად შეირთო იმერთა მეფის ბაგრატ III (1510-1565) ასული თამარი. ბაგრატი ლუარსაბს ბიძის, გიორგი IX-ის (1525-1527) წინააღმდეგ ბრძოლაში დაეხმარა, სამაგიეროდ კი, ქართლის მეფისაგან მიიღო მდინარე ფრონეს დასავლეთით მდებარე ტერიტორია. 1550-იან წლებში თურქთა წინააღმდეგ სამხედრო კავშირი შეკრეს ქართლის მეფე სვიმონ I და სამცხის ათაბაგმა მანუჩარ II ქაიხოსროს ძემ. ერთობლივი ბრძოლისა და თანადგომის გარანტია იყო მანუჩარის ქორწინება სვიმონ მეფის ასულთან ელენესთან.

კახეთ-იმერეთის წინააღმდეგ იყო მიმართული ქართლის მეფის როსტომისა და სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, რაც დამოყვრებითაც განმტკიცდა. როსტომმა (1632-1658) დადიანის დაი — მარიამი მოიყვანა ქართლის დედოფლად. კიდევ ერთი მაგალითი: იმერთა მეფეს სოლომონ I-ს ტახტზე განსამტკიცებლად სამეგრელოს მთავრის — კაცია II დადიანის მხარდაჭერა ესაჭიროებოდა. ამისათვის იგი იძულებული გახდა, აფხაზეთა მთავრის შერვაშიძის ასულს, თავის პირველ ცოლს გაჰყროდა და კაციას და — მარიამ დადიანი დაესვა იმერეთის დედოფლად.

ამ არასრული მონაცემებითაც ნათელია, რომ მართლაც, თანასწორუფლებიანი პოლიტიკური შეუღლებანი გვიანფეოდალური ხანის საქართველოს სინამდვილეში კუთხურ-პროვინციულ ხასიათს იღებს და ქართული სამეფო-სამთავროების ვიწრო ჩარჩოებით იფარგლება. ამ ისტორიულ მოვლენაში ნათლად აისახა ქართველი ხალხის პოლიტიკურ-კულტურული კონტაქტების ოდინდელი ფართო მასშტაბების დაცემა და მისი სავალალო იზოლაცია ცივილიზებული ქრისტიანული სამყაროსაგან.

მაჰმადიანური ოკეანით გარშემორტყმული საქართველოს მესვეურნი ცხადია თავიანთ ისტორიულ მტრებთან — ირანთან, ოსმალეთთან, ან კიდევ მაჰმადიანურ სახანოებთან მყარ სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს ვერ დამყარებდნენ, ხოლო სხვა ძალა, მოკავშირისა თუ რეალური დახმარების სახით არ ჩანდა. ამიტომ იყო, რომ ლევან კახთა მეფის მიერ ჩრდილო-კავკასიურ-დაღესტნური ყარამუსალის შამხალის ასულის ცოლად მოყვანა და ამ პოლიტიკურ ერთეულთან კავშირის დამყარება თითქმის ერთადერთი შემთხვევა იყო, საქართველოს მესვეურთა უცხო სახელმწიფოსთან თანასწორუფლებიანი პოლიტიკური დამოყვრებისა გვიანფეოდალურ ხანაში.

**თანასწორუფლებიანი პოლიტიკური
შეუღლებანი გვიანფეოდალური ხანის
საქართველოს სინამდვილეში კუთხურ-
პროვინციულ ხასიათს იღებს და ქართული
სამეფო-სამთავროების ვიწრო ჩარჩოებით
იფარგლება. ამ ისტორიულ მოვლენაში
ნათლად აისახა ქართველი ხალხის
პოლიტიკურ-კულტურული კონტაქტების
ოდინდელი ფართო მასშტაბების დაცემა და
მისი სავალალო იზოლაცია ცივილიზებული
ქრისტიანული სამყაროსაგან.**

მრავლისმეტყველი დოკუმენტი

პეტრე გერალდის წერილის მნიშვნელობა საქართველოს ისტორიისათვის უაღრესად დიდია. გარდა იმისა, რომ იშვიათია ასეთი ვრცელი, ზუსტად დათარიღებული უცხოური წყარო, იგი ეხება მეტად ღარიბ, XIV საუკუნის 30-იან წლებს და თანაც დასავლეთ საქართველოს ვითარებას.

პირველ რიგში, ცხადი ხდება, რომ თბილისის გარდა კათოლიკური კათედრა სოხუმშიც არსებობდა. თბილისში კი, როგორც დოკუმენტებიდან ვიცით, იგი გადმოტანილ იქნა სმირნიდან 1329 წლისთვის.

საყურადღებოა სხვა მომენტებიც. წერილიდან კარგად ჩანს, რომ ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები შეადგენენ და კათოლიკეების კოპოსიც სწორედ მათგან მიღებული საჩუქრებითა და შემოწირულობებით საზრდოობს. ქართველების გარდა, ქალაქ სოხუმში, აგრეთვე, არის მაჰმადიანური და ებრაული მოსახლეობა, რომელიც დიდ როლს თამაშობდა იმდროინდელი ქართული სახელმწიფოს სავაჭრო ურთიერთობებში.

ქართველების, მუსლიმებისა და ებრაელების გაერთიანება კათოლიკე მოახალშენეების სანინაღმდეგოდ, შესაძლოა, იმ მდგომარეობით ყოფილიყო განპირობებული, რომ გენუელები და, ზოგადად, ლათინები სავაჭრო საქმის დიდოსტატები იყვნენ და მათი სოხუმში მყარად დაფუძნების შემთხვევაში ადგილობრივი ვაჭრების მდგომარეობა გართულდებოდა.

რაც შეეხება საქართველოს „ორ სამეფოს“, როგორც ეს ეწოდებოდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შუა საუკუნეებში, როგორც ქართული, ისე უცხოური წყაროების მიხედვით, წერილის გაგზავნის დროს იგი უკვე გაერთიანებულია. ქართული საბუთების მიხედვითაც, სწორედ ამ დროს მოახდინა მეფე გიორგი ბრწყინვალემ საკუთარი სუვერე-

ნიტეტის გავრცელება იმერეთის სამეფოში. წერილში მოხსენიებული მთელი საქართველოს მხედართმთავარი უთუოდ მამია პირველი დადიანია (1323-1345), რომელსაც, როგორც ჩანს, მეფემ ამირსპასალარობაც ჩააბარა. პეტრე გერალდი ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყების მომხრედ გამოდის და, აგრეთვე, მსურველია აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიების გაერთიანებისა.

დოკუმენტში მოხსენიებული „ეპისკოპოსთა ეპისკოპისი“ უეჭველი დასავლეთ საქართველოს კათალიკოსია, რომელიც, სწორედამა რომ დღევანდელი აფხაზე-

თის ტერიტორიაზე ცხოვრობდა. „ხელმწიფის კარის გარიგების მიხედვით“, მისი რეზიდენცია ბედიამი იყო, ხოლო შემდგომ ბიჭვინთაში გადაინაცვლა, ამიტომაც კათილოკეთა ქვეების მასთან მიტანას დიდი დრო არ დასჭირდებოდა.

წერილის შინაარსიდან ნათელია, რომ ტყვეთა სყიდვას საქართველოს სამეფოში იმ დროს საყოველთაო ხასიათი არ ჰქონია, გერალდიმ მხოლოდ ჭორის დონეზე იცის, რომ ადრე 100 კრისტიანი გაუყიდათ უცხოეთში. სხვა იტალიური და ევროპული წყაროებიდანაც კარგად ჩანს, რომ საქართველოს სამეფოდან გაყვანილი ტყვეების რაოდენობა ევროპის ტყვეთა ბაზრებზე იმ დროს უმნიშვნელო იყო, რომელსაც ერთიანი და ძლიერი ქართული მონარქია უპირისპირდებოდა.



სოხუმის კათოლიკე ეპისკოპოს კატაე ბერალდის მიერ სოხუმიდან ინგლისში გაგზავნილი წერილი. 1330 წელი

„ქრისტეს მამათა შორის პატივცემულო, უფალო კენტერბერის (კენტის) არქიეპისკოპოსო, ღვთის მადლით მთელი ინგლისის სამეფოში უპირველესო, ამ სამეფოს დანარჩენო არქიეპისკოპოსებო და ეპისკოპოსებო! (მოგმართავთ) ამავე სამეფოს თანამოძმე პეტრე, ღვთის ნებით სებასტოპოლისის ეპისკოპოსი ქვემო საქართველოში; თვითონ ჩემს სამფლობელოში, მშვიდობიანობის დროს სიუხვესა და კეთილდღეობასთან ერთად, (აქაური) ქრისტიანი ძმები სარკინოსთაგან ისე არიან შევინროვებულნი და დატანჯულნი, რომ (ლამის არის) ქრისტიანული სარწმუნოება მიატოვონ. საერთოდ, ბნელეთის შვილები, წარმოშობით ცბიერნი (გამოცდილნი) არიან (ვიდრე) ჩვენი დასავლეთის ქრისტიანეთა სინათლის შვილნი: (ეს უკანასკნელნი) წყნარად ატარებენ თავიანთ დღეებს; ისინი ბეჯითი არიან თავისი თავისთვის; მაგრამ არა იესო ქრისტესთვის, (ამის გამო), აღმოსავლეთში ყოველდღე მცირდება ქრისტიანთა მბრძანებლობა, რადგან ქრისტიანები იჩაგრებიან, (მათ) სთელავენ ბოროტგანმზრახველი სარკინოზები (სხვადასხვა) მოქმედებით: ღალატით თუ დაპირებით, წამებით თუ საჩუქრებით, ომით ხმელეთზე და ზღვაზე; ახლა ქრისტიანებს იმონებენ ფულით ბაზრობაზე, სადაც მიათრევენ კისერზე თოკით და ცხენის კუდზე გამობმულებს; მათ ჰყიდიან, რადგან არავინაა მათი ქომაგი.

ამგვარად, აქ არის პატივმოყვარე ქალაქი, სადაც დაუმსახურებლად დანიშნული ვარ უმაღლესი მღვდელთმთავრის ნება-სურვილით. როგორც ხმა დადის, ერთ დროს აქ ასი ქრისტიანი მიჰყიდეს სარკინოზებს. მათ ეს ქრისტიანები სარკინოზთა ქვეყანაში წაიყვანეს და იქ სარკინოზებად აქციეს. მე, ჩემი მხრივ, ვენი-ნააღმდეგები ადამიანებით დანაშაულებრივ ვაჭრობას, მაგრამ, მიუხე-

დავად ამისა, რომ აქ მბრძანებლები ქრისტიანები არიან, არც ამ საკითხსა და არც სხვაში არ მიგონებენ, რადგან ბერძნული სქიზმის მიმდევრები არიან... ამიტომ (თქვენ მოგმართავთ): თუ თქვენს სამეფოში გაბედული მორკინალები მოიძებნებიან და სურვილი აქვთ, იომონ ღვთისა და სარწმუნოების სიყვარულისათვის, დატყვევებული ქრისტიანების გასათავისუფლებლად და ამასთანავე, სურვილი გამოიჩინონ, შეიძინონ კარგი მამული, პირველობა, სამეფო და სასახლეები — სასურველი იქნება, (თუ) თქვენ მათ გააცნობთ ამ (წერილს), სამოქმედოდ ის გამოგზავნეთ, ვინც ამ საქმის მცოდნეა. საქმე იმაშია, რომ ამ წერილის მომტანი იახია დე კრემონა, თავის დროზე, ასე, ოცდაათი წლის წინათ, იყო (აქ), მას ვავედრებ თქვენს მამობრივ მონყალებას. პირადად მან სარწმუნოების ერთგულებისა და ტყვე ქრისტიანი ხალხის განთავისუფლებისთვის საქართველოდან ინგლისში ამ წერილის საკუთარი ხარჯით წამოღება ისურვა. მხოლოდ იმდენად ღარიბია, რომ, მე მგონი, მთელი მისი ქონება საკმარისი არ იქნება ნახევარი გზისთვის. თუმცა ერთ დროს იგი ძალიან მდიდარი, გემისა და ქონების პატრონი იყო, ამჟამად კი ღარიბია. ჩემის მხრივ, არაფრის მიცემა არ შემეძლო, რადგან არც ეკლესია და არც სახლი არ გამაჩნია თავის შესაფარებლად და არც ერთი დინარი არ მაქვს გასაცემი, მაგრამ (ამის მიუხედავად), მუდმივად, დღე და ღამე ვუცდი მახვილს სარწმუნოებისათვის (საბრძოლველად) და ეკლესიის გაერთიანებისთვის. კვირაობით, რომელიმე ღარიბი ქართველისგან შეწირულობას ვიღებ. ასე ვატარებ ამ ცხოვრებას. მეორე მხრივ, ამ ქვეყნის მბრძანებელი, რომელიც მთელი საქართველოს ჯარის მხედართმთავარიც არის, მზად არის, მთელი თავისი ლაშქრით, დასავლეთის ქრისტიანებთან ერთად, გასა-

ლაშქრებლად. იგი ასე იქცევა რომაული ეკლესიისადმი მორჩილებასა, კათოლიკობის მიღებაზე და სარწმუნოების ერთიანობაზე თანახმაა. აქაურ კათოლიკეებს სასაფლაოც მისცა. მიუხედავად ქართველთა ორი სამეფოს (ზოგიერთი) ჩვეულებისა, (აქ) გარდაცვლილ კათოლიკეს არ ასხვავებენ სქიზმატიკოსისაგან, მაგრამ თვით კათოლიკენი ვერ შეეგუვნენ სქიზმატიკოსებს და (მიცვალებულებს მათი), სასაფლაოს გარეთ მარხავენ. ამის გამო, ზემოთ ნათქვამი სასაფლაოს მიცემით, ძალიან განაწყენებული დარჩა სქიზმატიკოსი ეპისკოპოსი და სამღვდელობა, რადგან ამ სასაფლაოს გამო, ჰკარგავენ ლათინთა დასაფლავების (უფლებას). ამის გამო, იმდენად გაიზარდა შფოთი, რომ კათოლიკე ლათინთა მიერ სასაფლაოს შუაგულში აღმართული ჯვარი ამოგლიჯეს და, აგრეთვე, ლათინთა მიერ აღმართული 15 საფლავის ქვა დაამტკრიეს. ლათინელებმა ხელახლა აღმართეს ისინი, აქაურმა სქიზმატიკოსებმა, მღვდლებმა და ხალხმა, სარკინოზთა და იუდეველთა ხელის შეწყობით, მესამედ აღმართული (ჯვრები, ქვები) სქიზმატიკოს ეპისკოპოსთა-ეპისკოპოსთან წაიღეს. ყოველივე ამის გამო (მოგმართავთ) თქვენ (დასავლეთის ქრისტიანებო), რომლებიც სტკბებით უზრუნველი კეთილდღეობით, შეიბრალეთ აღმოსავლეთის ქრისტიანები, რომლებიც იჩაგრებიან და თავიანთ გაჭირვებაზე ტირიან. თქვენთვის ადვილია, რომ ქვეყნიერებიდან სრულიად ამოაგდოთ მაჰმადიანთა და სარკინოზთა მთარახი. ეს შესაძლებელია, უკეთუ კათოლიკენი კარგს იზამენ და მიბაძავენ დიდ მეფეს.

დაწერილია ქალაქ სებასტოპოლში, ძველ საქართველოს სამეფოში, ინგლისის მეფის წმ. ედუარდის სახელწოდების დღესასწაულზე, უფლის წელთაღრიცხვის 1330 წელს“.

ტიციან ტაბიძისა და ვიქტორ გოლცევის მიმოწერიდან



ვიქტორ გოლცევი



ტიციან ტაბიძე

ვიქტორ ვიქტორის ძე გოლცევი ქართველი მწერლების დიდი მეგობარი იყო. როგორც რედაქტორსა და კრიტიკოსს, მას დიდი წვლილი მიუძღვის რუს მკითხველთა შორის ქართული ლიტერატურის პროპაგანდის საქმეში. იგი შესანიშნავად იცნობდა არა მხოლოდ თანამედროვე საქართველოს, არამედ მის ისტორიას, ეროვნულ ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს; ბევრს მოგზაურობდა საქართველოში, შექმნა წიგნი-ნარკვევი სვანეთში მოგზაურობის შესახებ. ვიქტორ გოლცევთან ტიციან ტაბიძეს, მეგობრობის გარდა, საქმიანი ურთიერთობაც აკავშირებდა. ისინი ერთად მუშაობდნენ ქართული პოეზიის ანთოლოგიის (რუსულ ენაზე) შედგენაზე. გოლცევი 1936 წელს მოსკოვში გამოცემული ტ. ტაბიძის „რჩეულის“ რედაქტორიც გახლდათ. ქვემოთ გთავაზობთ ამონარიდებს მათი მიმოწერიდან, როგორც ნიმუშს საუცხოო მეგობრობისა და თანამშრომლობისა.

„ძვირფასო ვიქტორ ვიქტორის ძე!

მოკითხვას გითვლით შუა აზრიდან და თემურ ლენგის აკლდამიდან. მალე ტფილისიდან საქმიან წერილებს გამოგიგზავნით. მთელ იმედებს თქვენზე ვამყარებ, მოკითხვა იწვლის სერგოს ასულს. გელთ საქართველოში.

პატივისცემით თქვენი ტიციან ტაბიძე.

1934 წლის 13 აპრილი“.

„...ახლახან ჩამოვედი შუა აზრიდან და თქვენი ბარათი დამხვდა. სამი თვის არყოფნის შემდეგ უკვე მოვასწარი, ვითარებას გავცნობოდი.

...საორგანიზაციო კომიტეტში მეგობრული ვითარება სუფევს.

დღეს ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტში ლ. აღნიაშვილსა და ა. ჭყონიას მოველაპარაკე და უკ-

ვე რეალურად ვინყებთ მუშაობას პნკარედებზე. ვალერიანმა თქვენი და ლევინის წერილი მიიღო. ძირითადად ჩვენთან იმუშავებს. ლ. აღნიაშვილისადმი მოწერილი არც ერთი და არც მეორე წერილი არ წამიკითხავს, ასე რომ, ჯერჯერობით არ ვიცი, როგორ არის საქმე.

საერთოდ, თბილისს ჯერჯერობით ვერ შევეგუე, ყველას ნახვა ვერ მოვასწარი, ამინდი დიდებულია — ხვალ ჩემი ლექსის წიგნი გამოდის.

დიდ მადლობას გწირავთ „ორპირისათვის“ — მოხარული ვიქნები, თუ უკან მივიღებ ჩასწორებულ ტექსტს, მინდა, ბალმონტს გავუგზავნო „ლიტერატურნაია გაზეტაში“. თუ დაგრჩათ ეგზემპლარი, გთხოვთ, რედაქციაში დატოვოთ.

მალე უფრო დანვრილებით მოგწერო ყველაფერს. ჩემი ლექსების პნკარედს გამოგიგზავნით წიგნისათვის „საბჭოთა ლიტერატურა“, და ვიმედოვნებ, საქმიან მიმოწერას დავინწყებთ „ანთოლოგიის“ შესახებ.

მაგრამ, მე მგონი, მალე შევხვდებით ერთმანეთს ტფილისში — თუ გამგზავრებამდე ჩამოსვლას მოახერხებთ.

გეხვევით გულწრფელად.

**თქვენი მოყვარული
ტიციან ტაბიძე
1934 წლის 7 მაისი“.**

„თქვენი წერილი ტფილისში მაშინ მოვიდა, როცა მე კახეთში ვიყავი, პასუხი დაგვივანეთ, ვშიშობ, მოსკოვში ველარ ჩამოგისწრებთ.

მაგრამ უმჯობესია, ყველაფერზე ტფილისში მოვილაპარაკოთ, სადაც მოუთმენლად გელოდებით, ჩამოდი, სანამ გაავდრდებოდეს.

იქნებ ბაქოდან ჩამოხვიდეთ,

ყაზბეგში თბილისიდან წავალთ, ასე აჯობებს.

გასაკვირი არ არის, რომ ცუდ გუნებაზე ვარ, ცოტა გული მღალატობს, მაგრამ ოჯახში თავს კარგად ვგრძნობ და ძალზე, ძალზე გამეხარდება ტფილისში თქვენი ხილვა და ჩვეულებრივ საქმიანი სამუშაოს დაწყება.

ბორის ლეონიდის ძისათვის არაფერი მიმიწერია, ვიცი, სად იმყოფება ამჟამად, ბევრი რამის მიწერა მინდა.

ნიკოლოზ სიმონის ძე წინანდალში ზის მეუღლესთან ერთად, ძალიან ბევრს მუშაობს და კარგადაც ისვენებს. იქ ლეონოვები და იასენსკებიც ჩავიდნენ.

ტფილისში ამჟამად დიმიტრი პეტრეს ძე მირსკია, ხვალ წყალტუბოში მიემგზავრება.

...ქართული პოეზიის წარმატებას მოსკოვში თქვენ და ბორის ლეონიდის ძის მუშაობასა და ყურადღებას უნდა ვუმაღლოდეთ.

ტ.ტ.

1934 წლის 16 ოქტომბერი“.

„...სულ ახლახან დავბრუნდი შავი ზღვის სანაპიროდან — ყველგან ვიყავი და თითქმის ერთი თვე მახინჯაურში ვცხოვრობდი სსრკ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის დასასვენებელ სახლში. შესანიშნავი სახლია. ძალიან დამეწანა, თქვენ რომ არ იყავით. საერთოდ დეკემბერი და ნახევარი იანვარი უზამთროდ გავატარეთ, დიდებული ამინდი იდგა, უპალტოოდ დავდიოდით.

ტფილისში მუდამ ჩემთვის სასიხარულო თქვენი წერილი დამხვდა. დასვენების დროს ბევრი ვიფიქრე, ვიტანჯე, მოკლედ, დიდი სამუშაოსათვის მზად გახლავართ, მშვიდად ვგრძნობ თავს, ეჭვიც არ მეპარება. მინდა, მუშაობაში თავი გამოვცადო, თანდათანობით, მსურს, ლექსები დავაგროვო ახალი წიგნისათვის და „მკაცრ პროზას“ მოვკიდო ხელი. მოკლედ, მზად ვარ ახალი ცხოვრების დასაწყებად, თუმცა გული მანუხებს და ზოგჯერ ასთმური შეტევებიც შემართება.

რა შესანიშნავია, მოსკოვში ქართული პოეზიის ასეთი დიდი საღამო რომ იმართება, პროგრამა გადმომცეს და მოსკოვიდან გამოგზავნილი დეპეშაც, დიდად, დიდად მოხარული ვარ, რომ გახსოვართ. უღრმესი მადლობა ასეთი მეგობრობისათვის, ყურადღებით განებივრებული როდი გახლავართ, ამიტომ თქვენს ყურადღებას დიდად ვაფასებ. ძალზე ამიჩუყა გული ბორის ლეონიდის ძის წერილმა, რომელიც აქ მივიღე, — მეშინია კიდევ პასუხის გაცემა, იმდენად გამეხარდა და ავლელდი, ხომ იცით, როგორ მიყვარს! ამის გადმოცემა შეუძლებელია, მოუთმენლად ველოდები მოსკოვში თქვენთან შეხვედრას... შევხვდებით და ყველაფერზე მაშინ ვილაპარაკებ“.

„მხოლოდ ორი დღეა, რაც სანოლიდან წამოვდექი. მოსკოვიდან დაბრუნებისთანავე გრიპი შემეყარა, გულზე გართულება დამიტოვა, ასთმის ისეთი შეტევები გადავიტანე, შიშისა და ტკივილისაგან თითქმის ვღრიალებდი.

თქვენს წერილსა და დეპეშაში საყვედურები შევნიშნე და ავლელდი, მაგრამ გარდა ამისა, სხვაც ბევრი მქონდა ასაღელვებელი.

ჩამოხვალთ და ყველაფერს გიამბობთ...

ანთოლოგია თითქოს ყველას აინტერესებს, მეტისმეტად დაკავებულ და საქმიან უწყებებსაც, მაგრამ საქმით კი არაფერი კეთდება. ყოველ შემთხვევაში აქნობამდე. აკაკი თათარიშვილი დამპირდა, ამ საქმეს მე ვითავებო. თავად იქნებით მოწმე ამ მუშაობისა.

თითქმის შუა აპრილს ან, მე ვფიქრობ, თვის ბოლოს ტფილისში გიხილავთ; მე უკვე ქვეყანას მოვდე თქვენი ჩამოსვლის ამბავი, ყველანი გახარებულები არიან და გელოდებიან. აკაკი თათარიშვილმა მითხრა, რომ თქვენი წერილი მიიღო. არ ვიცი, შიგ რა ეწერა, პნკარედის გამო საყვედურის გარდა. მოკლედ, უფრო დანვრილებით წერილს ველი... თქვენი დეპეშა დაჯილდოებულებზე აქ კარგად შეაფასეს. საერთოდ,

თქვენს მუშაობას აქ ყველანი კარგად აფასებენ. მხოლოდ საქმის ბოლომდე მიყვანაა საჭირო. თქვენი მოკითხვა გადავეცი მარია ლევანის ასულსა და პეტრე სიმონის ძეს, ისინი თითქმის ყოველდღე მოდიოდნენ ჩემს სანახავად ავადმყოფობის დროს; მოკლედ, დაკარგულ დროს თუ არ ჩავთვალთ, ავადმყოფობისას მთელი თბილისი მეწნია.

მე მგონი, მიხვდებით როგორ მაინტერესებს მოსკოვის ამბები; მომწერეთ, მალე ჩამობრძანდებით თუ არა? იმ დროისათვის საბოლოოდ გამოვჯამრთელდები და მჯერა, სამუშაო კვლავ წინ წავა. მომენატრა მუშაობა, მომენატრეთ თქვენ, მომენატრა მოსკოვი.

ტიციან ტაბიძე

1935 წლის 12 აპრილი“.

„მივიღე თავშეკავებული საყვედურებით აღსავსე თქვენი წერილი, ვიცი, ვიმსახურებ საყვედურს, მაგრამ სამწუხაროდ, ჩემი შეფები უფრო არიან დამნაშავენი, მართლაც, სერიოზულად ვარ ავად, ეს, უპირველეს ყოვლისა, ჩემს სამუშაოს დაეტყო, ეჭვიანი გავხდი, მგონი, არცთუ უმიზეზოდ. ჯერჯერობით ტფილისში ვმკურნალობ. სანაპიროზე წასვლა არ შემიძლია. ჩემი ანენილი საქმეები მაბრკოლებენ.

ვცდილობ, საბოლოოდ გავარკვიო ყველაფერი, მალე ყაზბეგის მუზეუმი გაიხსნება (15 ივნისს), მაგრამ „ანთოლოგიის“ საქმეები ცუდადაა...

ჩვენთან ახლა ძალიან კარგია — ამინდი დიდებულია, ჩემი ავადმყოფობაც კი მავიწყდება. თუ ჩამოსვლას დააპირებთ, ადრევე მომწერეთ, ან დეპეშა გამომიგზავნეთ, რომ ღირსეულად შეგხვდეთ.

1935 წლის 3 მაისი“.

„ამჯერად პნკარედს უთუოდ გამოგიგზავნით. ბორის ბრიკი ძალიან დამეხმარა, თბილისში იყო და ქვიშხეთში ჩვენს ბინაზე გაემგზავრა.

ანთოლოგიის საქმე წინ მიდის...

მივიღე „ზევზდა“ მე-3 ნომერი, სადაც თქვენი წერილია დაბეჭდილი სერგო კლდიაშვილის შესახებ. მართლაც, ბედმა გაუღიმა ჩვენთან მეგობრობაში და ღირსიც არის. ნაწუკითხე ნაწყვეტები თქვენი ბოლო წერილიდან.

ვიქტორ ვიქტორის ძე, ძვირფასო, როგორაა საქმე ბორის პასტერნაკის თარგმანთა წიგნისა „საბჭოთა მწერალში“. ზუევს მივწერე, საერთოდ კარგი იქნებოდა მისი ბრიგადაში შეყვანა. აქ იგი ყველას უყვარს...

1935 წლის 22 მაისი“.

„...ვიქტორ, ძვირფასო! თქვენ აქ მოუთმენლად გელიან, წამოიღეთ თან ვაჟა-ფშაველას პოემების ანაბეჭდები. „გოსლიტიზდატი“ რომ გამოსცემს, ანდა სპასკის თარგმანები: ლევიტისა და ზუევს აუცილებლად დაურეკეთ ბორის პასტერნაკის თარგმანების თაობაზე. გთხოვთ, აგრეთვე, ეფიმ დავითის ძე ზოზულსაც დაურეკოთ. რას ფიქრობენ „ოგონიოკის“ ბიბლიოთეკაში ჩემი „რიონი-პორტის“ დაბეჭდვის შესახებ? ანთოლოგიის საქმეები სწორდება. მასალებს თქვენი ჩამოსვლის შემდეგ გავაგზავნით.

1935 წლის 4 ივნისი“.

„...წუხელ ღამით თქვენი დეპეშა მივიღე. მაშინვე გიპასუხეთ... მართლა ძალიან ვშიშობ, ვაითუ წერილებმა დააგვიანეს, ან ჩვენი მეგობარი პოეტები უკვე წავიდნამოვიდნენ, ან კიდევ უარესი — ავად გახდნენ. ძალიან დამანაღვლიანა ბორის ლეონიდის ძის ავადმყოფობის ამბავმა, მე კი ჩემს ავადმყოფობას ვუმაღავდი.

1935 წლის 8 ივნისი“.

„ანთოლოგიის საქმეები ბრწყინვალედ ავანყვე, შემოიღია, თქვენც კი გაგაკვირვოთ...

დიდებულ გუნებაზე ვარ და სამუშაოს საქმეც ისეა, არასდროს რომ არ ყოფილა.

1935 წლის 9 ივნისი“.



ზინაიდა პასტერნაკი, ნინო ტაბიძე, ბორის პასტერნაკი

„მაპატიეთ, აქამდე რომ ვერ მოგწერეთ, მაგრამ კვლავ გამიმეორდა ასთმური შეტევები და სულ ცუდ გუნებაზე ვიყავი, კარგსაც ვერაფერს მოგწერდით, თქვენმა წერილმა ძალზე გამახარა, აღტაცებული ვარ, ბორის ლეონიდის ძესა და ზინაიდა ნიკოლოზის ასულს რომ ვახსოვარ.

ორჯერ დავაპირე, ტელეფონით დაგლაპარაკებოდი, მაგრამ უშედეგოდ, იქნებ ამ წერილის მიღებამდე კიდევ მოვასწრო ტელეფონით დაკავშირება...

თქვენ შემდეგ უკრაინის დელეგაცია გვესტუმრა, თათარიშვილთან ერთად ყაზბეგში ჩასვლა მომიხდა და რამდენიმე დღე იქ დავყავით. შემდეგ ვაჟა-ფშაველას ნეშტი დიდუბიდან მთაწმინდაზე გადმოვასვენეთ. დიდ ფაციფუცში ვიყავით, მაგრამ ის ღამე არასოდეს დამავიწყდება, ვიდექით გათხრილი საფლავის წინ და საოცარი გრძნობა გვეუფლებოდა. იქნებ მოვახერხოთ მოსკოვში ვაჟა-ფშაველას სალამოს მოწყობა?! რომ ჩამობრძანდებით, მოვილაპარაკებო. ბენედიქტ ლივშიცი გვესტუმრა, მაგრამ ავადმყოფო-

ბის გამო იშვიათად ვხვდები.

ახლა ანთოლოგიის შესახებ: რუსთაველის სახელობის ინსტიტუტში დღუფრავამ კომისია შექმნა ანთოლოგიაზე მუშაობის შესამოწმებლად. კომისიამ შეადგინა აქტი, მოსკოვში რომ ჩამოვალ, ჩამოვიტან, ამ დოკუმენტში სრულად ჰპოვა ასახვა ჩემ მიერ გაწეულმა მუშაობამ და ძირითადად დადებითად იქნა შეფასებული. გარდა ამისა, ნათელი მოჰყვანა ამ ჩახლართულ საქმეს.

1935 წლის 26 ოქტომბერი“.

„...ეს წუთია, მივიღე თქვენი წერილი და მინდა, სასწრაფოდ გიპასუხოთ. აკაკი სამსონის ძემ მითხრა, ინტერვიუს მიცემ გაზეთებს თქვენი მუშაობისა და ბ. პასტერნაკის წიგნის თაობაზე, ხვალ წავალ და პირადად ვნახავ ამ საუბრის ჩანაწერს.

დღეს თუ არა ხვალ თავადაც მოგწერთ ბორისის მუშაობისა და მისი წიგნის შესახებ.

ავტობიოგრაფია ცოტა გვიანდება, მაგრამ ამ დღეებში უთუოდ გამოგიგზავნით. ძალზე, ძალზე მიხარია ბორისისეულ თარგმანებზე „კრასნაია ნოვისათვის“ სტატიას რომ ამზადებთ. თქვენზე უკეთ, აბა, ვინ იცის ეს საქმე. თქვენ, როგორც ამბობენ, ამ საქმეში „ჭიჭი გაქვთ მოჭრილი“.

ვაჟა-ფშაველას წიგნი თუ გამოვიდა? თუ „ქართველ ლირიკოსებზე“ რაიმე დაიწერა ან დაიბეჭდა გაზეთებში, რომლებიც თბილისამდე ვერ აღწევდნენ, ძალიან გთხოვთ, გამოგიგზავნოთ. მე-რიდება თქვენი შეწუხება, მაგრამ, როცა წერილს გწერთ, გწერთ მხოლოდ თქვენ, და მინდა თქვენი ამბავიც ვიცოდე.

1935 წლის 26 ნოემბერი“.

3.3. გოლცევის წერილებიდან:

„ძვირფასო ტიციან!

გითვლით სალამს ხევსურეთიდან, სადაც ბევრი რამაა საინტერესო. ვიყავი ჩარგალში. ვაჟა-ფშაველას სახლს რომ ვუახლოვ-

დებოდი, ძალზე ველავდი. ვახტანგი და ვაჟას ქვრივი შემომეგებნენ, შემიყვანეს დიდებული პოეტის ღატაკ სენაკში. ახლა მისი სახე უფრო ახლობელი შეიქნა ჩემთვის, უფრო მიმზიდველი. ხვალ ვაპირებ ცხენით გუროში, შატილსა და სხვა საინტერესო სოფლებში გამგზავრებას“.

„ძალზე მესიამოვნა ჩემი საყვარელი თბილისიდან თქვენი და ნინო ალექსანდრეს ასულის ხმის გაგონება, იმნუთას ბორის ალექსანდრეს ძეს დავურეკე, კვლავ გაგიხსენეთ თქვენ. ვილაპარაკეთ ქართულ პოეზიაზე. ჩვენს მუშაობასა და მეგობრობაზე.“

გუშინ კი პავლე ანტოკოლსკიმ ქ. გორკიდან ჩამოსვლისთანავე ჩვენთან შემოიარა და თქვენი „სამშობლოს“ თარგმანი წაგვიკითხა, რომელიც მე და იულიას აზრით, ძალზე კარგადაა შესრულებული.

როგორც ადრე ტელეფონით შეგატყობინეთ, სერგეი სპასკი ამთავრებს მუშაობას თქვენს „ამუნდსენზე“ და რამდენიმე ლირიკულ ლექსზე. ვფიქრობ, არც ის გაგვიცრუებს იმედებს.

მაგრამ, ძვირფასო ტიცინ, სასწრაფოდ გამოავაზენეთ თარი-

ღები და ავტობიოგრაფია, თუ გინდათ, რომ წიგნში მოვათავსოთ. მე მგონი, ავტობიოგრაფია საჭიროა და საინტერესო იქნება რუს მკითხველთათვის. მინდა, რომ საბჭოთა საქართველოს თხუთმეტი წლის აღსანიშნავი დღესასწაული თქვენმა წიგნმა დაამშვენოს. ამისათვის კი დედანი დეკემბრის შუა რიცხვებში მთლიანად უნდა ჩაბარდეს წარმოებას.

1935 წლის 12 ნოემბერი“.

„ძვირფასო ტიცინ!“

თქვენ იცით, როგორ გვიყვარხართ და გაფასებთ. შინ გლანძღავთ მასალების დაგვიანებისათვის, მაგრამ გამომცემლობებში, რასაკვირველია, თქვენს საქმეებზე ვხლავართო. საწარმოო სექტორს ვემუდარე, შემდეგ... შევუთანხმდი წიგნში დამატებით თქვენი ავტობიოგრაფიის შეტანის შესახებ, რომელსაც წინასწარ გადავამუშავებ. როგორც იქნა, თქვენი ავტობიოგრაფიის წიგნის ბოლოს მოთავსების ნება დამრთეს — შემცირების, ციტატების და ზედმეტი დეტალების ამოღების ხარჯზე. ახლა რედაქტორის ხელში უნდა გაიაროს. ყველაფერი ეს

იანვარში უფრო ადვილი გასაკეთებელი იქნებოდა.

ტირაჟი ჯერჯერობით ისევ 5 ათასია, მაგრამ ამაზედაც მოვილაპარაკებ...”

„ძვირფასო მეგობარო, ტიცინ! მაღლობას გწირავთ ახალი წლის მოლოცვისათვის, ტელეფონში ნათქვამი თბილი, მეგობრული სიტყვებისათვის. ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენი მეგობრობა საუკუნოა, ანუ, სანამ პირში სული გვიდგას, ურღვევი და მტკიცე იქნება.“

როგორც ადრე შეგატყობინეთ, ა. ფადეევი თქვენი შემოქმედებითი საღამოს მოწყობის მომხრეა...

მაშასადამე, შევთანხმდებით თებერვლის მეორე ნახევარში თქვენი საღამოს მოწყობის თაობაზე. ამ დღეებში კვლავ მოველაპარაკე ფადეევს, რომელიც ძალიან მიყვარს და პატივს ვცემ... ჯერჯერობით კი მასალების შეგროვებას გთხოვთ მოხსენებისათვის. „ცისფერყანწელთა“ ადრინდელი მანიფესტები, ხელოვნებაზე თქვენი ყოველგვარი გამონათქვამები მჭირდება, სტატიებიც მინდა თქვენ შესახებ (მათ რიცხვში ყველაზე უარყოფითებიც)...

1937 წლის იანვარი“.



მწერალთა საკავშირო პირველი ყრილობა, 1934 წ. ქართველი მწერლები და გორის პასტირნაკი

ალექსანდრე სიგუა

ლიტერატურული დავა-კამათი ორთაჭალა-კრწანისის ბალებში

20-30 წლებში მწერლების ცხარე ლიტერატურული შემოქმედებითი დავა-პაექრობა არამარტო დახურულ კარს მიღმა იმართებოდა, არამედ ღია ცის ქვეშ, რუსთაველის პროსპექტზე და ორთაჭალა-კრწანისის ეგზოტიკურ კუთხეში, ჯერ კიდევ მოქმედ, ჩოფურიშვილის ათასგვარად შეღებილ და მოხატულ დუქანთან, ან, როგორც მას ყანწელები უწოდებდნენ, „მექასთან“ ახლომდებარე ბალებში, რომელსაც უყურებდნენ და უსმენდნენ ორთაჭალა-კრწანისელი ტკბილად მობუბუნე მშრომელი მებალები და ყარაჩოლელები. ეს თავისებური დავა-კამათი დაუსრულებლად გრძელდებოდა.

ორთაჭალის ბალები

ბავშვობისას, 20-30-იან წლებში, ორთაჭალაში ვცხოვრობდი, მება-ლე ანდრია ძიძიგურის სახლში და მოწმე ვიყავი აყვავებულ და ლამაზად მოვლილ ბალებში ქართველი მწერლების უკომპრომისო ცხარე კამათისა ცისფერყანწელებსა და პროლეტარულ მწერალთა შორის. ცისფერყანწელებს თავიანთი განსწავლულებით, ცოდნითა და განათლებით ვერ უმკლავდებოდნენ შედარებით უფრო პროლეტარული მწერლები და ხშირად ეს ინვევე-და გაუგებრობას ლიტერატურული კამათის დროს.

ამ დავა-კამათში გალაკტიონ ტაბიძე აქტიურად მონაწილეობდა. მახსოვს, ერთხელ პროლეტარული მწერლების ერთმა წარმომადგენელმა ილია ჭავჭავაძის სახელი აუგად ახსენა, ამის გამო იქვე მყოფი გალაკტიონ ტაბიძე

ძალზე გაცხარდა. ყვავილების თაიგული, რომელიც პოეტს ხელში ეკავა, მიწაზე დადო და მრისხანედ მიმართა:

— ძამიკო, შენ ჯერ შეუგნებელი ბავშვი ხარ და არ იცი, თუ ვინ იყო ილია ჭავჭავაძე, მემამულე, მებატონე თუ მშრომელი ხალხის დამცველი და ქომაგი! ჩვენ გვჯერა რევოლუციისა, — განაგრძო პოეტმა, — მაგრამ თქვენი არ მჯერა. თქვენ ლალატობთ და აბუჩად იგდებთ რევოლუციას! მაყურებელმა, ყარაჩოლელებმა პოეტს ტაში დაუკრეს. პოეტი ტერენტი გრანელი, რომელიც იქვე იდგა, გალაკტიონს გადაეხვია და გადაკოცნა. ამის შემდეგ გალაკტიონმა ყვავილების თაიგული აიღო და ორივე პოეტმა დატოვა დავა-კამათის ადგილი.

ტიციან ტაბიძე, ნიკოლო მინიშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი, ალექსანდ-



ტერენტი გრანელი

რე წუნუნავა, სანდრო ყანწელი ორთაჭალა კრწანისის მაკალათიების, ძაგანიების, ძიძიგურების, ელიაშვილების და სხვების ლამაზად მოვლილი ბალების ხშირი სტუმრები იყვნენ.

ეს ბალები დღეს აჩეხეს და გაინაწილეს პრივილეგირებულმა კომუნისტებმა. ააშენეს მაღალსართულიანი სახლები და იქვე ახლოს წამოჭიმეს დახურული მაღაზიები, რომლებიც გაავსეს ევროპის ქვეყნებიდან ჩამოტანილი ძვირფასი ქსოვილებითა და ძვირფასი სერვისებით, სადაც მხოლოდ ოჯახის წევრებსა და ნათესავ-მეგობრებს შეეძლოთ საქონლის შეძენა იაფ ფასებში.

ორთაჭალა-კრწანისის ხშირი სტუმარი იყო ტერენტი გრანელი, რომელსაც უყვარდა ტკბილმოუბარ მებალებთან საუბარ-მასლაათი. ღრმად მოხუცებული მებალები პოეტს უამბობდნენ საქართველოს ისტორიის საინტერესო ეპიზოდებს. ზოგიერთი მებალის ბაბუა მომსწრე იყო 1795 წელს

**ვის არ ნახავდი ორთაჭალა-კრწანისის
ამ უმუხვენიერას ეგზოტიკურ კუთხეში.
ამ მოდიოდა მწერალი თუ მხატვარი,
კომპოზიტორი თუ რეჟისორი, მსახიობი თუ პიიში.
ორთაჭალა-კრწანისში მინახავს შალვა ღაღიანი,
ივანე გომართელი აბლში მჯდომი, როგორცაა
თან ახლდნენ ჩვენი ღიღი მსახიობები —
ნუსა ჩხეიძე, ვერიკო ანჯაფარიძე და სხვები.**

ალა-მაჰმად ხანის თბილისში შემოსევისა. პოეტს ამ ჩვენი ტრაგიკული ისტორიის მოყოლა იტაცებდა. ტერენტიმ ერთხელ მიაშობო: ორთაჭალაში მივდიოდი ჩემ ნაცნობ მეზალე ილიკო ელიავასთან. გზაზე ბამბის საპენტავ ფაბრიკასთან ვილაცამ მანქანა გააჩერა, შევცბუნდი, შევხედე — ლავრენტი ბერია იყო. მკითხა, საით გაგინევიაო. მეზალებთან მივდივარ, ბატონო ჩემო — მეთქი. ჰო, ეს კარგია! ხელი ჩამომართვა და გზა განაგრძო. მე კი ვინახულე ჩემი ნაცნობი მეზალე ილიკო ელიავა, რომელსაც ვუამბე ბერიასთან ჩემი შეხვედრის ამბავი. მან გაიცინა და მითხრა — ბერია ხშირად ხვდება და საუბრობს ორთაჭალა-კრწანისის მეზალებთანო.

ერთ-ერთი მეზალე **მიხეილ ძიდიგური** შვილი იყო ორთაჭალელი მეზალის ანდრია ძიდიგურისა, რომელთანაც მოწაფეობის დროს რამდენიმე წელი გავატარე. იგი განაგებდა და უვლიდა ბერიას ბაღს.

— ერთ დღეს, — მიაშობო მიხეილმა, — ბაღში შემოვიდნენ ლავრენტი ბერია და მისი მეუღლე ნინო გეგეჭკორი. ბერიამ ბაღში ორი შუშა კიტრი მოწყვიტა და შემდეგ ცოლ-ქმარი ჩემსკენ გამოემართა. ორივე მომესალმა, ხელი ჩამომართვა და მთხოვა მომეტანა სკამი, დანა, თევზი და მარილი, მე მათ ვთხოვე, შინ შემოსულიყვნენ, მაგრამ ბერიამ სიცილით მითხრა: მე კაბინეტში ჯდომა არ მაკლია,

მინდა, ყველაფერი ეს გადავარჩინო და დავაბრუნო დიდი მუზეუმი, რომელსაც მინდა დავარჩიო «თბილისის ისტორიული მუზეუმი», სადაც ყველაფერი შენახული იქნება ჩვენი მომავალი თაობისთვის. უნდა დავუხსნაო და დასაბოთო თბილისის ეგზოტიკური შინაარსის მარხვანებელი სურათები. ბერიას სიტყვებზე დიდად გააზნარა და გულში ვთქვი: საქართველოს ქართველ ხალხს ჰყოლია დიდი შვილი, რომელსაც სდილობს, განადგურებას და მოსპობას გადაარჩინოს ჩვენი ისტორიული ძეგლები.

ცის ქვეშ ყოფნა უფრო მსიამოვნებსო. თხოვნა შევუსრულე. შემდეგ მკითხა, როგორ გეპყრობიან ჩემი თანამშრომლები, ხომ არ გავიწროებენო. — არა, ბატონო, ყველაფერი კეთდება მეზალების სასარგებლოდ, — ვუპასუხე. შემდეგ მთხოვა, რომ ბაღებში და მის მიდამოებში დარგული არც ერთი ხე არავინ მოჭრასო...

როდესაც კრწანისის მთავრობის რეზიდენციის ადგილი გახდა, დაიწყო ქუჩების გაფართოება-გაგანიერება, რამდენიმე ხის მოჭრა გახდა საჭირო. მე გზის გამყვანი ინჟინერი გავაფრთხილე, რომ ბერიამ დამავალა, ბაღის მიდამოებში არცერთი ხე არ მოიჭრასო. მეორე დღეს დილით მოვიდა ბერია მეუღლითურთ და რამდენიმე თანამშრომლის თანდასწრებით დათვალიერეს ეს ადგილი, სადაც

ხეები უნდა მოჭრილიყო. გზის გამყვანთ ბერიამ ჰკითხა, იქნებ ხეები გადავარჩინოთ და არ მოვჭრათო?! — ეს შესაძლებელია, — უთხრა ინჟინერმა, — მაგრამ ცოტა ძნელი იქნება და ამავე დროს გზა უფრო დაიკლავება და სილამაზესაც დაკარგავსო. მაშინ ბერიამ თქვა, ხეები მოჭერთ, მაგრამ იქვე ახლოს დარგეთ კაკლის ხეო. დღეს ეს ხე ამშვენებს და ალამაზებს მიდამოს, რომელსაც კრწანისელი მეზალები ბერიას ხეს ეძახიან. ბერია და მისი მეუღლე ნინო დაგვემშიდობნენ და ნავიძნენ. ნინო იყო ლამაზი და ტკბილმოსაუბრე, მასში არ იგრძნობოდა მეუღლის ავტორიტეტით გამოწვეული მაღალი და ანეული ტონით საუბარი. კრწანისელი მეზალები მას იცნობდნენ, როგორც კეთილსა და ყველას შემწეს.



ორთაჭალის ბაღები



მიხეილ გოჭოროშვილი, ტერენტი გრანელი, გალაკტიონ ტაბიძე, ხარიტონ ვარდოშვილი

როდესაც მე ვინერ მიხეილ ძი-
ძიგურის ნაამბობს, მაგონდება
მარკეს ჟიუსტინის წიგნი „ნიკო-
ლოზ პირველის დროინდელი რუ-
სეთი“, სადაც ავტორი წერს:

„მე მხოლოდ რამდენიმე ქართ-
ველი ქალი შემხვდა, რომლებში-
აც შეერთებული იყო სილამაზეცა
და გრაციაც. ეს მნათობნი ბრწყი-
ნავდნენ ჩრდილოეთის ქალთა
შორის, როგორც ვარსკვლავები
სამხრეთის ღამის ბნელ ცაზე“. ეს
სტრიქონები კიუსტინს თითქოს
ნინო გეგეჭკორზე დაუწერიაო,
რომელიც 40-იან წლებში რუსეთ-
ში ცხოვრობდა თავის მეუღლეს-
თან — ლავრენტი ბერიასთან.

აქვე მინდა ავლინო, რომ ბე-
რიას მოსკოვში გადასვლის შემ-
დეგ კრწანისელი მეზაღვების
მდგომარეობა გაუარესდა. ცეკას
ახალი მდივნები და ნომენკლატუ-
რის თანამშრომლები უარესად
ეპყრობოდნენ მშრომელ მეზაღე-
ებს და ავიწროვებდნენ მათ. გო-
გირდის აბანოებიდან წყალი თა-
ვიანთ ბინებში გადაიყვანეს, რი-
თაც თბილისელებს მოუსპეს ბუ-
ნებრივი ცხელი წყლით სარგებ-
ლობის უფლება.

კრწანისის ბაღებში, განსაკუთ-
რებით შემოდგომით, ხშირად მი-
ნახავს, თუ როგორ საუბრობდნენ
ტერენტი გრანელი და ლადო გუ-
დიაშვილი. ლადოს მიერ შესრუ-

ლებული ტერენტის პორტრეტები
განმსჭვალულია პოეტისადმი დი-
დი სიყვარულითა და სიფაქიზით.
მხატვარი ღრმად სწვდება პოე-
ტის ნაზ და წმინდა სულს. მათი
საუბრების მოსმენა, რომელიც
ზოგჯერ მცირე კამათში გადაიზ-
რდებოდა, თემის მრავალფეროვ-
ნებითა და სიღრმით ხიბლავდა და
იზიდავდა ირგვლივ შეკრებილ
მსმენელს, რომლებიც დიდი ინ-
ტერესით და მოწონებით უსმენდ-
ნენ. მათი ერთ-ერთი ასეთი კამა-
თის შემდეგ გაელიმა ტერენტის
და შემდეგი სტროფით მიმართა
ლადოს:

**„ისევ სიცოცხლე,
სიკვდილი არ მსურს
და წმინდა გული
მე შენთან მომაქვს,
ეს დღე მაგონებს
შორეულ წარსულს,
ეს დღე, რომელიც
ჰგავს შემოდგომას“.**

ლადო ძმურად გადაეხვია პო-
ეტს. ტერენტი დაემშვიდობა და
ჩვენ ერთად წამოვედით შინ.

აქვე მინდა, გავიხსენო ლადო
გუდიაშვილის ნაამბობი:

— 30-იან წლებში, — ამბობს ბა-
ტონი ლადო, — ბერიას მდივანმა
ქალმა დამირეკა და მთხოვა, მენ-
ახა ლავრენტი ბერია. ნავედი, ძა-
ლიან კარგად მიმიღო. ცოტა ხანს
ვისაუბრეთ და შემდეგ მითხრა: —

ჩვენი პროპაგანდა-აგიტაცია ყვე-
ლაფერს ებრძვის, ყველაფერს გა-
ნადგურებით ემუქრება, რაც მარ-
ქსიზმ-ლენინიზმის იდეის, მოძღვ-
რების ჩარჩოში არ თავსდება. ეს
იქნება დიდი მნიშვნელობის ისტ-
ორიული ძეგლები, თუ შორეულ
წარსულში აშენებული ეკლესიები,
ცდილობენ დაანგრიონ, ამიტომ
მინდა, ყველაფერი ეს გადავარჩი-
ნო და დავაარსო დიდი მუზეუმი,
რომელსაც მინდა დავარქვა „თბი-
ლისის ისტორიული მუზეუმი“, სა-
დაც ყველაფერი შენახული იქნე-
ბა ჩვენი მომავალი თაობისთვის.
უნდა დაგვეხმაროთ და დახატოთ
თბილისის ეგზოტიკური შინაარ-
სის მაჩვენებელი სურათები. ბერი-
ას სიტყვებმა დიდად გამახარა და
გულში ვთქვი: **საქართველოს
ქართველ ხალხს ჰყოლია დი-
დი შვილი, რომელიც ცდი-
ლობს, განადგურებას და
მოსპობას გადაარჩინოს ჩვე-
ნი ისტორიული ძეგლები.**

შემდეგ ბერიამ განაგრძო: მე
მაქვს ჩვენი ცნობილი ისტორიკო-
სებისაგან ცნობა, რომ ფუნიკუ-
ლიორის მთელი მიდამო ოქროყა-
ნამდე ტყით ყოფილა დაბურული,
მაგრამ სომეხ ვაჭრებს 30-40-იან
წლებში მიუმართავთ კავკასიის
მთავარმართებლის, მგონი, ალ-
ექსანდრე გელოვანისთვის, რომ
ტყეში ყაჩაღები იმალებიან, თავს

გვესხმიან და გვანოკებენ, ამიტომ გთხოვთ, აჩეხოთ ტყე, რათა ბოლო მოეღოს ყაჩაღების თარეშსო. მთავარმართებელმა არ დააყოვნა და რამდენიმე ათას ჰექტარ მიწაზე ტყე გააჩეხინა. დღეს ჩვენი ფუნქციულის მიდამოებში ისევ უნდა დავარგვევინოთ ხეები. ბერიას ამ მეტად საინტერესო წინადადებას გამახარა და მისი კაბინეტიდან კმაცოფილი გამოვედი.

როდესაც ორთაჭალა-კრწანისში გამოჩნდებოდა ლადო გუდიაშვილი, იმნამსვე დაინყებოდა ყარაჩოღელ კინტოებთან ცეკვათამაში. ლადო ერთ ხელს ასწევდა, მეორე ხელით კი წელზე დოინჯს შემოიყრიდა და ისე ლამაზად ცეკვავდა არაფერი სჯობდა მის ყურებას. შემდეგ ლადო და ყარაჩოღელები ერთმანეთს გადაეხვეოდნენ. ყველაფერი ეს დღეს ისე მახსოვს, თითქოს ახლაც ვუყურებდე ლადოსა და საშა ყარაჩოღელის ცეკვას.

...ორთაჭალა-კრწანისში გამართულ ლიტერატურულ დავა კამათში იოსებ გრიშაშვილიც მონაწილეობდა. იგი იქვე ახლოს, ხარფუხში ცხოვრობდა. მას თან ახლდა ტერენტი გრანელი, რომელიც გრიშაშვილის მეზობლად ცხოვრობდა აქსტაფის შესახვევის 7 ნომერში. ტერენტი გრანელი იმ-



ლავრენტი ბერია, 1927 წ.



ნინო გოგიტაშვილი-ბერია

ხანად შეკედლებული იყო სტუდენტ აკაკი ქურდიანთან, რომელიც 40-იან წლებში გახდა აფხაზეთის ხელოვნების სამმართველოს უფროსი. აკაკი ქურდიანი ნიჭიერი და ღრმა ერუდიციის საზოგადო მოღვაწე იყო, წერდა პიესებს და ლექსებს. ერთი პიესა დავუბეჭდე ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“, როდესაც რედაქტორი ვიყავი. ეს პიესა, აგრეთვე, დაიდგა რაიონულ თეატრებში.

ვის არ ნახავდი ორთაჭალა-კრწანისის ამ უმშვენიერეს ეგზოტიკურ კუთხეში. აქ მოდიოდა მწერალი თუ მხატვარი, კომპოზიტორი თუ რეჟისორი, მსახიობი თუ ექიმი. ორთაჭალა-კრწანისში მინახავს შალვა დადიანი, ივანე გომართელი ეტლში მჯდომი, რომელსაც თან ახლდნენ ჩვენი დიდი მსახიობები — ნუცა ჩხეიძე, ვერიკო ანჯაფარიძე და სხვები.

იქვე, ორთაჭალაში, ნადიკერის ქუჩის დასაწყისში **რაჭველ ისლამას ქართული პურის საცხობი** ჰქონდა. ორთაჭალა-კრწანისის ეგზოტიკური კუთხის სანახავად მოსულნი კონკიდან ჩამოხტებოდნენ თუ არა, მაშინვე პურის საცხობში შევიდოდნენ და ცხელ-ცხელი შოთი პურით ხელში ბაღებისაკენ მიემართებოდნენ, სადაც მათ ხვდებოდათ გულკეთილი და მშრომელი მებაღეები.

ორთაჭალა-კრწანისის ბაღების განადგურებამ დიდი ზიანი მიაყენა თბილისს. და როდესაც ვიგონებთ ორთაჭალა-კრწანისის ბაღებში გატარებულ ტკბილ ბავშვობის დღეებს, შეხვედრებს ქართველ მწერლებთან და ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებთან, მაგონდება ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსის სტრიქონები:





ქაიფი მხარლენა დათიკო ზამელთან, ფიროსმანი, 1906 წ.

**„ვაჰ, დრონი, დრონი
ნაგებნი მტკბარად,
ნარილტვენენ, განჭქერენ
სიზმრებრივ ჩქარად“.**

ვინც ახლოს იცნობდა ტერენტი გრანელს, მას არ გაუძნელდება გაიგოს, თუ რა სულის სიღრმემდე უყვარდა პოეტს ეგზოტიკური ორთაჭალა-კრწანისი და მისი მშრომელი და კეთილი მეზაღეები. ტერენტი გრანელი ხშირი სტუმარი იყო მათი და მოგონებები ტერენტი გრანელზე ამიტომ დავინწყეთ მეზაღეების ცხოვრების აღწერით...

ორთაჭალელი მეზაღე ანდრია ძიძიგურის სახლში, სადაც მონაფეობის დროს რამდენიმე წელი გავატარე, ვნახე და გავიცანი ქართველი მწერლები და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები. უცნაურად ჩაცმული და უცნაურადვე მოსაუბრე ყარაჩოღელი კინტოები. ვნახე ჯამბაზები, გაბმულ თოკზე უშიშრად რომ მიმოდიოდნენ.

ორთაჭალაში, ნადიკურის ქუჩაზე ანდრია ძიძიგურის მეზობელ მეზაღე ილიკო ელიავასთან ცხოვრობდა პოეტი გედონ გუგუნავა. მასთან თითქმის ყოველდღე მოდიოდნენ პოეტები: გალაკტიონ ტაბიძე, ტერენტი გრანელი, გიორგი ქუჩიშვილი, ლადო მაჭავარიანი, გობრონ ციციქიშვილი (მწერლობაში აგარელი), შალვა კაშმაძე და სხვები. ყველაზე ახლოს ვიყავი ტერენტი გრანელთან და შალვა კაშმაძესთან, რომლებთანაც მეგობრული კავშირი მქონდა გაბმული. პოეტები ორთაჭალა-კრწანისში ხშირად იმიტომ მოდიოდნენ, რომ აქ უფრო გამოკვეთით ჩანდა თბილისის წარმტაც და მომხიბლავი ეგზოტიკა თავისი ყარაჩოღელებით, კინტოებით, მოზუზუნე ბაზრებით, ჩაიხანებით, ზურნითა და გაუთავებელი ქეიფით. ორთაჭალის ჭუჭყიან სასადილოებში თურმე ჩვენი ნიკალაც ხშირად დადიოდა. აქ მაგონდება ტერენტი გრანელის ბრწყინვალე ლექსი:

**ფიროსმანიშვილს
შენ დაგედევნა სამიკიტნო
რკინის რაზებით,
ყალბი არღნებით განუხებდა
ლამე წვიმაში,
არ კადრულობდი
შებრალებას ბედის წინაშე,
დაგდევდა ლანდი
მთვარისაგან განაბრაზები.
ჩუმად გეწვია საოცრების
რუხი ხაზები,**

**ფარულ კოშმარებს
ატირებდი სევდის მინაში,
შენ არ იცოდი დამშვიდებით
ყოფნა ბინაში
და ღამის ლოთებს
დაეძებდი ღვინის თასებით.
ლოცვით ამსხვრევდი
ზიარებას სასაფლაოზე,
სისხლიან მკერდით აიტანე
ბროლის არმაზი,
ანთებულ მხატვარს საიქიო,
აღბათ, გაოცებს.
შენი ოცნება ისვენებდა
წითელ ნარმაზე,
ცოდვილ ქალაქში დადიოდი
ჩოხის ამარა,
საშინელებამ უცნაურად
დაგასამარა.**

ორთაჭალა-კრწანისში ტერენტი გრანელი ხშირად არამარტო იმისთვის დადიოდა, რომ აქ, ამ ეგზოტიკურ კუთხეში ენახა ყარაჩოღელი კინტოები, არამედ აქ ჯერ კიდევ ისმოდა 1924 წელს ნამებულთა კვნესა, აქ ჯერ კიდევ იდგა სისხლის ტბა. მეზაღე ანდრია ძიძიგური პოეტს აქ უამბობდა თავის თვალთ ნახულ საშინელებაზე.

**წიგნიდან
„თერენტი გრანელი –
ცისფერი სიშორე“**

პროტოქარტოვები, საერთოქარტოვური ენა და წარწერები

წინამდებარე წერილში წარმოდგენილია შემდეგი საკითხები: სამხრეთი ევროპის, წინა აზიისა და კავკასიის უძველესი მოსახლეობისა და ენების შესახებ; მაკრელის, დოლიონებისა და მუშქების განსახლების შესახებ; კორიბანტებისა და კირბების — კოლხური დამწერლობის შესახებ; A კლასის ხაზოვანი, ფესტოსის დისკოსა და კრეტული იეროგლიფური წარწერების აღმოჩენისა და შესწავლის მოკლე ისტორია; ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი წარწერების შესახებ.

სამხრეთი ევროპის, წინა აზიისა და კავკასიის უძველესი მოსახლეობა და ენები

ჰომეროსისა და დიოდორე სიცილიელის ცნობით, ბრინჯაოს ხანის კრეტაზე სახლობდნენ პელასგები.

ჰეკატე მილეტელი ამბობს, რომ „ელინებზე უწინ პელოპონესის ნახევარკუნძულზე მოსახლეობდნენ ბარბაროსები“.

ჰეროდოტე ამბობს, რომ „პელასგები ლაპარაკობდნენ ბარბაროსულ (არაბერძნულ) ენაზე. ...პელასგურმა ტომმა, ელინური რომ გახდა, თავისი ძველი ენაც დაივიწყა“.

ჰელანიკე მიტილენელის მიხედვით, პელასგთა ერთი ნაწილი, რომელიც ელინებმა საბერძნეთიდან განდევნეს, დასახლდა იტალიაში, ტირსენიაში, ანუ ეტრურიაში.

უძველეს ხანაში პელასგები ასევე სახლობდნენ ელადში, განსაკუთრებით კი - თესალიის ეოლიაში, კუნძულებზე — სკიროსზე, ლემნოსზე, სამოთრაქეზე; მცირე აზიის მრავალ ადგილას, ტროაში, პროპონტიდის (მარმარილოს) ზღვისპირეთსა და სხვაგან.

ამგვარი ცნობები დაცულია სხვა წყაროებშიც, რომელთა გაცნობა შესაძლებელია სპეციალურ ლიტერატურაში (იხ. აკ. ურუშაძე,

„ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“, თბილისი, 1964).

ამასთან ერთად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამხრეთი ევროპის, წინა აზიისა და კავკასიის უძველესი მოსახლეობისა და ენების შესახებ გამოთქმული მოსაზრებები, რომელთაც ქვემოთ წარმოვადგენ:

ა. ევანსი დარწმუნებით აცხადებს, რომ კრეტის მკვიდრი მოსახლეობა მეტყველებდა ბარბაროსულ, ანუ არაბერძნულ ენაზე.

ბ. კრემერის აზრით, მრავალი სიტყვა ბერძნულ ენაში ნასესხებია არაინდოევროპული მოდგმის წინაბერძნული მოსახლეობის (მაგ., ლელეგებისა და სხვების) ენებიდან, რომლებიც მას კავკასიური ტომების მონათესავე ენებად მიაჩნდა. ნასესხები სიტყვები, პირველ რიგში, წარმოადგენს ბალკანეთის ნახევარკუნძულის, კრეტისა და მცირე აზიის ტოპონიმებს. ბ. კრემერი იმ დასკვნამდე მიდის, რომ მცირე აზიის უძველესი მოსახლეობა, ფრიგიელების გარდა, არაინდოევროპული, არასემიტური და არაურალურ-ალთაური წარმოშობის იყო; ეს იყო თვითმყოფადი ხალხი.

ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში ბალკანეთის ნახევარკუნძულის, მცირე აზიისა და ეგეოსის ზღვის აუზის კუნძულების მოსახლეობა არაინდოევროპულია, ამ აზრს იზიარებს ფ. შახერმარიცი.

ედ. შვიცერი ამბობს, რომ წინა-

ბერძნული და მცირე აზიის, არა-ანატოლიური და არაფრიგიული წარწერების ენები ეჭვგარეშე არც ბერძნულია და არც ინდოევროპული. იგი აღნიშნავს, რომ ამ ენათაგან ზოგიერთი უეჭველად ერთმანეთს ენათესავებოდა; ეს ენები ქმნიდა ე.წ. მცირეაზიურ ან ეგეოსურ-მცირეაზიურ ჯგუფს, რომელსაც კავშირი ჰქონდა, ერთი მხრივ, სამხრეთკავკასიურ ენებთან, ხოლო მეორე მხრივ, ეტრუსკულთან.

ა. ღირი წერს: „დღესდღეობით კავკასიურ ენებს — ამ სიტყვის ფართო გაგებით — განაკუთვნებენ წინა აზიისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ენათა მთელ წყებას, რომელთაგან ერთადერთი ენა ბასკურია, ჯერ კიდევ რომ ცოცხლობს“.

ბ. ტრომპატი წერს: „ჩვენ უნდა დავეთანხმოთ ჰ. შუხარდტს იმაში, რომ კავკასიის ფარგლებში თავი მოუყრიათ ხალხებს, რომელნიც წინათ გავრცელებული იყვნენ გაცილებით უფრო ვრცელ ტერიტორიაზე. უახლესი გამოკვლევები, ჩანს, იმაში ეთანხმება ერთუროს, რომ ოდინდელ კავკასიურ ენათა ჯგუფს მეტნაკლებად უკავშირდება შემდეგი ენები: ხალდური, მიტანი (ხურიტული), ელამური, ხათური, ეტრუსკული, კრეტული, იბერიული (ესპანეთში) და ბასკური“.

ვ. გეორგიევი აღნიშნავს, რომ კავკასიოლოგთა მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს „ეტრუსკულ ენაში კავკასიური ელემენტების არსებობის შემოწმება“. შემდეგ იგი ამბობს, რომ ხათური, ურარტული და ხურიტული ენები ყოველგვარი ეჭვის გარეშე კავკასიურ ენათა მონათესავეა.

ვ. მილერი აღნიშნავს, რომ კავკა-

სიურ ენებს უკავშირდება წინა აზრის ძველი ენები: ხათური, ურარტული, ხურიტული და ელამური.

გ. ჰიუზინგი ელამურ ენას უკავშირებს კავკასიურ ენებს.

ფ. ბორკმა და ვ. კრისტიანმა წამოაყენეს შუმერული და კავკასიური ენების ნათესაობის ჰიპოთეზა.

კ. კრამარჟი და მ. წერეთელი უეჭველ ფაქტად მიიჩნევენ შუმერულისა და საერთოქართველურის ენობრივ ნათესაობას.

ზ. კიკნაძემ, ჰ. ფენრიხმა, ჯ. შამპენიძემ, გ. გიორგაძემ, რ. გორდეზიანმა და სხვებმა წარმოადგინეს შუმერული და ქართველური ლექსიკური პარალელები.

ავტორიტეტული სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ყველა ეს ენა არ მიეკუთვნება ინდოევროპულ, ქამიტურ-სემიტურ და ურალურ-ალთაურ ენათა ოჯახს.

ან. მეიეს აზრით, ყველაზე უფრო საიმედო გზა წინაბერძნული მოსახლეობის ენის გასაცნობად კავკასიური (კერძოდ, ქართველური) და მცირე აზიის ძველი ენების შესწავლაა. ეს საშუალებას მოგვცემს ბერძნული ენის ლექსიკაში ავსხნათ ის, რის ახსნაც ინდოევროპულ ენათა გარემოში შეუძლებელი ჩანს.

ე. ბუაზაკი წერს: „ელინები სხვადასხვა მხარეში ხეტილობდნენ, სანამ ეგეოსისა და იონიის ზღვების სანაპიროებს მიაღწევდნენ; და აქ მათ უნდა განედევნათ ან თავის თავისთვის დაემსგავსებინათ სულ სხვა ხალხები, რომლებიც არც ერთ ინდოევროპულ ენაზე არ ლაპარაკობდნენ“.

თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის ფუძემდებლური თეორიის მიხედვით, ძვ.წ. IV ათასწლეულში დასავლეთი და ცენტრალური ევროპა უძველესი ბალკანური კულტურების განადგურების შემდეგ კიდევ დიდხანს იყო არაინდოევროპული, შესაძლებელია ძვ.წ. II ათასწლეულამდე, როდესაც დაიწყო ევროპის ინდოევროპეიზაციის პროცესი, ანუ ძველი ევროპული დიალექტების თანდათანობით გავრცელება ევროპაში.

ჯ. ჩედვიკი წერს, რომ ძვ.წ. XX საუკუნეში ერთიანი ბერძნული



გია კვაშილავა ფსიტოსის დისკოსთან. პერაკლიონის არქეოლოგიური მუზეუმი, კრეტა

ენა ჯერ არ არსებობდა. ის ცნობილია ძვ.წ. XIV ს-ის B კლასის ხაზოვანი წარწერებიდან. ჯ. ჩედვიკის აზრით, ეს ენა შეიქმნა ბერძნების მიერ ზემოხსენებული ტერიტორიების კოლონიზაციის შედეგად, როდესაც ბერძნულად მოლაპარაკე მეომარი ხალხი შემოიჭრა ბალკანეთის ნახევარკულძულზე. იგი იქვე ამბობს, რომ ბერძნული ენა ჩამოყალიბდა ადგილობრივი მოსახლეობისა და შემოჭრილი ხალხების ენათა შერევის შედეგად.

ჯ. ჩედვიკი წერს: „უძველესი საბერძნეთის რუკაზე მრავალი ადგილის დასახელება, რომელთაც ბერძნულ ენაზე მნიშვნელობა არა აქვთ, უტყუარი მოწმობაა იმისა, რომ ოდესღაც აქ სხვა ენა იყო გაბატონებული, მაგრამ, კერძოდ, რომელი, არ არის ცნობილი“. მთელი რიგი ტოპონიმები „უდავოდ წარმოქმნილია უცნობი ენისაგან, რომელზედაც ადრე მეტყველებდნენ საბერძნეთში“.

ჯ. ჩედვიკი ასევე აღნიშნავს, რომ პროტობერძნებმა ადგილობრივი მოსახლეობისგან ისესხეს მრავალი სიტყვა. განსაკუთრებით საინტერესოა ტოპონიმები, საამშენებლო ტერმინები, ტანსაცმლის, სახელმწიფო მმართველობის, მუსიკალური ინსტრუ-

მენტების, მცენარეებისა და ცხოველების სახელები, ასევე, მათთვის უცნობ საგანთა სახელწოდებები, რაც აქ მოსახლე ხალხის ცივილიზაციის მაღალ დონეზე მიუთითებს. ჯ. ჩედვიკი ამასვე იმეორებს კრეტის ადგილობრივი მოსახლეობის შესახებ, რომელიც ძვ.წ. XV ს-მდე ბერძნულად არ მეტყველებდა: „მათმა ენამ წერილობითი სახით მოაღწია ჩვენამდე, მაგრამ მისი ამოკითხვა მაინც არ შეგვიძლია. ეჭვგარეშეა, რომ ეს ენა ბერძნული არაა“.

ჯ. ჩედვიკი წერს, რომ კრეტის ადგილობრივმა მოსახლეობამ დიდი ხნის წინათ შეიმუშავა საალრიცხოვო სისტემა და თავიანთ შრიფტს ასევე გამოიყენებდნენ სამლოცველოებზე შესრულებული მიძღვნილი წარწერებისთვის. ბერძნებმა მათგან ისესხეს წერილი სისტემა, რომელიც მიუსადაგეს თავიანთ ენას და გააუმჯობესეს ანგარიშწარმოება.

ჯ. ჩედვიკი აღნიშნავს: „საკვირველი არ უნდა იყოს, რომ ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულისათვის საბერძნეთის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ბერძნულად არ ლაპარაკობდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბერძნეთის დაპყრობა და სხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხის ასიმილაციის პროცე-

სი ნელა მიმდინარეობდა. ამგვარად, უნდა ვივარაუდოთ, რომ მიკენური პერიოდის მოსახლეობაში სხვა ენების კვალი უფრო აღმოჩნდება, ვიდრე ბერძნულისა.

კლასიკურ პერიოდშიც კი ისტორიკოსები, არცთუ იშვიათად, იხსენიებენ სხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხს, მაგ., პელასგებს, და, ამასთანავე, ძვ.წ. IV საუკუნეშიც კი კრეტის აღმოსავლეთ ნაწილში წარწერები კეთდებოდა არაბერძნულ ენაზე. ...თუმცა ჩვენ ინფორმირებული არა ვართ, რომ ისინი ჯერ ისევ სხვა ენაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ უმეტესობა, ეჭვგარეშეა, არაბერძენი მოსახლეობის შთამომავალი იყო“.

თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი წერენ, რომ ინდოევროპულ დიალექტებზე მოლაპარაკე ტომებს თვითონ არ შეუქმნიათ დამწერლობა. ისინი სესხულობდნენ წერილობით სისტემებს, რომლებიც შექმნილი იყო არაინდოევროპული ენებისთვის. ასე მაგ., ისტორიულ ხანაში მიკენის ბერძნებმა თავიანთი ენისთვის სხვა წყაროდან ისესხეს B კლასის ხაზოვანი მარცვლოვანი დამწერლობის ნიშნები. ეს წყარო იყო A კლასის ხაზოვანი დამწერლობა, რომელიც შეიქმნა არაინდოევროპული (მინოსური) ენისთვის, რომლის სიტყვის სტრუქტურა ღია-მარცვლოვანია.

ჯ. ჩედვიკი აღნიშნავს, რომ ეს ენა მოცემულია A კლასის ხაზოვანი დამწერლობით შესრულებულ თიხის ფირფიტებისა და სხვა ნივთების წარწერებზე, რომლებიც აღმოჩენილია კრეტის მრავალ ადგილას, მათი კვალი ასევე ჩანს ეგეოსურ კუნძულებზეც.

თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის აზრით, ჰიპოთეზა ბერძნული ტომების მოსვლის შესახებ მათი საცხოვრისის ისტორიულ ადგილებში, მცირე აზიის გავლით ეგეოსის ზღვის კუნძულებსა და კონტინენტურ საბერძნეთში, გასაგებებს ხდის ბერძნულში ქართველური (სამხრეთკავკასიური) წარმოშობის ლექსიკის მთელი შრის არსებობას. **გაუგებარი ეტიმოლოგიის ბერძნულ სიტყვათა მთელი რიგი ახალი გა-**



	შუშერი
kl-en-gir ₁₅	
	შუშერული ენა
eme-gir ₁₅	
	მიწისქვეშა წყლები
engur	

მოკვლევების შუაშე არაორაზროვან პარალელს ჰპოვებს ქართველურში და აღსატურებს ენობრივ კონტაქტებს, რომლებიც უძველეს ეპოქაში არსებობდა ბერძნულ და ქართველურ დიალექტებს შორის.

თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი ასევე აღნიშნავენ, რომ **მრავალრიცხოვანი ლექსიკური თანხვედრა ბერძნულსა და ქართველურს შორის, რომელიც თავს იჩინებს სწორედ არაინდოევროპული წარმოშობის სიტყვებში, უნდა აიხსნას იმით, რომ ბერძნულმა ისედაც ქართველურ სიტყვათა მთელი რიგი, ბერძნული და ქართველური ტომების კონტაქტისას სადღაც ახლო აღმოსავლეთში, წინარქაინოლოგიური დანაშაულის მიმართულებით ბერძნული მიგრაციების დროს ისტორიული საბერძნეთის ტერიტორიაზე.**

წინაბერძნული და კავკასიური ენების ნათესაობის შესახებ ჰიპო-

თეზებს ასევე გამოთქვამდნენ: ლ. ჰერვასი, ვ. ჰუმბოლდტი, ფ. ჰომელი, ფ. მიულერი, ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი, მ. ჯანაშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, მ. სერგიევსკი, ს. ჯანაშია, გ. ჩიტაია, ს. მაკალათია, გ. დეეტერსი, ა. ჩიქობავა, პ. ბერაძე, თ. ყაუხჩიშვილი, ე. ფურნეე, რ. შმიტ-ბრანდტი, რ. ბეეკესი, შ. დიდიგური, რ. გორდუიანი, ჰ. ცეპიში, ზ. გამსახურდია და სხვები.

მაკრელის, დოლიონებისა და მუშაბის განსახლება

აპოლონიოს როდოსელი მაკრელთა ტომს პელასგებად თვლის. ეს ცნობა შემდეგი სახისაა:

„დოლიონებმა არგონავტებზე იფიქრეს, რომ მაკრელ ვაჟკაცთა პელასგური ლაშქარი მოგვადგაო“, რასაც ბერძენი სქოლიასტი ასე განმარტავს: „მაკრელი – ეგრეთ წოდებული მაკრონები, რომლებიც გადმოსახლებულნი არიან კ. ევბეიდან, საიდანაც მაკრონები ეწოდათ. საქმე ისაა, რომ კ. ევბეას მაკრისიც ერქვა. პელასგური კი იმიტომ თქვა პოეტმა, რომ კ. ევბეა მეზობელი მხარეა პელოპონესისა, რომელიც უწინ პელასგიად იწოდებოდა. მაკრონები დოლიონების მეზობლები იყვნენ...“

სტრაბონის, სტეფანე ბიზანტიელისა და ევსტათი თესალონიკელის მიხედვით, ივ. ჯავახიშვილი, არნ. ჩიქობავა, ს. ყაუხჩიშვილი, აკ. ურუშაძე და სხვები წერენ, რომ მაკრონი პელასგური მოდგ-

მის, დასავლურ-ქართველური წარმოშობის მეგრულ-ჭანთა (ლა-ზთა) სატომო სახელს აღნიშნავს. აკ. ურუშაძე ამბობს, რომ მათი გვიანდელი განსახლების კერა იყო ევესინის პონტოს, ანუ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო, მაგრამ მათი უწინდელი განსახლების სივრცე შავი ზღვისა და ეგეოსის ზღვის სანაპიროებს მოიცავდა.

დოლიონების შესახებ აპოლონიოს როდოსელის სქოლიასტი წერს: „ეფორე კვიმელი ამბობს, რომ დოლიონები პელასგები იყვნენ...“

აპოლონიოს როდოსელის ცნობით, დოლიონები მოსახლეობდნენ მცირე აზიაში, მდ. ესეპოსსა (გიონენსა) და მდ. რინდაკოსს (მუსტაფაქემალფაშას) შუა მდებარე მხარეში.


ნ. ხაზარაძის კვლევების მიხედვით, იეროგლიფურ-ლუვიურ და ასურულ ლურსმულ წარწერებში დასტურდება, რომ მცირე აზიაში, მდ. ჰალისის (ყიზილირმაკის) შუა დინების სამხრეთით მდებარე მხარეში სახლობდნენ მუშქები (მუსქები), რომელსაც პ. ჰროზნი, რ. ბარნეტი, ე. ლაროში, პ. მერიჯი და სხვები უკავშირებენ ქართველურ ტომს — მოსხებს ანუ მესხებს.

ჰეკატე მილეტელი წერს: „მოსხები კოლხური ტომია.“

უძველესი წყაროებისა და მრავალი მეცნიერის მოსაზრებების გათვალისწინებით, აკ. ურუშაძე ასკვნის, რომ „ზემოხსენებული კოლხური ტომები, სხვა პელასგურ ტომებთან ერთად, დიდ ტერიტორიაზე იყვნენ გავრცელებულნი. ისტორიულ ხანაში კი ამ ტომების ოდინდელი სამკვიდრების თანდათანობითი დავიწროება მოხდა“.

ეს ფოტოს წარწერაა და აქ ჩადე „კავკასიური მოდგმის“ განსახლების არეალი, ძვ.წ. VI-I ათასწლეულის I ნახევარი.

რუკა შედგენილია: ვ. ჰუმბოლდტის, ფ. კლუგეს, ფ. ჰომელის, ნ. მარის, ფ. შახერმარიის, ა. ჩიქობავას, გ. მელიქიშვილის, ზ. გამსახურდიას, ჰ. ცეპიშისა და სხვათა ნაშრომების მიხედვით



კორიბანტებისა და კირკეის — კოლხური დამფუძნებლის შესახებ

სტრაბონი ძველ წყაროებზე დაყრდნობით წერდა, რომ მეტაღურგიისა და მჭედლობის მფარველი ღვთაებები — კორიბანტები (კირბანტები), ჰელიოსის (მზის) ვაჟიშვილები და კოლხეთის მეფის, აიეტის ნახევარძმები კრეტაზე, ევბეაზე, სამოთრაქეზე, ხმელთაშუა ზღვის სხვა კუნძულებსა და ფრიგიაში კოლხეთიდან იყვნენ მოსულნი.

წმ. კლიმენტ ალექსანდრიელი წერს, რომ ქურუმ-ღვთაებებმა — დაქტილებმა შექმნეს დამწერლობა და აღმოაჩინეს მუსიკის რიტმი. ზოგიერთი მითის მიხედვით, მათ საფუძველი ჩაუყარეს არითმეტიკასაც.

უძველესი წყაროების მიხედვით, წმ. კლიმენტ ალექსანდრიელი ასევე ამბობს, რომ დაქტილებს მიეწერებათ ბრინჯაოს გამოდნობა, რკინის აღმოჩენისა და დამუშავების ხელოვნება.

თეოპომპე ქიოსელის, თეოფრასტე ერესოსელის, აპოლოდორე ათენელის, წმ. ფოტიოსისა და სვიდას ლექსიკონის ცნობათა მიხედვით, კორიბანტებს კირკეის — საკრალური, სასულიერო სახის წარწერების შექმნა მიეწერებათ (აგრეთვე იხ.: ლისია, პლუ-

ტარქე, პორფირი ტვირელი).

კრატინეს, ლისიას, პლატონის, ნონუსის, აგათია სქოლასტიკოსის, არისტოტელეს, ტიმეოსის, აპოლონიოს როდოსელის, ძენობიოსის, კომეტას ხარტულარიოსისა და სხვათა ცნობების მიხედვით, ეს საკრალური წარწერები სრულდებოდა თიხის ან სპილენძის ფირფიტებზე, ან ხის დაფებზე, სტელებსა და სვეტებზე.

აპოლონიოს როდოსელი წერდა: „კოლხებმა შემოინახეს თავიანთ მამათა წარწერები, ამოკვეთილი კირკეზე, რომლებზედაც ირგვლივ, ყოველ მხარეს, მოგზაურთათვის დაბეჭდილია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი“.

აპოლონიოს როდოსელის ცნობის მიხედვით, კ. რიტერი ამბობს, რომ „კირკეები იყო ფირფიტები და მათ კოლხები იყენებდნენ“.

ძველი ბერძნული წყაროებიდან ასევე ცნობილია, რომ პელასგ-კოლხთა დედაღვთაების — რეა-კიბელეს (ფასიანეს) ქურუმებს, კორიბანტებს ძველთაგანვე ჰქონდათ დამწერლობა, რომელსაც საიდუმლოდ ინახავდნენ. ხარაქს პერგამონელი ამ დამწერლობას „ხრისოგრაფიას“, ანუ „ოქროდამწერლობას“ (ოქროთი წერას) უწოდებდა. ამ ცნობას იმონიმებს წმ. ევსტათიოს თესალონიკელი „ოქროს საწმისის“ განმარტებისა და წერს: „ოქროდამწერლობის მეთოდის გამო არგოს ლაშქ-

რობა მოეწყო“.

პ. ინგოროყვა და შ. ნუცუბიძე გამოთქვამდნენ მოსაზრებას, რომ ძველბერძნულ წყაროებში დადასტურებული „ოქროდამწერლობა“ იყო წერის განსაკუთრებული და სპეციფიკური ხელოვნება, რომელიც კოლხეთში გამოიყენებოდა. მათი აზრით, მისი შესრულების წესები აღწერილი იყო „ოქროს სანმისზე“ — ვერძის ტყავზე და არგონავტებმა სწორედ ამ მეტად მნიშვნელოვანი კოლხური ხელოვნების შესათვისებლად იმოგზაურეს საბერძნეთიდან „ოქრომრავალ კოლხეთში“.

ნ. ბერძენიშვილი, პ. ინგოროყვა, ბ. კუფტინი, შ. ამირანაშვილი, ვ. თოლორდავა, ვ. ლიჩელი, ჰ. ფენრიხი და სხვები წერენ, რომ **კოლხური დამწერლობის უძველესი ნიმუშები, რომლებიც დათარიღებულია ძვ.წ. VI-II სს-ით, აღმოჩენილია სამტრედიის რ-ნში, სოფ. დაბლაგომსა და სხვაგან.**

ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ უძველესი ქართული დამწერლობითი ძეგლები შეიძლება აღმოჩნდეს მცირე აზიაში; ხოლო აკ. ურუშაძეს მიაჩნდა, რომ ეს ნიმუშები აღმოჩნდება საბერძნეთის ტერიტორიაზეც.

A კლასის ხაზოვანი, ფესტოსის დისკოსა და კრეტიული იეროგლიფური წარწერების აღმოჩენისა და შესწავლის მოკლე ისტორია

1894-1909 წლებში სერ არტურ ევანსმა კ. კრეტაზე არქეოლოგიური გათხრებისას აღმოაჩინა ეგეოსის აუზში გავრცელებული



სერ არტურ ევანსი

ბრინჯაოს ხანის წარწერები, რომლებსაც უწოდა მინოსური კრეტის იეროგლიფური და A კლასის ხაზოვანი დამწერლობები (ხოლო უფრო გვიანდელ დამწერლობას - მიკენური ეპოქის ბერძნული B კლასის ხაზოვანი). ეს წარწერები გვხვდება თიხის ფირფიტებზე, საბეჭდავებზე, სარიტუალო მაგიდებზე, ჭურჭლეულზე, დოქებზე, ვაზებზე, ძვირფასი მეტალის სამკაულსა და სხვა საგნებზე. სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, კრეტული იეროგლიფური და A კლასის ხაზოვანი დამწერლობითი ძეგლების რაოდენობა, შესაბამისად, შეადგენს 331 და 1427 საგანს, რომლებიც დათარიღებულია ძვ.წ. 2000-1450 წლებით.

1908 წლის 3 ივლისს, კუნძულ კრეტაზე, ფესტოსის მინოსური სასახლის გათხრების დროს იტალიელმა არქეოლოგმა, ლუიჯი პერნიმ ფესტოსის დისკო აღმოაჩინა. ის არის მრგვალი თიხის ფირფიტა, რომლის დიამეტრია

15.8x16.8 სმ, სისქე – 1.6x2.3 სმ, ხოლო წონა – 380 გრ. ფესტოსის დისკო დათარიღებულია ძვ.წ. 1850-1600 წლებით.

ჯ. ჩედვიკი ამბობს, რომ ფესტოსის დისკო მსოფლიოში პირველი ბეჭდვითი დოკუმენტია. ლ. გოდარი, დ. რუმპელი და სხვები წერენ, რომ ფესტოსის დისკოს ორივე მხარეს ოქროს ყალიბების საშუალებით დაბეჭდილია ნახატ-ნიშნები. ამ მონაცემის მიხედვით, ირკვევა, რომ ფესტოსის დისკო არის ოქროდამწერლობის ნიმუში.

ევროპის, ამერიკისა და რუსეთის ავტორიტეტული მეცნიერები თვლიან, რომ A კლასის ხაზოვანი და კრეტული იეროგლიფური წარწერების შემქმნელმა ხალხმა ადრებრინჯაოს ხანაში ხმელთაშუაზღვისპირეთში დააფუძნა პირველი ევროპული კულტურა და ცივილიზაცია.

ა. ევანსი, მ. ვენტრისი, ჯ. ჩედვიკი, ა. მორპურგო დევისი, დ. სანსონე, ე. ჯ. ბეკერი და სხვები წერენ, რომ A კლასის ხაზოვანი წარწერები შესრულებულია არაბერძნულ ენაზე.

ს. ლურიე, ვ. ა. ისტრინი, ა. დ. ლეისი, თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი, თ. ყაუხჩიშვილი, რ. გორდეზიანი და სხვები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ამ წარწერების ენა არაინდოევროპულია და არასემიტური.

ფ. შახერმაირის აზრით, კრეტის უძველესი წარწერების ენა, რომელსაც იგი ეგეოსურს უწოდებს, არის კავკასიური, რომლის გავრცელების არეალი იმ დროს უფრო ვრცელი იყო, ვიდრე გვიანდელ პერიოდში.

აკ. ურუშაძის კვლევების მიხედვით, „როცა კრეტის წარწერები შეიქმნა, მცირე აზია, კუნძული კრეტა და ხმელთაშუა ზღვის მრავალი სხვა პუნქტი არაელინური — პელასგური (მაგ., მაკრელთა, დოლიონთა და სხვა) მოსახლეობის სამკვიდრებელი იყო. კრეტის უძველეს ე.წ. მინოსურ მოსახლეობაში კოლხურ ტომებს დიდი ადგილი უნდა სჭეროდათ. ქართველურ ტომებს, რომელთა მემკვიდრეობითი კავშირი წინა



კრეტული იეროგლიფური წარწერები

აზიის უძველეს მოსახლეობასთან თითქმის ყველა დარგშია გამოჩენილი, მრავალი ძველი აკავშირებს უძველესი კულტურის ისეთ კერასთან, როგორც კუნძული კრეტა იყო. თქმულება კოლხთა და კორინთელთა გამგებელ აიეტზეც პელასგურ-კოლხურ სამყაროს მჭიდროდ აკავშირებს კრეტას: კრეტის ლეგენდარული მეფის — მინოსის მეუღლე პასიფაე ჰელიოსის ასულია; იგი აია-კოლხეთის მეფის — აიეტისა და აიაიელი კირკეს და, მედეას მამიდა და არიადნეს დედაა“.

აკ. ურუშაძის საბოლოო დასკვნაა: „მინოსური დამწერლობის მომავალ კვლევა-ძიებაში პელასგურისა და მცირე აზიის ძველი ენების ცოცხალი გადმონათის — იბერიულ-კავკასიური ენების ჩართვამ შეიძლება საქმე წარმატებით დააგვირგვინოს“.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ჰ. ცეპიშის მნიშვნელოვანი განაცხადი, რომ ფესტოსის დისკოს და A კლასის ხაზოვანი წარწერები შესრულებულია პროტოქართველურ ენაზე.

დ. მუსხელიშვილი წერს: „აქ უნდა აღინიშნოს, რომ ენათმეცნიერებმა დღეს არსებული ქართველური ენების — ქართულის, ზანუ-



ლ. ჰარინი

რის (მეგრულ-ჭანურის) და სვანურის — საფუძველზე აღადგინეს საერთოქართველური ფუძე ენა, ანუ ის ენა, რომელზეც საუბრობდნენ უძველესი ქართველური ტომები, ვიდრე ისინი სამ ზემოდასახელებულ შტოდ განაწილდებოდნენ“.

ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი წარწერები

ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი წარწერების გამიფ-

რვა საერთოქართველურ ენაზე წარმოვადგინე 2008-2014 წლის ნაშრომებში (იხ. სამეცნიერო ჟურნალი „ქართველოლოგია“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა).

ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი წარწერების ამოკითხვისას გამოვიყენე ქართველურ ენათა შედარებითი და შინაგანი რეკონსტრუქციის მასალას. ამ მხრივ ვეყრდნობი ა. ჩიქობავას, გ. კლიმოვის, თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის, ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის, მ. ჩუხუას და სხვათა ნაშრომებს.

ჩემი გამოკვლევის მიხედვით, ფესტოსის დისკოს A მხარეზე დაბეჭდილია სავედრებელ-სავალობელი, რომელიც ეძღვნება პელასგურ-კოლხურ ქურუმ-ღვთაება კორიბანტებს ოჯახისა და ქვეყნის დაცვის თაობაზე; ფესტოსის დისკოს B მხარეზე დაბეჭდილია ვედრება პელასგ-კოლხთა ნაყოფიერებისა და მინის დედაღვთაება ნენასადმი (რეა-კიბელესადმი), ამინდის ღვთაება თარხონისადმი, ცეცხლისა და მჭედლობის ღვთაება ჰეფესტოსადმი, რათა ააყვავონ, განაახლონ, განწმინდონ ტაძარი, ოჯახი და სასახლე.

ჩემი კვლევების მიხედვით, A კლასის ხაზოვანი წარწერათა უმრავლესობა არის სამეურნეო-ადმინისტრაციული ტიპის ტექსტები. ამ წარწერებში მოცემულია: პელასგურ-კოლხური თეონიმი („ათაინაი“), ანთროპონიმები („კიტუნე“, „ტიტიკუ“, „ნადარე“, „იკუტა“), ტოპონიმები („აია“, „კუტაი“, „ფაითო“, „ლასითი“, „იდა“, „დიკიტე“) და ეთნონიმები („მაკარიტე“, „კუკუდარა“), ასევე საოჯახო, რელიგიური და საკულტო დანიშნულების ჭურჭელი („კატი“, „კადი“, „კაპაი“, „ასამუნე“), სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები (ლეღვი „ყიყინა“, სელი, ღვინო, ზეთუნის ზეთი, ზეთისხილი, სანელებლები; მარცვლეული, ხორბალი, ჭვავი, ქერი „დიი“, პურეული („დიარი“ — პური, ფქვილი), წვრილფეხა და მსხვილფეხა რქოსანი საქონელი (ცხვარი, თხა, ღორი, ხარი, ძროხა), სატრანსპორტო საშუალება (ცხენი), სააღრიცხვო სისტემა, არით-



A კლასის ხაზოვანი წარწერები

ფესტოს დისკოს A მხარე



ფესტოს დისკოს B მხარე



მეტიკული ოპერაციების აღმნიშვნელი ტერმინები („შეკრება“, „გამოკლება“), მთელი რიცხვები, წილადი რიცხვები და სხვ.

ჯ. ჩედვიკის მიხედვით, ამ ჩანაწერთა სრული ავთენტურობა დიდი ფასეულობაა, რადგანაც ისინი წარმოგვიდგენენ საკუთარ სახელთა სიებს, შინაური ცხოველების, მარცვლეულისა და პროდუქტების აღრიცხვას, სიტყვებსა და ციფრებს, ჩანერილს კრეტის ცივილიზაციის შემქმნელი ქალებისა და მამაკაცების მიერ, რომლებმაც არქეოლოგებს დაუტოვეს ასეთი შესანიშნავი განძი.

დასკვნა

ჩემი სამეცნიერო კვლევებით მიღებულია შემდეგი ძირითადი შედეგები:

1. ძვ.წ. VI-III ათასწლეულებში ხმელთაშუაზღვისპირეთის, პელოპონესის, ანუ პელასგიის ნახევარკუნძულის, ეგეოსის ზღვის აუზის კუნძულების, მცირე აზიისა და შავიზღვისპირეთის უძველესი ადგილობრივი მოსახლეობა არაინდოევროპული, არაქამიტურ-სემიტური და არაურალურ-ალთაური წარმოშობის იყო; ეს იყო პროტოქართველური (სამხრეთკავკასიური) მოსახლეობა, სანამ ამ ადგილებში ინდოევრო-

პული ტომების (მაგ., ბერძნების) მიგრაცია დაიწყებოდა. **ძვ.წ. XX-XV საუკუნეებში ამ არეალში ისევ დომინანტობს პელასგურ-კოლხური (მინოსური) კულტურა და ენა, სანამ გავრცელდებოდა ინდოევროპული (მაგ., ბერძნული) კულტურა და ენა;**

2. პელასგურ-კოლხური (მინოსური) კულტურის უძველესი წერითი ნიმუშების, კირბების – ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი წარწერების ლინგვისტიკურ-ფილოლოგიური და ისტორიულ-ტიპოლოგიური შესწავლა ნათლად აჩვენებს, რომ **არსებობდა მჭიდრო კონტაქტები პროტოქართველურ, პროტოინდოევროპულ და პროტოქამიტურ-სემიტურ ენებსა და კულტურებს შორის.** ამ მასალით შესაძლებელი ხდება, რომ უფრო ზუსტად განისაზღვროს საერთოქართველური ენის გავრცელების ტერიტორია;

3. **საერთოქართველურმა ენამ შექმნა მნიშვნელოვანი სუბსტრატი ბერძნული დიალექტებისთვის,** როდესაც ძველბერძნებმა დალაშქრეს პელოპონესის ანუ პელასგიის ნახევარკუნძული. დასტურდება, რომ **ბერძნულში გაურკვეველი ეტიმოლოგიის ტოპონიმები საერთოქართველური წარმოშობისაა;**

4. ფესტოსის დისკოსა და A კლა-

სის ხაზოვან ტექსტებში დასტურდება თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის („სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. საერთო-ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია“, თბილისი, 1965) მიერ, შედარებითი და შინაგანი რეკონსტრუქციის გზით აღდგენილი საერთოქართველური ენობრივი სისტემის სტრუქტურული მოდელები;

5. ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი საერთოქართველური ტექსტების ლინგვისტური, ისტორიული, ეთნოგრაფიული, რელიგიური, სასოფლო-სამეურნეო და არითმეტიკული მასალისა და მრავალი არქეოლოგიური არტეფაქტის შესწავლით ირკვევა, რომ **პელასგ-კოლხების (მინოსელების) მიერ შექმნილი ორმოცი საუკუნის წინანდელი საერთოქართველური კულტურა იყო საძირკველი პროტობერძნული ცივილიზაციისა, რომელმაც დასაბამი მისცა ევროპულ ცივილიზაციას.**

ბიოკავშილავა,

ოსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ცენტრის „ენის, ლოგიკის, მეტყველების“ მეცნიერ-მკვლევარი

ნიკოლა სკლიფოსოვსკი



ნიკოლაი სკლიფოსოვსკის სახელს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს სახვითი ხელოვნების ისტორიაში. მან აღზარდა გამოჩენილ ქართველ ფერმწერთა მთელი პლეადა — ე. ახვლედიანი, ს. ქობულაძე, ვ. ხოჯაბეგოვი, ვ. წილოსანი, კ. ზდანევიჩი, ა. ბაჟბეუქ-მელიქოვი, ა. ციმაკურიძე, ი. ოცხელი და სხვები.

ნიკოლაი სკლიფოსოვსკიმ საშუალო განათლება მინსკის კლასიკურ გინმაზიაში მიიღო, უმაღლესი იურიდიული — მოსკოვის უნივერსიტეტში, პარალელურად სწავლობდა სტროგანოვის უმაღლეს სამხატვრო სასწავლებელში და სტუდიებში ლევიტანთან და გრანდკოვსკისთან, მონაწილეობდა პერიოდულ გამოფენებში მოსკოვში.



მოღვაწეობა საქართველოში

1895 წელს ნიკოლაი სკლიფოსოვსკი მეგობრის, მხატვარ ბ. ფოგელის რჩევით თბილისში გადასახლდა. 1896 წლიდან ასწავლიდა თბილისის პირველ ვაჟთა გიმნაზიაში და სხვა სასწავლებლებში. რამდენიმე წელი ცხოვრობდა და მუშაობდა ბათუმში, სადაც თავისი ხარჯებით ჩამოაყალიბა ბავშვთა პირველი სამხატვრო სკოლა, ასწავლიდა ბათუმის ქალთა და ვაჟთა გიმნაზიებში. 1909 წელს სკლიფოსოვსკიმ მიიღო მონწევა თბილისის I და II ქალთა გიმნაზიებიდან და დაბრუნდა თბილისში.

სკლიფოსოვსკი 1909-10 წლებში მონაწილეობდა „ნატიფი ხელოვნების წახალისების კავკასიის საზოგადოების“ თითქმის ყველა გამოფენაში; ასწავლიდა ხატვას ამ საზოგადოებასთან არსებულ სკოლაში. მისი ყველა ნამუშევარი ზეთის საღებავით შესრულებულია გლუვად, რეალისტურ მანერაში.

სკლიფოსოვსკი საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. სამჯერ ჩამოაყალიბა და ხელმძღვანელობდა მოკლევადიან კურსებს სახალხო სკოლის მასწავლებლებისთვის, მონაწილეობდა სხვადასხვა კომისიაში ხატვის სწავლების რეორგანიზაციისა და ახალი პროგრამების შედგენის საკითხებზე; მონაწილეობდა კავკასიის სასწავლო ოლქის ყრილობებში 1910 წელს პიატიგორსკში და 1914 წელს ბაქოში. 1913 წელს მონაწილეობა მიიღო დრეზდენის IV საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში ხატვისა და გამოყენებითი ხელოვნების შესწავლის საკითხებზე. სკლიფოსოვსკი ამ კონგრესზე თავის მოხსენებაში ამბობდა: „აქ გამოფენილ ექსპონატებზე თვალის ერთი გადავლენაც საკმარისია, რომ დავრწმუნდეთ, რამდენადაა დაკავშირებული სასკოლო სწავლების მთელი სისტემა ცხოვრე-

ბასთან, რამდენი სიხარული შეაქვს სწავლებაში ფერების გამოყენების თემებს და ფორმების მრავალფეროვნებას, რომელიც უშუალოდ ჩვენ გარშემო სამყაროდან არის აღებული“. თავის მოხსენებაში მან დაწვრილებით მიმოიხილა სხვადასხვა ქვეყნიდან ყველა განყოფილებაში წარმოდგენილი ექსპონატები. მან წარმოადგინა დაწყებით, საშუალო და სახელოსნო სკოლებში სწავლების შემდგომი განვითარების პროგრამა ნლების მიხედვით. მან წარმოადგინა მუშაობის გეგმა, თემატიკა და

მოსწავლეთათვის საჭირო მაგიდეების, მერხების და მოლბერტების ნახაზებიც კი.

1911 წელს სკლიფოსოვსკიმ საკუთარ სახლში გახსნა ხატვისა და ფერწერის სამკლასიანი კურსები, სადაც ბავშვების უმრავლესობას უფასოდ ასწავლიდა. ის გამოირჩეოდა გულისხმიერებით, იყო გულგრილი და ჰქონდა განსაკუთრებული პედაგოგიური ნიჭი. შეეძლო, თითოეულ მოსწავლეში დაენახა და წარმოეჩინა ინდივიდუალური შესაძლებლობები. სკლიფოსოვსკი სამხატვრო

წრეებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

1922 წელს, თბილისის სამხატვრო აკადემიის გახსნისას, მისი ხატვისა და ფერწერის კურსები შევიდა აკადემიის შემადგენლობაში. **სკლიფოსოვსკი პირველის აკადემიის პროფესორად.**

1925 წელს ის ლენინგრადში მიდის, 1930 წელს იძულებული გახდა, დასავლეთ ციმბირში წასულიყო ბავშვებისათვის ხატვის მასწავლებლად, სადაც დაავადდა და 1935 წელს გარდაიცვალა.

ლიანა კახიკა

ფოტოგატიანა



**აკაკი წერეთელი
მეუღლესთან —
ნატალია
გაზილავსკაიასთან
და ვაჟიშვილთან —
ალექსისთან ერთად
პეტიტურგში.**

**მხატვარი
ა. გიგოლაშვილი
(აკაკი წერეთლის
სახლ-მუზეუმი).**





ISSN 1987-5908



9 771987 590006